

სუბიექტური პრაქტიკის გამოკვლევა

და

ობიექტური პრაქტიკის შესახებ კვლევა

ქართულ ზმნებში

---



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემა

დაიბეჭდა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დადგენილებით  
(26 ენკენისთვის 1919 წ.).

დეკანი ივ. ჯავახიშვილი

ქართული უნივერსიტეტის

პირველ მუშაკთა გუნდიდან უღრმოდ გარდაცვალებულთა

პროფესორის იოსებ შიფშიძისა,

ექტორის დავით შიფშიძისა

და

პროფესორებისათვის სილიბისტრო ლომიას  
მოსამზადებლად დატოვებულის

ბერიუს კსოვანს

უძღვნის ამ წიგნს





შ ი ნ ა ა რ ს ი.

|   | გვერდი   |
|---|----------|
| წინასიტყვაობა . . . . .   | VII—VIII |
| I. შესავალი (§§ 1—2) . . . . .  | 1— 2     |
| II. სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა<br>ქველს ქართულში (§§ 3—12) . . . . .  | 3— 20    |
| III. ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა<br>ქველს ქართულში:<br>[შესავალი] (§§ 13—15) . . . . .                                 | 21— 23   |
| A. სახელობით დამატებიანი ზმნები<br>(§§ 16—24) . . . . .   | 24— 41   |
| B. მიცემით დამატებიანი ზმნები<br>(§§ 25—37) . . . . .   | 42— 83   |
| IV. ანომალიები ქველს ქართულში:<br>[შესავალი] (§§ 38—39) . . . . .   | 84— 85   |
| A. აწმყოს წარმოება (§§ 40—47) . . . . .   | 85—105   |
| B. უსწორ-მასწორო ფორმები საზოგა-<br>ლოდ (§§ 48—56) . . . . .  | 105—130  |
| V. სუბიექტ-ობიექტური პრეფიქსი ჰქს სა-<br>შუალო ქართულში (§§ 57—58) . . . . .  | 131—138  |
| VI. სუბიექტ-ობიექტური პრეფიქსი ჰქს ახალს<br>ქართულში (§§ 59—60) . . . . .   | 139—143  |
| VII. სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა ღ<br>ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა<br>კილოებში:<br>[შესავალი] (§§ 61—62) . . . . . | 144      |
| A. აღმოსავლური კილოები (§§ 63—72) . . . . .   | 145—172  |
| B. დასავლური კილოები (§§ 73—76) . . . . .   | 172—179  |
| VIII. დასკვნა (§ 77) . . . . .  | 180—181  |
| პროექტი ორთოგრაფიის რეფორმისა-<br>თვის (დამატება) . . . . .   | 182—189  |
| საძიებელი: A. გვარები . . . . .   | 190      |
| B. ზმნები . . . . .   | 190—205  |
| C. შემოკლებანი . . . . .  | 206—208  |
| ბეჭდვითი შეცდომები . . . . .  | 209—210  |



ძველი სალიტერატურო ძეგლების ენის შესწავლამ ერთის მკრათ ლე ქართულ დიალექტოლოგიაში მუშაობამ მეორეს მკრით იძულებული მყო გადამეშინჯა საკითხი ქართულ ზმნებში სუბიექტ-ობიექტური პრეფიქსების კმარებისა. პირველ ხანებში ჩემი მიზანი იყო S<sub>2</sub>-ის ბუნების გამოკვევა, მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ მისი თვისების გამოცნობას მკიდრო კაჭშირი ჰქონია O<sub>3</sub>-ის ხასიათის გამოკვევასთან<sup>1</sup>. ამგვარად ერთმა საკითხმა მეორე გამოიწვია და ორთავე საკითხის შესწავლას კი შედეგად მოჰყვა ქართული ზმნების გადაჯგუფება, უღვლილებათა სხვანაირი განაწილება, ვიდრე პროფ. ნ. მარჩასა აქვს თავის ძირითად ტახულებში, და საზოგადოდ ახალი შეხედულების დამყარება ქართულ ზმნებზე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოიკვა S<sub>2</sub>-ის ნამდვილი ლირებულება და გამოცნობილი იყო, თუ რომელ დამატებას ეკუთვნის O<sub>3</sub>, ნათელი მოეფინა ქართული ზმნების უღვლილების ზოგიერთ ბნელ მკარეს და შესაძლებელი გაკდა ანომალურ მოვლენათა აკსნაგანმარტება და მათთვის თავისი ადგილის მიჩენა.

წიგნში მრავლად არის მოყვანილი მაგალითები და მოწმობანი; განსაკუთრებით ვრცლად კი წარმოდგენილია საქმის ვითარება კლასიკურ ქართულში. ეს იმიტომ, რომ უფრო ნათელი იყოს უღვლილების ნორმების დარღვევის პროცესი, რომელიც დაიწყო ჯერ კიდევ ძველს ქართულში, შემდეგ თან-

<sup>1</sup>) S<sub>2</sub>-ის არსებობაზე კილოებში მე ვამბობდი „ქართულ სტუდენტთა სამეცნიერო წრის“ კრებაზე პეტერბურგში 13 თებერვალს 1912 წელს. შემდეგ მის კმარებას ძველს ქართულში ყურადღება მიაქცია აწ განსვენებულმა პროფ. ი. ყიფშიძემ (ანტ.-რავ., გვ. 78). O<sub>3</sub>-ის შესახებ კი პირველად პროფ. ნ. მარჩასა აღნიშნა, რომ იგი მე შესმის, როგორც მიცემით ბრუნვაში დაყენებულ ობიექტის გამომხატველი ნაწილაკი (Фрагментъ древнегрузинской версии Ветхаго Завета: Христианскій Востокъ, т. II, გვ. 385, შენიშვნა). მერმე დაიბეკდა კიდევ იემი „ქართული კილოები მთაში“ („კრებული“ ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით. ტფილისი 1915), სადაც მოკლედ აღნიშნულია S<sub>2</sub>-ისა ლე O<sub>3</sub>-ის კმარების წესი. შემდეგში კიდევ ბატ. ს. გორგაძეც ეხებოდა ამ პრეფიქსების საკითხს სალიტერატურო ენაში („ქართული მართლწერა“. ქუთაისი 1916, გვ. 25-29).

და-თან იზრდებოდა საშუალო ქართულში და ისე გაიზარდა, რომ საშინელებად იქცა და სრული ქაოსი შექმნა ახალ სალიტერატურო ენაში.

წინამდებარე შრომა პირველად დაწერილი იყო რუსულად და იბეჭდებოდა რუსეთის სამეცნიერო აკადემიის *Материалы по Яфетическому языкознанию* სერიაში. სტამბაში ჩაბარებული იყო 1915 წელს შეშოდგომაზე, დაიბეჭდა საჩი რვეული (48 გვერდი) და აწყობილი იყო კიდევ რამოდენიმე რვეული, მაგრამ წიგნის დამთავრება, სხვა-და-სხვა დაბრკოლებათა გამო, ვერ მოკერკდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე.

ქართული გამოცემა არსებითად იგივეა, რაც რუსული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ცოტაოდენი ცვლილებაც არის შეტანილი: მასალების დალაგებაში მკტი წესრიგია დაცული, უფრო ვრცლად და სრულად არის წარმოდგენილი „ანომალიები ძველს ქართულში“, დამატებულია ცნობები გლოგოლების კილოკავის შესახებ (§ 76) და დართულია „პროექტი ორთოგრაფიის რეფორმისათვის“, რომელიც დღევანდელი პრაქტიკული საკიროების მოთხოვნებით არის გამოწვეული.

ა. შანიძე.

ტფილისი  
დეკემბერი 1919 წ.



# სუბიექტური პრაქტიკისი მეორე პირისა და ობიექტური პრაქტიკისი მესამე პირისა ქართულ ზენაგში.

## I. შესავალი.

§ 1. ქართული ზენა საზოგადოდ. ზენა ყველაზე უფრო ძნელი ნაწილია ქართული გრამატიკისა ძნელია, ერთის მკრით, იმიტომ, რომ ქართული ზენის ფორმები რთულია მეტის მეტად და, მეორეს მკრით, იმიტომ, რომ ქართულ ზენას ბევრი რამე აქვს ისეთი; რომლის პარალელსაც ჩვენ სხვა ენებში იშვიათად ვიპოვით: ქართული ზენის აგებულება არსებითად განსხვავდება ინდოურ-ევროპულისა, სემანთისა და თურქული ენების ზენის აგებულებისაგან. იგი იმდენად თავისებურია, რომ ღირსია ყურადღებისა, და შესწავლისა, იმათ მიერ, ვისაც ენათმეცნიერებაში საერთო საკითხები აინტერესებს.

ქართულ ზენას აკლია ზოგ-ზოგი გრამატიკული კატეგორია, როგორცაა, მაგალითად, განუსაზღვრელი კილო, მრჩობლობითი რიცხვი, სქესი და სხვა, რაიცა სხვა ენებში მოიპოვება, მაგრამ სამაგიეროდ ქართულ ზენას მრავლად აქვს მართულეების აღსანიშნავი და სხვადასხვა პირთა შორის საერთაერთო მოქმედებითი დამოკიდებულების გამოსახატავი ფორმები. ქართული ზენის ერთი დამახასიათებელი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ მასში უცნაურად არის გადაწულ-გადახლართული მორფოლოგიურისა და სინტაქსური ხასიათის მოვლენები, რის გამოც ზენის ფორმაში, — თუ კი ზენა საზოგადოდ დამატებას მოითხოვს, — აუცილებლად გამოხატული უნდა იყოს, ქვემდებარის გარდა, დამატების პირიც (შინაგანი დამატება). ამიტომ ქართული ზენის ფორმა ზოგჯერ მთელს ვრცელს წინადადებას შეიცავს ხოლმე: ქვემდებარითა, შემასმენლითა და ორი დამატებითურთ.

§ 2. ზმნების დაყოფა. ქართული ზმნების უღვლილება თავსართებისა და ბოლოსართების, ანუ პრეფიქსებისა და სუფიქსების საშუალებით კდება ხოლმე. პრეფიქსებიცა და სუფიქსებიც ორგვარნი არიან: ერთნი აღნიშნავენ ქვემდებარეს ანუ სუბიექტს, მეორენი კი დამატებას ანუ ობიექტს. ზოგჯერ ზმნაში მხოლოდ სუბიექტის პრეფიქს-სუფიქსებს ვხვდებით, ზოგჯერ კი მათთან ერთად ზმნის უღვლილებაში ობიექტის ნაწილაკებიც იღებენ მონაწილეობას. პირველ შემთხვევაში ზმნები ორს სინტაქსურ ცნებას შეიცავენ: შემასმენელსა და ქვემდებარეს, მეორე შემთხვევაში კი სამსა: შემასმენელს, ქვემდებარესა და დამატებას. იმ უღვლილებას, რომელშიაც ზმნები საუღვლეოდ მხოლოდ სუბიექტის აღმნიშვნელ ნაწილაკებს ჰკმარობენ, აბსოლუტურს ანუ სუბიექტურს ვეძახი და იმას კი, რომელშიაც ზმნები ორისავე გვარის ნაწილაკებით იუღვლიან, სახელად რეატიურს ანუ სუბიექტ-ობიექტურს ვარქმევ.

ყველა ქართული ზმნა აზიტომ ორ მთავარ ჯგუფად იყოფა. პირველ ჯგუფს (რიცხვით ძალიან მცირეს შედარებით) ეკუთვნიან ის ზმნები, რომელნიც თავის ფორმებში გამოჰხატავენ მოქმედებას ანუ მდგომარეობას, რომელსაც არავითარი ურთიერთობა და დამოკიდებულება არა აქვს ობიექტთან, ე. ი. ის ზმნები, რომელთაც დამატება არა აქვთ არც სახელობითსა და არც მიცემითს ბრუნვაში. მეორე ჯგუფს კი (რიცხვით ძალიან მრავალს შედარებით) შეადგენენ ის ზმნები, რომელთაც რაიმე დამოკიდებულება და კავშირი აქვთ ობიექტთან, ე. ი. რომელნიც მოითხოვენ დამატებას ან სახელობითში ან მიცემითში, ან იმაშიცა და ამაშიც. სხვანაირად რომ ვთქვათ, აბსოლუტურ უღვლილებას ეკუთვნიან ის ზმნები, რომელნიც თავის ფორმებში გამოჰხატავენ, შემასმენელს გარდა, ქვემდებარეს (აქედანაა მისი სახელწოდება სუბიექტური), ხოლო რეატიურს შეადგენენ ისინი, რომელნიც თავის ფორმებში ქვემდებარესთან ერთად დამატებასაც აღნიშნავენ (აქედან მისი სახელწოდება სუბიექტ-ობიექტური, ანუ მოკლედ ობიექტური).

## II. სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა ქველს ქართულში.

§ 3. აბსოლუტური (სუბიექტური) უღვლილება. პირ-ველი ჯგუფის ზმნათა უღვლილება არავეითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რადგანაც უღვლილებაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ სუბიექტური პრეფიქსები და სუფიქსები. ძველს სალიტერატურო ქართულში ეს პრეფიქსები და სუფიქსები შემდეგია:

### ტ ა ბ უ ლ ა I.

(აბსოლუტური უღვლილების სქემა)

| პირი | მხოლ. რ.         | მრავლ. რ.            |
|------|------------------|----------------------|
| 3    | _____ ა, ო, ს, ნ | _____ ეს, ენ, ან, ელ |
| 2    | ქ_____ ე, ი,-    | ქ_____ ეთ, ით, თ     |
| 1    | გ_____ ე, ი,-    | გ_____ ეთ, ით, თ     |

ამ ტაბულიდან ჩანს, რომ ძველს ქართულში მეორე პირის სუბიექტური ნაწილაკი ( $S_2$ ) არის პრეფიქსი ჰაე.

§ 4. ფონეტიკური კანონის გავლენა. ფონეტიკურ წესებს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულში საზოგადოდ და კერძოდ ძველს სამწერლობო ენაში, რის გამოც მორფოლოგიის განხილვის დროს კშირად ფონეტიკურ მოვლენებს ანგარიში უნდა გაეწიოს. ასეთი შემთხვევაა აქაც. ცნობილია საზოგადოდ, რომ სპირანტი ჰაე კმოენის წინ ქართულში ადვილად იკარგება (ჰამბაჟი—ამბაჟი, ჰამბორი—ამბორი, ჰლაჟი—აჟაჟი და სხვ.) და ამ საზოგადო მოვლენას აქაც ვხვდებით:

ა) კმოენის წინ  $S_2$  იკარგება სრულიად. მაგრამ

ბ) უკეთუ ზმნის თემა ენის წვერისმიერისა (ტ, დ, თ) ან შესაფერისი აფრიკატით იწყება (წ, ძ, ც; ჭ, ჯ, ჩ), მაშინ მეორე პირის სუბიექტურ ნაწილაკად ჰაეს ნაცვლად ხანია ხოლმე.

ც) ეს ხანი ქარისა, ჯანისა და ჩინის წინ ასიმილაციის წყალობით ჩვეულებრივ შინაღ იქცევა ხოლმე.

ამიტომ ზემოთ მოყვანილი ტაბულა (I) ამ ფონეტიკური წესების გავლენით შემდგენიარ სახეს მიიღებს:

## ტ ა ბ უ ლ ა II.

(აბსოლუტური უღვლილების სქემა)

| პირი | მხოლოდ                  | მრავლ. რ.                 |
|------|-------------------------|---------------------------|
| 3    | _____ ა, ბ, ს, ნ        | _____ ეს, ენ, ან, ედ      |
| 2    | ჭ(-)  ს(შ)_____ ე, ი, - | ჭ(-)  ს(შ)_____ ეთ, ით, თ |
| 1    | გ_____ ე, ი, -          | გ_____ ეთ, ით, თ          |

მაშასადამე, მეორე პირის სუბიექტური ნაწილაკის ( $S_2$ ) როლს ძველს სალიტერატურო ენაში ასრულებს ან ჰაე, რომელიც კმოვნების წინ ჩვეულებრივ უკვლოდ იკარგება, ან ხანი (ტარისა, დონისა, თანისა, წილისა, ძილისა და ცანის წინ) ან კიდევ შინი, რომელიც ასიმილაციის დროს ხანის მაგივრობას ეწევა ტარისა, ჯანისა და ჩინის წინ.

§ 5. ბრძანებითი კილო. ზემოთ მოყვანილი ტაბულა (II) გამოსადეგია ყველა დროას მოთხრობითისა, ნატვრითისა და პირობითი კილოსათვის, მაგრამ ბრძანებითისათვის კი არა. ბრძანების კილოს<sup>1</sup> ერთი დამახასიათებელი თვისება აქვს. მას მეორე პირში არავითარი თავსართი არა სჭირდება, არამედ იგია წმინდა თემა, ნამყო სრულისა თუ ნამყო უსრულისაგან აღე-

<sup>1</sup>) როცა ბრძანების კილოზე ვსაუბრობთ, სახეში გვაქვს დადებითი ბრძანებითი კილო, ნაწარმოები ნამყო სრულის ან ნამყო უსრულის თემისაგან. რაიცა შეეხება ბრძანებით კილოს უარყოფითი ხასიათისას, იგი ხომ ფორმებს, საკუთარის უქონლობის გამო, სხვა კილოებისაგან სესხულობს: ნატვრითისა (როცა არ ნაწილაკია ნაკმარი) ან აწმყო მოთხრობითისაგან (როცა უარყოფითი ბრძანება ნუ ნაწილაკითაა გამოხატული).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არის ერთგვარი ბრძანებითი კილო, რომელიც ძველს ქართულში იშვიათად იკმარება, ხოლო უფრო კშირად დღევანდელ მთის კილოებში (კეცსურულში, თუშურში, ფშაურში) გვხვდება. იგი თავის ფორმებს ძველს ენაში მრავალგზითი ნამყოსაგან სესხულობს და, თუმცა დადებითია თავისი ხასიათით, მაგრამ რადგანაც თავისი საკუთარი ფორმები არ აბაღია და სხვა კილოსაგან აქვს ნასესხები, ამიტომ  $S_2$  ნასესხებ ფორმაში გადმოჰყოლია და შენახულა (ამ ბრძანებითის ფორმებზე ქვემოთ, § 19).



ბული, უპრეფიქსო. და რადგანაც სუბიექტური ნაწილაკი მეორე პირისა (ჰაე ან ხანი), რომელიც აუცილებლად საჭიროა სხვა კილოებში, ბრძანების კილოს არ უნდა, ამიტომ ამ კილოს მეორე პირის ფორმები ჩვეულებრივ გარეგნულადაც განსხვავდება იმავე პირების მოთხრობითი კილ.ის ფორმებისაგან ნამყო სრულსა და მოთხრობით-ნატვრითი კილოს ფორმებისაგან ნამყო უსრულში. ეს გარეგნული განსხვავება უფრო ნათელი და თვალსაჩინო იქმნება შემდეგის ტაბულიდან:

**ტ ა ბ უ ლ ა III.**

(ბრძანებითი კილოს განსხვავება ნამყო სრულის მოთხრობითისა და ნამყო უსრულის მოთხრობით-ნატვრითისაგან).

|          |      |                             |                      |
|----------|------|-----------------------------|----------------------|
|          |      | A (ნამყო სრულის თემისაგან). |                      |
| კილო     | პირი | მხოლ. რ.                    | მრავლ. რ.            |
| მოთხრობ. | 2    | ჰ(-)  ს(შ) — ე, ი, -        | ჰ(-)  ს(შ) — ე, ი, - |
| ბრძანებ. | "    | — ე, ი, -                   | — ე, ი, -            |

|               |      |                              |                       |
|---------------|------|------------------------------|-----------------------|
|               |      | B (ნამყო უსრულის თემისაგან). |                       |
| კილო          | პირი | მხოლ. რ.                     | მრავლ. რ.             |
| მოთხრ. ნატვრ. | 2    | ჰ(-)  ს(შ) — დე, დი, დ       | ჰ(-)  ს(შ) — დეთ, დით |
| ბრძანებითი.   | "    | — დე, დი, დ                  | — დეთ, დით            |

აქედან ცხადია, რომ მოთხრობითისა და ბრძანებითის ფორმებს შორის დიდი განსხვავებაა არა მარტო შინაგანი თვისებისა და მნიშვნელობის მკრით, არამედ ჩვეულებრივ გარეგნულადაც. ზაგრამ ფორმალური განსხვავება მათ შორის წაიშლება ხოლმე, თუ საქმე გვაქვს ისეთ ზმნასთან, რომლის თემა კმოვნით იწყება, რადგანაც მოთხრობითისათვის საჭიროა  $\Sigma_2$  ჰაე კმოვნის წინ, ფონეტიკური კანონის გამო (§ 4), იკარგება და ამ შემთხვევაში მოთხრობითის ფორმა გარეგნულად ბრძანებითისას ემსგავსება ხოლმე.

§ 6. აბსოლუტური (სუბიექტური) უღვლილების სქემა. უკეთუ ზემოთ მოყვანილ საზოგადო ტაბულას (II) კერძო შემთხვევებისათვის ვიკმართ, ე. ი. ამა თუ იმ ღროჯს კილოე-

ბისათვის გამოვიყენებთ, მაშინ იგი, მე-5-ე §-ში შეტანილი შესწორების შემდეგ, ასეთ სახეს მიიღებს<sup>1</sup>:

ტ ა ბ უ ლ ა IV.

(სქემა აბსოლუტური უღვლილებისა სუბიექტური პრეფიქს-სუფიქსების შემწობით)

A (ნამყო სრულის ჯგუფი).

|      |                                |                   |    |                           |                   |
|------|--------------------------------|-------------------|----|---------------------------|-------------------|
|      | ნამყო სრული                    |                   |    | მყობადი (ანუ ნატვრითი კ.) |                   |
| პირი | მხოლ. რ.                       | მრავლ. რ.         | პი | მხოლ. რ.                  | მრავლ. რ.         |
| 3    | — ა, ო                         | — ეს              | 3  | — ან, ოს, ეს              | — ან, ონ, ენ      |
| 2    | ჰ ს -- [ე, ო]                  | ჰ ს -- [ე]თ, [ო]თ | 2  | ჰ ს -- ა, ო, ე            | ჰ ს -- ათ, ოთ, ეთ |
| 1    | გ -- [ე, ო]                    | გ -- [ე]თ, [ო]თ   | 1  | გ -- ა, ო, ე              | გ -- ათ, ოთ, ეთ   |
|      | ნამყო მრავალგზითი <sup>2</sup> |                   |    | ბრძანებითი კ.             |                   |
|      | მხოლ. რ.                       | მრავლ. რ.         |    | მხოლ. რ.                  | მრავლ. რ.         |
| 3    | — ის                           | — იან             | 3  | — [ო, ე]ნ                 | — ელ              |
| 2    | ჰ ს -- ო                       | ჰ ს -- ოთ         | 2  | — [ო, ე]                  | — [ო]თ, [ე]თ      |
| 1    | გ -- ო                         | გ -- ით           |    |                           |                   |

1) ჩვენი მიზნისათვის საკირო არ არის, რომ ყოველი დრო და კილო მოვიყვანოთ.

არც ის არის საკირო, რომ შემდეგში ყოველთვის ნაჩვენები იყოს ის გარემოება, რომ 5, 3 კმონების წინ, ფონეტიკური წესის გამო, იკარგება, ხოლო მისი ბგერინაცვალი სანი ჭარისა, ჯანისა და ჩინის წინ, ფონეტიკურისავე წესის გამო, კშირად (მაგრამ ყოველთვის არა!) შინად გარდაიქმნება ხოლმე.

2) ნამყო მრავალგზითი, კაცმა რომ თქვას, განსაზღვრული დრო არ არის: იგი გამოჰხატავს ხოლმე მოქმედებას არა რომელსამე დროში განსაზღვრულს (ნამყოსა, აწმყოსა თუ მყობადში), არამედ ისეთს, რომელიც ყოველთვის ჩვეულებრივია და მარად და მარად დამახასიათებელია მოქმედი პირისათვის. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მრავალგზითი ნამყოს ფორმები ქართული ზმნის უძველესი ფორმატიის დროესა უნდა იყოს.

ეს მრავალგზითი ნამყო ახალმა სალიტერატურო ენამ კმარებიდან განდევნა, მაგრამ იგი შეინახა ზოგმა კილომ; მაგალითად, მთის კილოებმა და ქიზიყურმა. მისი კმარება სიტყვას დიდ სიტუაციულს ქმატებს.

ზოგიერთი ზმნა თუმცა მრავალგზით ნამყოში იკმარება, მაგრამ მნიშვნელობა აწმყოსი მიიღო: იცის, უწყის, ჰრქვან და სხვ. (რომ იცის და უწყის ნამყო მრავალგზითია და არა აწმყო, ამას გვიჩვენებს მათი სინტაქსური ძალა: გაცმან იცის, დმერთმან უწყის და სხვ.).

**B (აწმყოს ჯგუფი).**

|      |                                   |              |      |  |           |
|------|-----------------------------------|--------------|------|--|-----------|
|      | აწმყო ერთგზითი <sup>1</sup>       |              |      | აწმყო მრავალგზითი <sup>1</sup>         |           |
| პირი | მხოლ. რ.                          | მრავლ. რ.    | პირი | მხოლ. რ.                               | მრავლ. რ. |
| 3    | —ს                                | —ენ, ან      | 3    | —ნ                                     | —ედ       |
| 2    | ჭ ს—                              | ჭ ს—თ        | 2    | } იგივეა, რაც ერთგზითი ნამყოს ფორმები. |           |
| 1    | ვ—                                | ვ—თ          | 1    |  |           |
|      | ნამყო უსრული<br>(ანუ ნატვრითი კ.) |              |      | ბრძანებითი კ.                          |           |
|      | მხოლ. რ.                          | მრავლ. რ.    |      | მხოლ. რ.                               | მრავლ. რ. |
| 3    | —და, დის                          | —დეს, დისნ   | 3    | —დინ                                   | —დედ      |
| 2    | ჭ ს—დე, დი, დ                     | ჭ ს—დეთ, დით | 2    | —დე, დი, დ                             | —დეთ, დით |
| 1    | ვ—დე, დი, დ                       | ვ—დეთ, დით   |      |  |           |

ზემოთ მოყვანილი ტაბულის (IV) გასამართლებლად საკმარისია მოვიყვანოთ მხოლოდ რამოდენიმე ზმნის უღვლილება ძველი ტექსტებიდან ამოღებული მოწმობითურთ.

§ 7. სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა ჰაე. თანკოვნით დაწეებულ ზმნაში<sup>2</sup> მეორე პირის სუბიექტის აღსანიშნავად იკმარება ნაწილაკი ჰაე. აი დასამტკიცებელი საბუთებიც:

**ა. გარდამო-კდა<sup>3</sup>**

- 3 პ. გარდამოკდა მოსე (გამოსლვათაჲ 1925).
- 2 „ რომელი გარდამოჭკედ კურთხეულთაგან წაიღთა მამისთა (მოქცევაჲ 79±16).
- 1 „ გარდამოგეედ (გამოსლვათაჲ 38).

<sup>1</sup>) მხოლოდ ძველი ქართული არჩევს ორს აწმყოს: ერთგზითსა და მრავალგზითს. უკანასკნელს შერჩენილი აქვს მხოლოდ მესამე პირის ფორმები (შდრ. ნაკო მარჩის მიერ გამოცემულ სანახმეცყუეულში § 17, A, e და აგრეთვე მისი Основные таблицы, გვ. 14).

<sup>2</sup>) თუ ეს თანკოვანი არ არის ამ სამ წყებათა ერთ ერთ ბგერათაგანი: ტ, ღ, თ; წ, ძ, ც; ჭ, ჯ, ჩ (ამათზე ქვემოთ, §§ 9, 10).

<sup>3</sup>) აწმყოს ჯგუფის დრო-კილოებში ეს ზმნა იშვიათად გვხვდება და მის მაგივრად ჩვეულებრივ -ვიდა (-ვედ, -ვალს) ზმნა იკმარება ხოლ-

## ბრძანებითი კ.

- 3 პ. გადამოკედინ აწ ჭუართ! (მათე 27 42, მარკოზ 15 32).  
 2 „ გარდამოკედ მაგიერ ჭუართო! (მათე 27 40, მარკოზ 15 30).

## ბ. მო-კუდა.

- 3 პ. მოკუდა სარსა (შექმნათაა 23 2); მოკუდა კორცითა (ძვ. სას. პოეზ. რ 5 191); მოკუდა (მათე 22 25, მარკოზ 12 20, 15 44).  
 2 „ მოჭკუედ კორცითა (ძვ. სას. პოეზ. იმ XXXVI 5, ძით 45); შენ არა თუ მოჭკუედ, არამედ (ჰაგ. მასალ. 77 3 ქვ.); რამეთუ მოჭკუედათ (გრიგ. ხანძთ. 53 3); რომელსა დღესა მერუენო შე, მოჭკუედე (გამოსლვათაა 10 28).  
 1 „ მე უწინარეს მისსა მოგუედ, ხ იგი აწლა მოკუდა (ჰაგ. მასალ. 16—17 1); ნუ უკუედა მოგუედ მაგის ძლით (შექმნათაა 26 9); მოგუედე (შექმნათაა 19 19).

## ბრძანებითი კ.

- 3 „ სიკუდილით მოკუედინ! (გამოსლვათაა 31 15, მარკოზ 7 10, სახისმეტყუელი იბ 3—4).  
 2 „ [მოკუედ!].

## ბ. და-ვარდა.

- 3 პ. მრავალ გზის შთაფარდის იგი ცეცხლსა და მრავალ გზის წუქსა (მათე 17 15); ვინაჲცა განვარდა (ძვ. სას. პოეზ. ხმ 3); დავარდა მონაჲ იგი (მათე 18 26).  
 2 „ ურჩ ექმენ და განჭკარდი (ძვ. სას. პოეზ. სომ 94); უკეთუ დაჭკარდე (მათე 4 9); შთაჭკარდე ცეცხლსა მას საუკუნესა (მათე 18 8).  
 1 „ რომლისაგანცა განვვარდი ზირველიჲა ურჩებითა (ძვ. სას. პოეზ. სჲლ 112—113); გუელისა მიერ განვვარდი მე. სა

მე, მაგალ., უაუუო შე წიაღმოკედე შენდა, ნუცა შენ წიაღმოხუდალ ჩემდა (წიაღმოჭკედების ნაცვლად: შექმნათაა 31 52).

მითხისა მისგან საშუებელისა (ძვ. სას. პოეზ. სმ 282);  
შთავჳარდი მე სიღრ (ძვ. სას. პოეზ. ლმ 13).

ბრძანებითი კ.

2 პ. შთავჳარდი ზღუასა! (მათე 21 21, მარკოზ 11 23).

ღ. მწირობს.

3 პ. მწირობდა ქუეყანასა მადამისასა (გამოსლუათაჲ 2 15).

2 „ ქუეყანაჲ ეგე, რომელსა შენ ჳმწირობ (შექმნათაჲ 17 8).

1 „ გმწირობდ (შექმნათაჲ 32 4, 47 9).

ბრძანებითი კ.

2 „ მწირობდ ქუეყანასა ამას! (შექმნათაჲ 26 ვ)

მ. ზის.

3 პ. რამელა ზის მას ზედა (მათე 23 22); ზის ინაკით  
(ი ე ბოლნელი 10 22); რომელი იგო აღმადღებულო  
საუდართა ზის (იპოლიტე 24 33—34).

2 „ რამესთჳს შენ ჳზო მარტოჲ? (გამოსლუათაჲ 18 14);  
რომელი ჳზო ზედა ქერობინთა (ძვ. სას. პოეზ. ტ 280).

1 „ აწ ესერა ვზი (ჰავ. მასალ. 28 ბ 23).

ზემორე მოყვანილი მაგალითების მსგავსად იუღვლიან  
ყველა აბსოლუტური ზმნები, რომელთაც თემა შემდეგი ბგე-  
რებით იწყებათ: კ, უ, ლ, ხ, კ, გ, ქ, შ, უ, ს, ზ, ნ, რ, ლ,  
ვ, მ, პ, ბ, ფ, სახელდობრ:

-კდა (-კედ): წარ-კდა, გან-კდა  
(მაგალ., ჳამზავი). გამო-კდა,  
წიად-კდა, წიადმო-კდა, მო-კდა,  
მი-კდა, შე-კდა, ად-კდა, აღმო-  
კდა, შთა-კდა და სხვ.

გან-კმა.

გან-კორციელდა (უკორც.ჲჲ გან-  
ჳკორციელდა: ძვ. სას. პოეზ.  
სმ 35—36).

გან-კურდა.

კელმწიფებს.

უუაინ, ად-უუაინა.

და-უუღნა.

და-უროლდა.

ღელაჳს.

კელობს.

კუამს (ნამყო უსრ.: კუმოდა).

გან-კატნა (რამეთუ ჩუენთჳს გან-

ჳკატენ ღმერთი: ჰირველ ს.

უკუნეთაჲ: ძვ. სას. პოეზ.

პბ 12—13).

გორაჳს.

გოდებს.

და-გლასაკნა (შენთვის დაკლასაკნა რამეღი ნეფსით. დაჭკლასაკენ ჩუენთვის მთწყალებითა: ძვ. სას. პოეზ. სმზ 65—66).

ჭუსს.

ჭრის (ნამყო უსრული: ქრდა).

გან-ჭარდა.

და-შრტა.

-შურა (-შუერ, -შერების): და-შურა, მო-შურა.

და-შთა.

შე-შეფთხა.

გან-შიშულდა.

გან-შუენდა.

შე-შინდა.

სუფეგს.

გან-სპეტაკნა.

და-სნეულდა.

სხდეს (სხედით, სხენან: იკმარება მრავალობითში. მხოლოობითის ფორმა სხდა გვხვდებოდა, როცა სახელი კოლექტიურია, მაგალ., ერი).

ზუაობნ (სახისმეტყუელი ბ 13). გან-ზრქნა (მათე 13 15), გან-ზრქა (მათე 13 15 ვარიანტი ი, წარტყუნ. იერუს. 68 17).

შე-ზრუნდა (გრიგ ხანძთ. ლბ 5).

განათლდა (< გან-ნათლდა. ორივე წარი შენახულია, როცა მათ ჰყოფს პირველისა ან მეორე პირის სუბიექტური

პრეფიქსი, მაგალითად, გან-ენათლდით: იპოლიტე, გვ. XXXVII 15; განჭნათლდი: ძვ. სას. პოეზ. რიპ 84; ხოლო მესამე პირში ერთი წარი იკარგება, მაგალ. გან-ნათლდა სოფელი. ძვ. სას. პოეზ. სი 170, ჰიბ 701).

რბის (ნამყო უსრული: რბიოდა, შე-რბიოდა, გარდა-რბიოდა; მი-რბიოდა, მეორე პირი: მი-ჭრბიოდე).

რთავეს (ნამყო უსრული: რთკეგლა ანუ რთკვიდა).

გან-ლადნა (იე ბოლნელი 60 7)

გან-ვრცნა (ბრძანებითი: გან-ვრცენ, მაგალ., გან-ვრცენ, იაფეთ, შორის ნათესავთა; ძვ. სას. პოეზ. 6 5ა).

ვაჭრობის (ბრძანებითი: ვაჭრობდით: შექმნათაა 42 34).

მეფობს.

მდღელობს.

მოჭალაჭობს.

მადღოვინ (იე ბოლნელი 54 14, 60 7).

ად-მადლდა (ადჭმადლდი უხრწნელითა კორცითა: ძვ. სას. პოეზ. ტი 73).

და-მდაბლდა (ბრძანებითი და-მდაბლდი: შექმნათაა 16 9).

გან-მართლდა.

გან-მხიარულდა.

შე-მოკლდა.

|                             |                                |
|-----------------------------|--------------------------------|
| გან-მდიდრდა.                | და-ბრკოლდა.                    |
| და-მცირდა.                  | და-ბერდა.                      |
| გან-მწარდა.                 | და-ბნელდა.                     |
| შე-მწუხრდა, და-მწუხრდა.     | აღ-ბორგნა (გრიგ.ხანძთ. 401 22; |
| აღ-მკედრდა.                 | აგრეთვე აღ-ბორგდა: თბრო-       |
| შკნდა.                      | ბაჲ 22 22).                    |
| გან-მწჳსნა.                 | ფრინაუს.                       |
| ჰერუენი (მარკოზ 9 12; ნამყო | გან-ფიცხნა (მაგალ., განფიცხნა  |
| უსრული ჰეროდა, ჰერო-        | გული ფარაოჲნი: გამოსლვა-       |
| ვოდა: მარკოზ 9 20).         | თაჲ 9 35)                      |
| და-პრკოლდა ანუ:             | და მისთანანი.                  |

§ 8. სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა კმოვნების წინ. სუბიექტური ნაწილაკი მეორე პირისა ჰაე კმოვნების წინ (ა, ე, ი, ო, უ), ფონეტიკური წესების ძალით, ჩვეულებრივ იკარგება (§ 4). ამ დაკარგვას შედეგად ის მოსდევს, რომ კმოვ-ნით დაწყებულ ზმნაში ისპობა ის ფორმალური განსხვავება, რომელიც არსებობს ბრძანებითი კილოჲსა და მოთხრობითის ფორმებს შორის დანარჩენ ზმნებში (§ 5); მავალითად ავიღოთ:

3. გან-ახლდა.

| პიტი            | მოთხრობითი კ.                | ბრძანებითი კ. |
|-----------------|------------------------------|---------------|
| წ.<br>წ.<br>შმო | 3 გან-ახლდა                  |               |
|                 | 2 გან-ახლდი (<*გან-ჰახლდი)   | გან-ახლდი     |
|                 | 1 გან-ეახლდი                 |               |
| წ.<br>წ.<br>შმო | 3 გან-ახლდეს                 |               |
|                 | 2 გან-ახლდით (<*გან-ჰახლდით) | გან-ახლდით    |
|                 | 1 გან-ეახლდით                |               |

ამგვარადვე იუღვლება შემდეგი აბსოლუტური (სუბიექტური) ზმნები: შე-ერთნა, იხარებს, იშუებს, ოხრის, მო ოკრდა, აღ-ოქმდა, მო-უქმურდა და მისთანანი.

მსგავსავე უღვლილებას მისდევს, — სუბიექტური პრეფიქსების კმარების მკრით, — მოქმედებითა ზმნა ვნებითში,

როცა ეს ვნებითი მას ინის შემწეობით აქვს ნაწარმოები; მაგალითად, ყო ზმნის ვნებითი ფორმა იქმნება:

ზ. იყო.

|           | პირი | ნამყო სრული            | ბრძანებ. კ. | მყობადლი             |
|-----------|------|------------------------|-------------|----------------------|
| მზოლ. რ.  | {    | 3 იყო                  | იყავნ       | იყოს                 |
|           |      | 2 იყავ (<*ჰიყავ)       | იყავ        | იყო (<*ჰიყო)         |
|           |      | 1 ვაუაკ                | _____       | ვიყო                 |
| მრავლ. რ. | {    | 3 იევენეს <sup>1</sup> | იევენედ     | იევენენ              |
|           |      | 2 იევენით (<*ჰიევენით) | იევენით     | იევენეთ (<*ჰიევენეთ) |
|           |      | 1 ვიევენით             | _____       | ვიევენეთ             |

იყო ზმნის მსგავსად იუღეღება ყოველი რეალატიური (ანუ სუბიექტ-ობიექტური) ზმნა, როცა ის ვნებითად არის ხოლმე მოქცეული ინის საშუალებით, სახელდობრ:

|                                   |                                 |
|-----------------------------------|---------------------------------|
| ად-იკოცა (მრავლ. ად-იკოცნეს).     | ად-იზარდა(მრავლ.ად-იზარდნეს).   |
| გან-იყო (მრავლ. გან-იევენეს).     | და-ინთქა (მრავლ. და-ინთქნეს).   |
| გან-იეიდა (მრავლ. გან-იეიდნეს).   | და-ილეწა (მრავლ. და-ილეწნეს).   |
| გან-იკურნა (მრავლ. გან-იკურნნეს). | შე-იმუსრა (მრავლ. შე-იმუსრნეს)  |
|                                   | და-იმალა (მრავლ. და-იმალნეს).   |
| იქმნა (მრავლ. იქმნეს).            | იპოვა (მრავლ. იპოვნეს).         |
| იშვა (მრავლ. იშვენეს).            | და-იფარა (მრავლ. და-იფარნეს).   |
| მო-ისრა (მრავლ. მო-ისრნეს).       | ად-იფხურა (მრავლ. ად-იფხურნეს). |
| და-ისაჯა (მრავლ. და-ისაჯნეს).     |                                 |

1) მრავლობით რიცხვში რომ წარი ჩნდება, ეს არის შემდეგი სინტაქსური თვისების გამო: ძველს ქართულში მოქმედებითი გვარის ზმნას, როცა მას დამატება მრავლობით რიცხვში აქვს, ნამყო სრულის დროკილოების ფორმებში უჩნდება სუფიქს-ინფიქსი წარი; მაგალითად: ყო იგო, მაგრამ ყვნა იგინი; ჰყავ იგო, მაგრამ ჰყვენ იგინი; ვყავ იგო, მაგრამ ვყვენ იგინი და მასთანანი. და რადგანაც, მოქმედებითი ზმნის ვნებითად მოქცევის გამო, აქტიური კონსტრუქციის დამატება პასიურისაში ქვემდებარედ იქცევა, ამიტომ ეს სუფიქს-ინფიქსი ვნებითშიც გადაჰყვება ხოლმე: მოქმედებითი ყო-საგან ვნებითი იქმნება იყო, მაგრამ ყვნა-საგან იქმნება იყვნეს.



|   |  |
|---|--|
| იტანჯა (მრავლ. იტანჯნეს).                                 | შე იწირა (მრავლ. შე-იწირნეს).                                |
| წარ-იტყუენა (მრავლ. წარ-იტყუენ-<br>ნეს).                  | და-იწუა (მრავლ. და-იწუნეს)<br>და-იწერა (მრავლ. და-იწერნეს).  |
| გან-იდევნა (მრავლ. გან-იდევნ-<br>ნეს).                    | მო-იწულა (მრავლ. მო-იწულნეს).<br>შე-იძრა (მრავლ. შე-იძრნეს). |
| ითარგმნა (მრავლ. ითარგმნნეს).                             | გარდა-იგვალა (მრავლ. გარდა-<br>იგვალნეს).                    |
| ითქუა (მრავლ. ითქუნეს); შე-<br>ითქუა (მრავლ. შე-ითქუნეს). | შე-იჭამა (მრავლ. შე-იჭამნეს)                                 |
| მო-ითხარა (მრავლ. მო-ითხარ-<br>ნეს).                      | რე მისთანანი.  |

§ 9. სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა სანი. ენის წვერისმიერი ბგერებისა (ტ, დ, თ) და მათი შესაფერისი სი-სანა აფრიკატების წინ (წ, ძ, ც) და ზოგჯერ, — თუ რომ ბგერათა ასიმილაციას აღვილი არა აქვს, — აგრეთვე შიშინა აფრიკატების წინაც (ჭ, ჯ, ჩ) მეორე პირის სუბიექტური ნა-წილაკის ჰაეს მაგივრობას მისი ბგერინაცვალი სანი ეწევა ხოლმე (§ 4), მაგალითად:

ც. ტირნ.

- 3 პ. ტირნ (იე ბოლნელი 50 14); უკუეთუ ერთი მათგანი ტირნ, მეორედა იგი ტირნ (წარტყ. იერუს. მბ 19); ტიროდა (შექმნათაჲ 21 16, მათე 26 75, ჰაგ. მასალ. 26 9, 11, ძვ. სას. პოეზ. ტპ 45, გრაგ. ხანძთ. 60 12).
  - 2 „ ნუ სტირ! (შექმნათაჲ 21 17); რაჲს... სტირთ<sup>9</sup> (მარკოზ 5 39).
  - 1 „ ვტირ (წარტყ. იერუს. მ 20, 21, 25, 30, 32; დ 6, 9); ცთო-მასა მათსა ზედა ვტიროდე (მოქცევაჲ 75 13); მუნ დავსხედით და ვტიროდეთ (წარტყ. იერუს. მჳ 5).
- ბრძანებითი კ.
- 2 „ ტიროდეთ ჩემ ზედა! (წარტყ. იერუს. ლჳ 4).

თ. დგა, აღ-დგა.

ა) ნამყო.

- 3 პ. თარგმანი დგა მათ შს (შექმნათაჲ 42 23); სადა დგა წე ონისა (შექმნათაჲ 19 27); წყალი არა დგა (შექმნა

- თაჲ 37 24); ქრისტე აღდგა (ძვ. სას. პოეზ. 60-60ბ, სოფ-სოთ, ტოვ-ტოვ, კ დურწერილობა); აღდგა მკუ-  
ლეული ჩემი (შექმნათაჲ 37 7); აღდგა (მათე 28 6):  
დგეს შორს (გამოსლვათაჲ 20 18); ანკელზნი გარემოას  
დგეს (ძვ. სას. პოეზ. 2 XXVIII 4); აღდგეს ენი იგი  
ქაღწუენი (მათე 25 7).
- 2 პ. სდგით (მათე 20 6 ვარიანტი); აღ-რამ-სდგე  
მკუდრეთით (ძვ. სას. პოეზ. 60 2-3); ასდგე (<აღ-  
სდგე) (ib. ტით 45, ტა II 3, ტ8 1).
- 1 „ ვდგე კიდესა მდინარისასა (შექმნათაჲ 41 17); ვდგე  
(იპოლიტე 5 18); ავდგე (იწე ბოლნელი 12 4, 5, 6, 10,  
ძვ. სას. პოეზ. 60 1); ავდგეთ ძიღისკან (წარტყ-  
იერუს. 50 30).

ბრძანებითი კ.

- 3 „ აღდგინ ღნი! (იერუს. განჩ. 95 17-18).
- 2 „ აღდგე, დმერთო! (თხრობაჲ 22 13); აღდგე! (შექმნა-  
თაჲ 19 15, მათე 2 13, 20, მარკოზ 2 9, 11); აღდგეთ!  
(შექმნათაჲ 19 14, მათე 26 46, მარკოზ 14 42).

b) აწმყო<sup>1</sup>.

- 3 პ. (ერთგზითი) რამსათჲს... ენი ესე ერი დგას შენ წე?  
(გამოსლვათაჲ 18 14); გაღგადი, რამელი დგას აღმოს-  
ვალთ კერძო იერიქოსა, ამისა მახლობლად დგანან მთანი  
იგი (თუალთაჲ 7 11-14); აჰა ესერა დეღაჲ შენი და  
ძმანი შენნი დგანან გარე (მათე 12 47).  
(მრავალგზითი) ეწა სახედ ჭურჭერსა, რწლსა ნელსაცხე-  
ბელი დგან (იპოლიტე 2 65-66); რეწმს მივადნ მოსე  
ბანაკსა მას, დგან ერი იგი (გამოსლვათაჲ 33 8);

<sup>1</sup>) როდესაც ეს ზმნა უპრევერბოდ (უთანდებულოდ) არის ნაჲმარი, მაშინ აწმყოჲს ასე აწარმოებ: დგა ს; ხოლო როცა პრევერბი (აღ-, და- და სხვ.) მიუძღვის, მაშინ ამგვარად: -დგე ბ ს; მაგალითად: მეუდარნი აღდგებან (მათე 11 5); ბასილი, მოკლედ შენ მამასახლისად დასდგებო (გრიგ. ხანძთ. 33 16).

- მღვდელი დგან საკურთხეველსა ზედა (წარტყ. იერუს. იმ 1—2); შიშით დგანედ (გრიგ. ხანძთ. იუ 8).
- 2 3. ადგილი ებე, რლსა შენ სდგა, ქუნაჲ წრს (გამოსლვა-თაჲ 35); აწ შენ, ახოვანო, რი სდგა მცველად (სახის-მეტყუელი იუ 18—19); რაჲს სდგათ თქვენ აქა ღლე უოველ უქმად? (მათე 20 6).
- 1 „ ვდგა (შექმნათაჲ 24 13, 43); ვდგათ (სპევს. ელ. ღა მელ. 66 6, წარტყ. იერუს 80 13).

### ი. განძლიერდა.

- 3 3. განძლიერდა სიუმილი (შექმნათაჲ 12 10, 47 4, 13).
- 2 „ რ განძლიერდი ღთისა თანა (შექმნათაჲ 32 28); სარ-წმუნოებითა მით განძლიერდი (ძე. სას. პოეზ. რლ 88).
- 1 „ განვძლიერდი (პაგ. მასალ. 55 19).

### ბრძანებითი კ.

- 2 „ განძლიერდი სულისაგან საღმრთოჲსა და ნუ შესძრწუნ-დები (ძე. სას. პოეზ. რლ 1—2); განძლიერდით, ძმანო (პაგ. მასალ. 84 3—4).

### იბ. ცხოვნდა ანუ ცხოვნდა.

- 3 3. რნ ღათმინოს იგი სდ ცხოვნდეს (მარკოზ 13 13; ცხოვნდეს: მათე 24 13, მარკოზ 13 13 ვარიანტი); აჲს ხ თუ ზურითა ცხოვნდეს კაცი (მათე 4 4).
- 2 „ მახჯლითა შენითა სცხოვნდე (შექმნათაჲ 27 40); სცხოვნ-დეთ (შექმნათაჲ 42 18).
- 1 „ ვცხოვნდე (ვარიანტი ვცხოვნდე: მარკოზ 5 28); რა ვცხოვნდეთ მის მიერ (სახისმეტყუელი კბ 80—81).

### ბრძანებითი კ.

- 3 „ ისმაელ ესე ცხოვნდინ წე შენსა, ოლ! (შექმნათაჲ 17 18).
- 2 „ მეფე, შენ ოქე ცხოვნდი! (მოქცევაჲ 76 9 15—16); ჯ მეფე, უკუნისამდე ცხოვნდი! (წარტყ. იერუს. 5 28).

ზემოაღებული მოყვანილი მაგალითების მსგავსად იუღლივიან:

გან-ტყა.

მო-დრკა, და-დრკა.

დის (ნამყო უსრული დიოდა).

დუმს (მრავლ. დუმან); და-დუმს

დუდს (ნამყო უსრული დუდა)

და-დნა.

დრტუნავს.

გან-დიდნა.

თესლოვინ (ნამყო უსრული თე-

სლოდა: გამოსლევითაა 9 3).

გან-თავისუფლდა.

წვა (წევ, წვების).

წუხს (ნამყო უსრული წუხდა,

ბრძანებითი წუხდით!).

შე-წუხნა, და-წუხნა.

წითს (წითს ცა: მათე 16 2).

წარ-წემდა.

მო-წელა.

გან-წმიდნა (ბრძანებითი გან-წმი-

დნი: მარკოზ 1 41).

ძეს.

ძრწის (მრავლ. ძრწიან, ნამყო

უსრული ძრწოდა).

ძურა (ძურ, ძურებს).

გან-ძღა.

ცურავს.

ცრემლოვინ (ი<sup>ე</sup> ბოლნელი 5 14;

ნამყო უსრული ცრემლოდა:

მოქციოვა 7 97 21).

გან-ცრუნა (განცრუნა ძალი მა-

თი: თბრობაა 24 25); გან-

ცრუდა (განცრუდაც ცრუ მო-

წამეთა წამებანი: ძე. სას. პოეზ.

ს 23 186-7).

გან-ცოფნა.

გან-ცხანა, გამო-ცხანა (დღეს

იორდანეს კორციოთა განცხა-

დენ: ძე. სას. პოეზ ს 6 104).

გან-ცოცხლდა.

გან-ცხოველდა.

გან-ცვბრდა.

და-ცალიერდა.

გან-ცისკრდა (პავ. მასალ. 44<sup>a</sup> 16)

და მისთანანი.

§ 10. სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა შინი. რო-  
დესაც ზმნის თემა შიშინა აფრიკატებით იწყება (ჭ, ჯ, ჩ),  
მაშინ ჩვეულებრივ ასიმილაცია კდება და ხანი შინად გარდა-  
იქცევა ხოლმე (§ 4). მაგალითად ავიღოთ:

იბ. ჯდა, და-ჯდა.

3 პ. ჯდა რაა იგი (შექმნათაა 18 1, მარკოზ 2 14, 15);

დაჯდა იგი ჯურღმულს მას ზ<sup>ა</sup> (გამოსლევითაა 2 15);

დაჯდა მას ზ<sup>ა</sup> (გამოსლევითაა 17 12).

2 „ დაშჯედ მარჯუენით მამისა (მოქცევაა 7 94 22); დაშჯედ  
მალაღთა შინა (ძე. სას. პოეზ ბი 73); [ნუ დასჯდები<sup>1</sup>

<sup>1</sup>) აქ არ მომდარა ასიმილაცია.

შირველს ინასსა (იერუს. განჩ. 317 25=ლუკა 14 8)].

- 1 3. დღითი დღედ თქუენ თანა ტაძარს მას შა გჳედ (მათე 26 55); ვუედ (პაგ. მასალ. 46 12); მე გჳედი რაჲ სასლ-სა შინა ჩემსა (იოს. არიმათ. 19 1-2); დაჳედ მე, გ<sup>ა</sup> ყორანი მარტოჲ უდაბნოსა (სახისმეტყუელი ლა 2-3).

ბრძანებითი კ.

- 2 „ ჩრქუა თ<sup>ა</sup>ნ თ<sup>ა</sup> ჩემსა: დაჳედ მარჯუენით ჩემსა! (მათე 22 44, შდრ. კიდევ იერუს. განჩ. 44 14-15, 46 4-3 ქვ., 48 9-8 ქვ.); მივედ და დაჳედ უკუანამს-კნელსა ადგილსა (იერუს. განჩ. 317 2-1 ქვ.=ლუკა 14 10).

მსგავსადვე იუღელიან: გან-ჭაჳუენა, აღმო-ჳეჳელდა (სახის-მეტყუელი იმ 24), ჩანს<sup>1</sup> (მრავალგ<sup>ე</sup>. ჩანს, მრავლ. ჩანედ; ნამყო უსრ. ჩნდა, გამო-ჩნდა, მეორე პირი მოთხრობითი კილოსი გამო-შინდი, ბრძანებითისა გამოჩნდი) და მისთანანი.

§ 11. გამონაკლისი. ორი სუბიექტური ზმნა საყოველთაო წესსა და კანონს კი არ ემორჩილება, არამედ უღვლილების ღროს თავისებურობას იჩენს და ამიტომ საზოგადო წესების გამონაკლისს შეადგენს. ერთია არს ზმნა და მეორე -ვიდა (-ვედ, ვალს; პრევერბებით: მო-ვიდა, მი-ვიდა, წარ-ვიდა, შე-ვიდა, გან-ვიდა, გამო-ვიდა, აღ-ვიდა, გარდამო-ვიდა, შთა-ვიდა და სხვ.).

ივ. არს.

ამ ზმნას თემა კმოვნით ეწყება ლ საზოგადო წესის მიხედ-ვით მეორე პირის სუბიექტური ნაწილაკი ჰაე უნდა დაჳკარ-გოდა (§§ 4, 8). მაშასადამე, მისი უღვლილება ასეთი უნდა ყოფილიყო: 3. არს, 2. \*არ (<\*ჳარ), 1. ვარ, III. არიან, II. \*ართ (<\*ჳართ), I. ვართ, სწორედ ისე, როგორც 3. გან-

1) ჩანს (<\*ჩანს: სახისმეტყუელი კთ 14, ი<sup>ე</sup> ბოლნელი 22 17) უფრო ვულგარიზმია, ვიდრე არქაიზმი (შდრ. Н. Ма р р ъ, Древнеру-сianско русскій словарь къ 1—2 главамъ евангелія Марка, გვ. 30).

ახლდა, 2. გან-ახლდი (<\*გან-ჰახლდი), 1. გან-ვახლდი და მისთანანი (§ 8). მაგრამ მეორე პირის სუბიექტურ ნაწილაკად მას, ჰაეს ნაცვლად, ხანი აქვს. ხან სპირანტი კი ისეთი სუსტი არ არის, რომ ემოენის წინ ჰაე სპირანტით დაიკარგოს. ამიტომ ამ ნაკლულევათი ზმნის უღვლილება (იკმარება მხოლოდ აწმყოში) ასეთია:

| პირი | მხოლ. რ.            | მრავლ. რ.               |
|------|---------------------|-------------------------|
| 3    | აჩს (მრავალგზ. აჩს) | აჩიან (მრავალგზ. აჩიედ) |
| 2    | ხაჩ, ხაჩი           | ხაჩთ                    |
| 1    | ვაჩ, ვაჩი           | ვაჩთ                    |

**იღ. მო-ვიდა.**

ამ ზმნას კი მეორე პირის სუბიექტურ ნაწილაკად საზოგადოა წესის მიხედვით ჰაე სპირანტი უნდა ჰქონებოდა და, მაშასადამე, მისი უღვლილება ასეთი უნდა ყოფილიყო: 3. მო-ვიდა, 2. \*მო-ჰვედ, 1. მო-(ვ)ვედ, სწორედ იმგვარად, როგორც 3. და-გარდა, 2. და-ჰვარდი, 1. და-(ვ)ვარდი და მისთანანი (§ 7). მაგრამ ნ<sub>2</sub>-ად ამ ზმნასაც ჰაეს ნაცვლად ხანი აქვს. ეს გარემოება კი სხვა ფონეტიკურ ცვლილებასაც იწვევს: ზმნის თემის თავკიდური ვინი ხან პრეფიქსის გვერდით უმარცვლო უნად (ჴ) იქცევა ხოლმე, რომელიც მომდევნო ჩთან შეერთებით (ჴი) ვეს წარმოშობს ხოლმე. ამიტომ -ვიდა ზმნის უღვლილება ასეთ სურათს გვაძლევს:

**A (ნამყო სრულის ჯგუფი).**

| პირი      | ნამყო სრული               | ბრძანებითი კ. | მყობადი                 |
|-----------|---------------------------|---------------|-------------------------|
| მხოლ. რ.  | 3 მო-ვიდა                 | მოვედინ       | მო-ვიდექ                |
|           | 2 მო-ხუედ (<*მო-ჰვედ)     | მოვედ         | მო-ხედექ (<*მო-ჰვიდექ)  |
|           | 1 მო-ვედ (<*მო-ვეედ)      | —             | მო-ვიდექ (<*მო-ვევიდექ) |
| მრავლ. რ. | 3 მო-ვიდექ                | მოვიდედ       | მო-ვიდექ                |
|           | 2 მო-ხუედით (<*მო-ჰვედით) | მოვედით       | მო-ხედეთ (<*მო-ჰვიდეთ)  |
|           | 1 მო-ვედით (<*მო-ვეედით)  | —             | მო-ვიდეთ (<*მო-ვევიდეთ) |

B (აწმყოს ჯგუფი).

|           | პირი | აწმყო                       | ნამყო უსრული              | ბრძანებითი კ. |
|-----------|------|-----------------------------|---------------------------|---------------|
| მხოლ. რ.  | 3    | ვალს (მრავალგზ. ვალს)       | ვიდოდა                    |               |
|           | 2    | ხუალ (<*ჰვალ)               | ხვლოდე/ი (<*ჰვილოდე/ი)    | ვილოდე        |
|           | 1    | ვალ (<*ვევალ)               | ვილოდე/ი (<*ვევილოდე/ი)   |               |
| მრავლ. რ. | 3    | ვლენ, ვლენან (მრგზ. ვლენედ) | ვიდოდეს                   |               |
|           | 2    | ხუალთ (<*ჰვალთ)             | ხვლოდე/ით (<*ჰვილოდე/ით)  | ვილოდე        |
|           | 1    | ვალთ (<*ვევალთ)             | ვილოდე/ით (<*ვევილოდე/ით) |               |

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

a) ნამყო.

- 2 პ. ვინაჲ გამოსუედ შენ (შექმნათაჲ 24 5); დახად რაჲ შე-  
ხვდე (მარკოზ 6 11); რაჲსა მოხუედით ჩემდა (შექმნა-  
თაჲ 26 27); რაჲ არა შეხვდეთ განსაცდელსა (მათე 26 41).

ბრძანებითი კ.

- 2 „ აღდეგით და წარგედით! (შექმნათაჲ 4 3 13); ვჰქვჲ მას:  
წარგედ! და წარგიდის; და სხუასა: მოვედ! და მოვიდის  
(მათე 8 9); წარ-უგუე-ვედი (პავ. მასალ. 3 8 11 ქვ.); წარ-  
გედ ჩემგან მართლუგუნ, ეშმაკო! (მათე 4 10, მარკოზ  
8 33); მოვედით, კურთხევდნო მამისა ჩემისნო! (მათე  
25 34, ძვ. სას. პოეზ. რამთ 6).

b) აწმყო.

- 2 „ და შენ ჩემთან მოხუალა? (მათე 3 14); განვედ მაგის-  
გან და ნუღარა შეხუალ მაგისა! (მარკოზ 9 25); ვისნი  
ხართ, ანუ ვ'ე ხუალთ და ვისი არს, რომელი ესე ვალს  
წ'ე თქუენს? (შექმნათაჲ 3 2 17).

ო<sup>რ</sup>, მიგდევედ შენ, ვიდრეცა ხვლოდი (ი<sup>ე</sup> ბოლ-  
ნელი 5 8—9 ვარიანტი); არა ხვლოდე მდიდართა  
თანა (ძვ. სას. პოეზ. ძმ XXXI 1).

ბრძანებითი კ.

- 2 „ აღდეგ და ვილოდე! (მათე 9 5); გუალე ვილოდე ცოცხლე-  
ბით! (შექმნათაჲ 4 13); ვილოდე! (მარკოზ 7 29, 10 52).

§ 12. დასკვნა. მეორე პირის სუბიექტური ნაწილაკის ბუნებისა და თვისების განხილვის შემდეგ (§§ 3—11) ჩვენ შეგვიძლია, მაშასადამე, დავასკვნათ, რომ ძველს სალიტერატურო ქართულში მეორე პირის სუბიექტის გამოსახატავად ზმნას აქვს პრეფიქსი, რომლის ფონეტიკური სახე იცვლება ხოლმე იმის მიხედვით, თუ ზმნის თემა რა-ღ-რა ბგერით იწყება<sup>1</sup>. ამ პრეფიქსის სხვა-და-სხვა სახე შემდეგია:

- |                                       |                    |
|---------------------------------------|--------------------|
| a. ჰ (§§ 3, 7);                       | d. ხ (§§ 4 b, 9);  |
| b. 0 (ნული <sup>2</sup> , §§ 4 a, 8); | e. უ (§§ 4 c, 10). |
| c. ხ (§ 11);                          |                    |

ამგვარად, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა ძველი მწერლობის ენაში ფონეტიკურად სულ, ნულიანად, ხუთი სახისაა. ამათგან ერთი, ხანი, მხოლოდ ორი ზმნის კუთვნილებას შეადგენს (§ 11), დანარჩენი სახეები კი (ჰ, 0, ს) მარტო სუბიექტურ ზმნებში კი არა, არამედ იმავე პირობებში და იმავე წესით სუბიექტ-ობიექტურ ზმნებშიცა გვხვდება. რომ ეს ასეა, ამაში ადვილად დავრწმუნდებით, სხვათა შორის, შემდეგი პარაგრაფებიდანაც (§§ 20—23), სადაც მთავარი ყურადღება სულ სხვაგვარ მოვლენასა აქვს მიქცეული.



<sup>1</sup> მაშასადამე, უნდა უკუგდებულ იქმნეს ის მცთარი შეხედულება, რომელსაც თითქმის ყველა გრამატიკოსი, ძველი და ახალი, იზიარებს, რომ ვითომც მეორე პირს ქართულ ზმნაში არც პრეფიქსი ჰქონდეს და არც სუფიქსი: „the 2nd (person) is in the majority of (georgian) verbs neither suffixed nor prefixed“ (M. Tseretheli, *Sumerian and Georgian*: JRAS 1914, გვ. 9). მიქელ წერეთელი, რომლის სიტყვები ჩვენთვის საყურადღებოა, როგორც წერილობითი გამოხატულება საზოგადო აზრისა და შეხედულებისა, პრეფიქსს ჰხედავს მხოლოდ ხ-არ (და ხ-უალ) ზმნაში, დანარჩენებში კი (the majority of verbs) არა.

<sup>2</sup> რომელიც წარმომდგარია კმოვნების წინ ჰაეს დაკარგვის გამო.



### III. ობიექტური კრედიტის მესამე პირისა ქველს ქართულში.

§ 13. რელატიური (სუბიექტ-ობიექტური) ზმნები. უკეთეს აბსოლუტური (სუბიექტური) ზმნის ფორმებს სინტაქსურად განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ისინი მხოლოდ შემასმენელსა და ქვემდებარეს შეიცავენ (მაგალ., მოკვუდ ზმნაში ქვემდებარეა მე, გარდამოჭკედ'-ში — შენ, ხოლო ზის ზმნაში — იგი). ამიტომ პირველი ჯგუფის ზმნათა უღვლილება არსებითად არ განსხვავდება ინდოურ-ევროპულისა, სემანთისა თუ თურქული ენების ზმნათა უღვლილებისაგან: აქაც და იქაც ზმნის ფორმა მხოლოდ ქვემდებარესა და შემასმენელს შეიცავს. მაგრამ ყველა ქართული ზმნა სუბიექტურ უღვლილებას როდი მისდევს. მცირეა შედარებით იმ ზმნათა რიცხვი, რომელნიც თავის ფორმებში შემასმენელს გარდა მხოლოდ ქვემდებარეს გამოჰხატავენ. უდიდესი ნაწილი კი ქვემდებარესთან ერთად დამატებასაც შეიცავს და ეს გარემოება მეტის-მეტად თავისებურ ელფერს აძლევს ქართული ზმნების უღვლილებას.

მეორე ჯგუფის (სუბიექტ-ობიექტური) ზმნების დამახასიათებელი თვისება ის გახლავს, რომ ვერ აწარმოებთ ერთ ფორმასაც კი, რომ მასშიაბა თუ იმ პირის დამატება არ იყოს გამოხატული. გარდამავალ ზმნებს ქართულში არა აქვთ აბსოლუტური ე. ი. დაუმატებელი ფორმები, როგორც პროფ. ნიკო მარტი ჰფიქრობს<sup>1</sup>, არამედ აქვთ მხოლოდ რელატიურები, ე. ი. ისეთი ფორმები, რომელნიც დამატებებს პირსაც გვიჩვენებენ. ქართული ზმნების დიდი უმეტესობის უღვლილების დროს სათვალავში მისაღებია არა მართო ქვემდებარის პირი, არამედ დამატებისაც. ამიტომ ქართულ ზმნას უფრო მეტი ფორმები აქვს, ვიდრე სხვა ენებისას: აქ ყოველ დროსა და კილოში ზმნას იმდენი ფორმა აქვს, რამდენი კომბინაციაც არის შესაძლებელი ქვემდებარე-დამატების პირებსა და რიცხვებს შორის<sup>2</sup>.

<sup>1</sup>) Основные таблицы, ტაბულა VIII და შემდეგი.

<sup>2</sup>) კომბინაცია პირველი სუბიექტური პირისა პირველს ობიექტურთან და მეორე სუბიექტურისა მეორეავე ობიექტურთან შეუძლებელია. ამას გარდა, ობიექტის რიცხვი ზოგჯერ არ არის ხალმე აღნიშნული.

### § 14. შინაგან-გარეგანი ქვემდებარე და დამატება.

ორის სხვა-და-სხვა ოდნობის, — ქვემდებარისა და შემასმენლის, — გამოსახატავად სუბიექტ-ობიექტურ უღვლილებას შესაფერისი მორფოლოგიური ელემენტებიც აქვს და ამიტომ სუბიექტურ პრეფიქს-სუფიქსებს გარდა უღვლილებაში აქ ობიექტის აღნიშვნელი ნაწილაკებიც იღებენ მონაწილეობას. ამ ნაცვალსახელებრივი ნაწილაკების სახით ზმნის ფორმაში ჩაქსოვილია ქვემდებარისა და დამატების პირებიც, რომლებიც, გარეგან ქვემდებარე-დამატებისაგან რომ გავარჩიოთ, შინაგან ქვემდებარესა და შინაგან დამატებას წარმოადგენენ. მაგალითად, ამ წინადადებაში: *იაკობ სტა ესავს ჰური* (შექმნათაჲ მნ 34) იაკობ ქვემდებარეა, მაგრამ გარეგანი ქვემდებარე; ამგვარადვე *ჰური გარეგანი და მატებაა*; სტა ზმნაში კი შემასმენელს გარდა ორი შინაგანი დამატებაა გამოხატული: მას, იგ. შინაგან-გარეგანი ქვემდებარე ან დამატება ლოლიკურად ერთ მთლიან რასმე წარმოადგენს, მაგრამ გრამატიკულად უპირველესი მნიშვნელობა შინაგან ქვემდებარე-დამატებას აქვს, რადგანაც უამათოდ ზმნის ფორმა, მაშასადამე აზრის გამოხატვაც, შეუქლებელია.

რადგანაც სხვა ენების ზმნაში მხოლოდ ქვემდებარის პირია აღნიშნული, ქართულ ზმნაში კი აგრეთვე დამატებაც, ამიტომ უცხო ენიდან თარგმნის დროს ქართველმა ყოველთვის ანგარიში უნდა გაუწიოს იმ გარემოებას, თუ რომელი პირის დამატებაა უცხო ენაში ნაგულისხმევი (როცა ის იქ გრამატიკულად პირდაპირ აღნიშნული და გამოხატული არ არის), რომ ქართულში მას შესაფერისი ფორმა მოუნახოს და თარგმანი სწორი გამოიყვანოს. ამიტომ, მაგალითად, ბერძნული *Ἰσὺριε ἔλθησεν*, სადაც დამატება გამოხატული არ არის და რომელიც სომხურად და სლავურად დაუმატებლადვეა გადათარგმნილი (*მწერ ილიქმხაყ, Господи помыши*), ჩვენს ძველებს ასე გადმოუთარგმნიათ: უფალო შემაწყაღენ<sup>1</sup>. ბერ-

1) შემდეგში, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიული განვითარების გამო, ეს ასე გადმოკეთდა: უფალო შეგვწყაღენ, უფალო შეგვწყაღე.

ძნულში და აგრეთვე სომხურ-სლავურ თარგმანში ნათლად არა ჩანს, — რადგანაც გრამატიკულად გამოხატული არ არის, — თუ ვინ არის შესაწყალბელი, ქართულში კი წყალობა პირველი პირისთვისაა (მ — ნ=ჩუენ) გამოთხოვილი<sup>1</sup>. მაგრამ ეგვევ ბერძნული კვრიე ელეჟსონ წესის აგების კუერეკსში ცოტა სხვანაირად არის გადმოღებული: უფალო შეიწყაღე (და თუ მიცვალებული ერთზე მეტია — უფალო შეიწყაღენ). მაშასადამე, ერთი და იგივე დაუმატებელი ბერძნული ზმნა (ელეჟსონ) სხვა-და-სხვა შემთხვევაში სხვა-და-სხვა გვარად არის გადმოთარგმნილი. ეს იმიტომ, რომ ქართული მოქმედებითი ზმნის უღვლილებაში შეუძლებელია დამატების პირი (შინაგანი დამატება) გამოხატული არ იყოს.

§ 15. ორგვარი დამატება. დამატება ორგვარია: ერთი დგას სახელობით ბრუნვაში (იგი), ხოლო მეორე მიცემითში (მას). ზოგი ზმნა დამატებას სახელობითში მოითხოვს, ზოგი მიცემითში, ზოგი(ე) კიღვე იმაშიაც და ამაშიც (მას იგი). ობიექტური სუფიქს-პრეფიქსების კმარების მკრით კი სულ ერთი არ არის, სახელობითში აქვს ზმნას დამატება (იგი), თუ მიცემითში (მას); თუმცაღა სახელობით დამატებიანისა და მიცემით დამატებიანი ზმნის უღვლილებას საერთო ბევრი რამ აქვს, მაგრამ მათ შორის განსხვავებაც არის, და ღიღი განსხვავებაც. ამიტომ ერთიცა და მეორეც ცალკ-ცალკე უნდა განვიხილოთ.

1) ბერძნულის მკოდნე პირები ჰგრძნობდენ, რომ ქართული თარგმანი სისწორით ვერ გადმოკვეცემს იმას, რაც ბერძნულშია გამოხატული ამიტომ ცდიღან, რომ ბერძნული ფორმა რაკორმე უფრო დაახლოვებით გადმოეღოთ. გიორგი მერჩულის თხზულებაში ვკითხულობთ: ქართლად ფრიაღი ქუეყანაა აღირაცხების, რომღესაცა შინა ქართულითა ენითა უში შეიწირგის და დოცვაა ყოველი აღსრულების, ხოლო კვრიეღეღასონი ბერძულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: უფალო წყაღობა ყავ, გინათე უფალო შეგვწყაღენ (გრ. ხანძთ. მზ 5—8).

### А. სახელობით დამატებიანი ზმნები.

**§ 16. სახელობით დამატებიან ზმნათა დრო-კილოები.**  
დამატება სახელობით ბურნვაში შეიძლება მხოლოდ ისეთ ზმნას ჰქონდეს, რომელიც ნამყო სრულის ჯგუფის დრო-კილოებშია დასმული (ნამყო სრული, ნამყო მრავალგზითი, მყობადი ანუ ნატვრითი კილო). ამიტომ ჯერ-ჯერობით, სახელობით დამატებიანი ზმნების განხილვის დროს, ჩვენთვის მხოლოდ ეს დრო-კილოებია საჭირო.

**§ 17. სახელობით დამატებიან ზმნათა ობიექტური ნაწილაკები.** უკეთუ ზმნას დამატება სახელობით ბურნვაში აქვს, ობიექტური პრეფიქსები მას მხოლოდ პირველისა და მეორე პირისათვის მოეპოვება, მესამე პირის ობიექტის აღსანიშნავად კი (O<sub>3</sub>) მას არავეთარი ნაწილაკი არ გააჩნია. მიუხედავად ამისა, ობიექტური პირების ფორმები ზმნაში კარგად არის ერთ-ერთისაგან გარჩეული და განსხვავებული, მართლაც და, პირი ხომ სამია სულ: პირველს თავისი ობიექტური ნაწილაკი ახსიათებს, მეორესაც კიდევ თავისი, ხოლო მესამე პირისთვის განსაკუთრებული ობიექტური ნიშნის შექმნა ენას საჭიროდ აღარ დაუნახავს, რადგანაც მას ახსიათებს სწორედ ობიექტური პრეფიქსის უქონლობა. ამგვარად, ობიექტური პირების ერთ-ერთისაგან გარჩევა იმითი კერძდება, რომ ყოველ მათგანს განსაკუთრებული ფორმა აქვს, რომელთა არევაც შეუძლებელია: პირველში ერთი პრეფიქსია, მეორეში სხვა პრეფიქსი, მესამე პირი კი სრულიად უპრეფიქსოა. ცხადია, რომ, სახელობით დამატებიან ზმნაში პირველისა და მეორე პირის ობიექტურ ნაწილაკს თუ არა ვპხედავთ, მაშასადამე, მესამე ობიექტურ პირთან გვაქვს საქმე<sup>1</sup>. თანაც ობიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად და კერძოდ მესამე პირის დამატების მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად ძველს სალიტერატურო ქართულს მოეპოვება განსაკუთრებული სუფიქს-ინფიქსი წარი,

<sup>1</sup>) ეს ფორმალური ხასიათის შესწორება ყოველთვის უნდა გვაკავშირდეს, როცა ვამბობთ, რომ შინაგანი დამატება აუცილებლად უნდა იყოს ზმნის ფორმაში გამოხატული.

რაცა შეუძლებლად ჰქდის, მესამე ობიექტურა პირის მხოლო-  
ბითი რიცხვის ფორმა სხვა და-სხვა ფორმებთან აგვეკრიოს <sup>1</sup>.

სახელობით დამატებიანი ზმნის ობიექტური ნაწილაკები  
(O<sup>n</sup>) შემდეგია:

|                |   |   |   |
|----------------|---|---|---|
| პირი           | 3 | 2 | 1 |
| O <sup>n</sup> | — | გ | მ |

როცა ეს ობიექტური პრეფიქსები სუბიექტურებს (ტაბუ-  
ლა II) შეჰხვდება, სუბიექტურები დაიკარგება, ობიექტურე-  
ბი კი დარჩება ხოლმე. შემდეგი ტაბულა, რომელიც მეორე  
ტაბულის (გვ 4) განვითარებას წარმოადგენს, ნათლად გვი-  
ხატავს საქმის ვითარებას:

**ტ ა ბ უ ლ ა V.**

(სქემა სახელობით დამატებიანი ზმნის უღვლილებისა <sup>2</sup>)

|           |      |                   |               |               |   |
|-----------|------|-------------------|---------------|---------------|---|
| სუბიექტის | პირი | ობიექტის          |               |               |   |
|           |      | პირი              | 3             | 2             | 1 |
| მხოლ. რ.  | 3    | —ა,ო,ს,ნ          | გ—ა,ო,ს,ნ     | მ—ა,ო,ს,ნ     |   |
|           | 2    | ჰ(-) ს(შ)—ე,ო,-   |               | მ—ე,ო,-       |   |
|           | 1    | ფ—ე,ო,-           | გ—ე,ო,-       |               |   |
| მრავლ. რ. | 3    | —ეს,ენ,ან,ედ      | გ—ეს,ენ,ან,ედ | მ—ეს,ენ,ან,ედ |   |
|           | 2    | ჰ(-) ს(შ)—ეთ,ით,თ |               | მ—ეთ,ით,თ     |   |
|           | 1    | ფ—ეთ,ით,თ         | გ—ეთ,ით,თ     |               |   |

§ 18. ფონეტიკური წესები სახელობით დამატებიან  
ზმნათა უღვლილებაში. ზემორე მოყვანილი ტაბულიდან (ტა-  
ბულა V) ჩანს, რომ სახელობით დამატებიანი სუბიექტურ-  
ობიექტური ზმნა, რომელსაც მესამე პირის დამატება მხოლო-

1) ფორმა, რომელიც მესამე სუბიექტურსა და მესამესამე ობიექტურ  
პირს შეიცავს (ჰ<sup>3</sup>ჰ<sup>3</sup>), ყველაზე უფრო მარტივია სახელობით დამატებიანი  
ზმნის ფორმებში. ამიტომ ეს ფორმა შე დასაწყის ფორმად მივიღე და  
ამგვარი დაწყება უღვლილებისა გადავიტანე ამ ზმნებიდან და განვავრცე  
სუბიექტურ ზმნებსა და აგრეთვე მიცემით დამატებიან ზმნებზედაც.

2) საქმე რომ არ გართულდეს, მოგვეყვას ისეთი ფორმები, სადაც  
დამატება მხოლოდით რიცხვშია ნაკულისხმევი.

ობით რიცხვში აქვს<sup>1</sup>, სწორედ იმგვარადვე იუღვლება, როგორც სუბიექტური ანუ სრულიად დაუმატებელი ზმნა (ტაბულა II). ფორმალურად მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის, მაგრამ მნიშვნელობის მკრით განსხვავება დიდია: სუბიექტურ ზმნას დამატება არა აქვს, აქ კი იგი თავისთავად იგულისხმება, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად, რაიმე ობიექტური ნაწილაკის სახით, ეს დამატება გამოხატული არ არის.

რა თქმა უნდა, მეორე სუბიექტურ პირში ფონეტიკური წესები აქაც ისეთივეა, როგორც სუბიექტური უღვლილების განხილვის დროს ვნახეთ (§ 4), ე. ი.

ა) სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა ჰაე კმოვნების წინ იკარგება;

ბ) ენის წვერისმიერი ბგერებისა (ტ, დ, თ) და სისინა აფრიკატების წინ (წ, ძ, ც) მის ადგილს იკერს სანი;

გ) ხოლო ამ უკანასკნელს შიშინა აფრიკატების წინ (ჭ, ჯ, ჩ) ჩვეულებრივ შინი ენაცვლება ხოლმე.

**§ 19. ბრძანებითი კილო სახელობით დამატებიან ზმნათა უღვლილებაში.** რაკი სახელობით დამატებიანი ზმნის მესამე ობიექტური პირის უღვლილება ფორმალურად იგივეა, რაც სუბიექტური ზმნისა, ბრძანებითი კილოს მეორე სუბიექტური პირი—მესამე ობიექტური პირი (2<sup>530</sup>) აქაც განსხვავდება მოთხრობითისაგან (ნამყო სრულში) და მოთხრობით-ნატვრითისაგან (ნამყო უსრულში). განსხვავდება იმითი, რომ ბრძანე-

<sup>1</sup>) მესამე პირის დამატება მრავლობითშიაც რომ იყოს, ობიექტური პრეფიქსების კმარების მკრით უღვლილება მაინც ერთი იქმნება; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მრავლობითში დაყენებული დამატების აღსანიშნავად ზმნის ფორმის ბოლოში ობიექტური სუფიქს-ინფიქსი ნარი ჩნდება ხოლმე

ბით კილოს არა აქვს  $S_2$ , რომელიც სხვა კილოებისათვის აუცილებლად არის საჭირო<sup>1</sup>.

NB. შრავალგზითი ნამყოფისაგან ბრძანების გამოსახატეად ნასესხებ ფორმებში  $S_2$  შენახულია<sup>2</sup>.

ნათქვამის დასამტკიცებლად საკმარისია მოვიყვანოთ რამოდენიმე ზმნის პარადიგმები. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ რადგანაც ბუნდოვანი და გამოსარკვევი საკითხი მხოლოდ მესამე ობიექტური პირის ფორმები არის, ამიტომ ქვემოთ მოყვანილ პარადიგმებში ისეთი ფორმებია ნაჩვენები, სადაც დამატება მესამე პირშია დაყენებული.

<sup>1</sup>) ამ ფორმალურ განსხვავებას ყურადღებას არ აქცევენ და ზოგჯერ ბრძანებითი კილო მოთხრობითად მიუღიან და მოთხრობითი კიბრძანებითად.

მაგალითად, შემდეგი წინადადება: ყვითლად აღორძნდა, შატბერდო, და შეიპყე მადლითა და განძლიერდი ძალითა ღმრთისაჲთა (გრიგ. ხანჭთ. ომბ 16—18) პროფ ნ. მარტს ასე აქვს გადათარგმნილი (თავი LXXIII 16—17): „во благо возникъ ты, Шатбердъ, украсился благодатью Бога, окрѣпъ Его силою“, მაშინ როდესაც ნამდვილად ამას პნიშნავს: *возродись во благо, Шатбердъ, украсься благодатью Бога, укрѣпись Его силою!* (დედანში სწერია: განძლიერდა და არა განსძლიერდა).

ან კიდევ: ძლიერად დაქლევნო ქლქი ესე: მახული დაეცოთ ქართა და ნიავთა (მოქცევაჲ 779 3—4) გამომტკემელს ასე გაუგია (Источники груз. лѣтописей, გვ. 92 21—23): „Сильно разгромите этотъ городъ! Поразите мечемъ вѣтеръ и зефиръ!“ მაშინ როდესაც ასე უნდა ითარგმნოს: „*Вы сильно разгромили этотъ городъ* (დედანშია: დაქლევნო და არა დაღევნო): *мечемъ поразили даже вѣтеръ и зефиръ*“.

2) ძველს ქართულში ეს ბრძანებითი კილო იშვიათად იმარება (მდრ. გვ. 4, შნშ.). სულ რამოდენიმე მაგალითი შემიძლია დევასახელო: სამ გზის წელიწადსა დღესასწაული ჰყვით ჩემი (გამოსლევათაჲ 23 14); ენი, რნი გინდეს თქვენ, რა გიუნ ვაცთა, ეგრეთა თქვენ ჰყვით მათა მიმართი (მათე 7 12);

უკეთუ წელი იუოს, მოქკლით იგი! (გამოსლევათაჲ 1 16);

მოიკითხოთ იგი და სთქვთ (მათე 10 12 ვარ იან ტი); აქ მოსალოდნელი იყო მოიკითხოთ, მაგრამ ან კელნაწერშია გადაწერლის შეტომა, ან და გამოცემაში აღნიშნული არ არის).

§ 20. ზმნა თუ თანკმოვნით იწყება. როდესაც სახელობით დაპატებიანი ზმნა თანკმოვნით იწყება<sup>1</sup>, მესამე ობიექტურ პირში მას ისეთი უღვლილება აქვს<sup>2</sup>, როგორც მსგავსი ბგერით დაწყებულ სუბიექტურ ზმნას (§ 7). აი საბუთებიც:

იმ. ყო იგი (ყვნა იგინი):

- 3 3. ვინ ყო საქმს ეგი (შექმნათაა 21 26); და ყოს კბოა ესე, ვა სახელ უო კბოა იგი ცოდვისაჲ; ეგრევე ყოს ესე და ღხინება ყოს მისთვის მღდელმან მან (ლევითელთაა 4 20); მათ ევეს ეგრე (გამოსლვათაა 14 4).
- 2 " ჰეუგ ესე (შექმნათაა 20 6); ჰეუგ წყალბაჲ (შექმნათაა 24 14); ესრეთ ჰეუ (გამოსლვათაა 22 30); რომელმან უმეტესად ჰევი ჩუენისა თხოვისა და გუჟასემის ყოფისა (სამლუდელოძღ. ეამ. წ. რძმ 13—15).
- 1 " ვეუგ ესე (შექმნათაა 20 5); ვევი წყალბაჲ (გამოსლვათაა 20 6); რაჲ ესე ვეუგთ? (გამოსლვათაა 14 5).
- ბრძანებითი კ.
- 3 " რი აღმოიკითხვიდეს, გულისხმა ყავნი (მათე 24 15); უვარ ყავნი თავი თვისი (იე ბოლნელი 58 6—7=მარკოზ 8 34); წყალბა ყავნი უფალმან ჩუენ ზედა! (გრიგ. ხანძთ. 59 1).
- 2 " რლ ვეუგ შენთან, ყავ ჩემთან! (შექმნათაა 21 23); ყავ წყალბაჲ! (შექმნათაა 24 12); ესრე უავთ და სტხონდეთ (შექმნათაა 42 18).

1) თუ ეს თანკმოვანი არ არის ამ სამ წყებათა ერთ-ერთ ბგერათაგანი: ტ, დ, თ; წ, ძ, ც; ჰ, ჯ, ჩ (ამათზე ქვემოთ, §§ 22, 23).

2) პრეფიქსების კმარების მკრით, რასაკვირველაა. სუფიქსების კმარების მკრითაც ერთი-და-ორიგეობაა, თუ რომ დამატება მხოლოდით რიცხვშია და არა მრავლობითში.

სიტყვამ მოიტანა და: რადგანაც ჩვენ მხოლოდ პრეფიქსები გვინტერესებს. ამიტომ შემდეგში აღარ გამოვეყილებით იმ წვრილმანს, რომ მრავლობით რიცხვში დაყენებული სახელის აღსანიშნავად ზმნის ფორმაში სუფიქს-ინფიქსი ნარი ჩნდება ხოლმე (გვ. 12, შნშ.).



ივ. მო-კლა იგი (მო-კლნა იგინი).

- 3 3. შეიპერა ამირაჲ სჳჳე და მოკლა (ატენის სიონის წარწ. 2783 ლ 4 სტრიქონი); მოკლა შეეგჳტელი იგი (გამოსლვათაჲ 212); წიგნმან მოკლის (სახისმეტყუელი იმ32); უეუეთუ... მოკლას იგი (გამოსლვათაჲ 2114); რწ მოკლას ძმად თჳსი (იპოლიტე § 32, როსკიპთან ნახე); შეიპერეს იგი და მოკლეს (მარკოზ 128); ერმან ჳურიათამან... მოკლეს სიტყუაჲ იგი (სახისმეტყუელი ლა9—11); მოკლიან იგი (სახისმეტყუელი ზ 27—28); მოკლან იგი (მათე 17 22, მარკოზ 9 31); რწ მოკლან იგი (მათე 27 1); რწმცა მოკლეს იგი (მათე 26 59, მარკოზ 14 1).

დაკლა კობა იგი (ლევიტელთაჲ 9 18); დაკლა კრავი იგი (ანტ.-რავ. 83 4—5); დაკლეს თიკანი თხათაჲ (შექმნათაჲ 37 31); ვითარცა ცხოვარი დაკლიან (წარტყ. იერუს. კა 5).

- 2 „ ვა მოჳკალ შეეგჳტელი იგი (გამოსლვათაჲ 2 14); ვწმცა მოჳკალ მართალი უღმრთოჲსა თახს (შექმნათაჲ 18 25); მოჳკალ სიუდიდი (ძე. სას. პოეზ. ტომ 57); არა კაც ჳკლა! (გამოსლვათაჲ 20 13, მათე 5 21, 19 18, იპოლიტე § 33, როსკიპთან ნახე); უბრადოჲ და მართალი არ მოჳკლა! (გამოსლვათაჲ 23 17); მოჳკალთ თავისა მაცხოვარი და მკსნელი (მოქცევაჲ 76 5 4).

მსკავსად მელქისედეკისა დაჳკალ თავი შენი, ნეტარო (ძე. სას. პოეზ. რაჲ 47—48).

- 1 „ მოჳკელი (იპოლიტე XLIII 22); შე მოჳკლა იაკობ ძმად ჩემი (შექმნათაჲ 27 41); შე მოჳკლა ძწ შენი ჰირმომო (გამოსლვათაჲ 4 23); უეუეთუ მოჳკალთ ძმად ჩწნი (შექმნათაჲ 37 26).

ბრძანებითი კ.

- 3 „ მოკლან კაცად-კაცადმან ძმად თჳსი! (გამოსლვათაჲ 32 27); დაკლან იგი უწ სიმრავლემან კრებულისა ძეთა იწლი-სათამან მიმწუხერი! (გამოსლვათაჲ 12 6).
- 2 „ მოკალთ იგი (გამოსლვათაჲ 21 14).

დაკალთ საკლელები (შექმნათაჲ 43 16).

იზ. ქმნა იგი, შე-ქმნა იგი (ქმნა იგინი, შე-ქმნა იგინი).

- 3 3. დასაბამად ქმნა ღწ ცაჲ და ქენაჲ (იერუს. განჩ. 312 17=შექმნათაჲ 1 1); ექუსთა მათ დღეთა შექმნა ღწ ცაჲ და ქენაჲ (გამოსლვათაჲ 20 11); რომელმან დასაბამს ქმნა ცაჲ და ქუეყანაჲ დაუსაბამომან ღმერთმან (ძვ. სას. პოეზ. 3 13); არა ქმნა მუნ ძალი არცა ერთი (მარკოზ 6 5); რწ ქმნეს ძალი სახელათა ჩემითა (მარკოზ 9 39); ეწ, რწ ქმნეს საქმებ მას შინა (გამოსლვათაჲ 31 14); ქმნის (თუალთაჲ 30 19); რწლთა პირუტყუ ქმნეს თავი თავი (სახისმეტყუელი იმ 54—55); შექმნეს ჯწრი იგი (მოქცევაჲ 793 20).
- 2 „ შენ შექქმენ თაბორი და ერმონი (იერუს. განჩ. 50 11—12); კაცი, რომელი შექქმენ სატად შენდა (ძვ. სას. პოეზ. რამდ 6—7); არამე იცია, რაჲ ჰქმნე? (იწე ბოლნელი 59 15—16); ეწ საქმებ ჰქმნეთ მას დღესა შინა (გამოსლვათაჲ 12 16).
- 1 „ აქაცა არარა ვქმენ ბოროტი (შექმნათაჲ 40 15); ვქმენ მას შინა საქმებ (მოქცევაჲ 801 10); მოძღუარ, რაჲ ვქმნე? (იწე ბოლნელი 59 13); რწ საქმებ ვქმნე (მარკოზ 10 17); შევქმენით რწ ჯწრი იგი (მოქცევაჲ 793 21); ვქმნეთ აქ სამ ტაღავარ (მარკოზ 9 5).

ბრძანებითი კ

- 2 „ მონასა ჩემსა [ვპრკვ]:ქმენ ესე და ქმნის ესე (მათე 8 9); ექუს დღებ იქმოდე და ქმენ ეწ საქმებ შენი! (გამოსლვათაჲ 20 9); ხ თქუენ... ეგეგითარი საქმებ ქმენით! (სპევს. ელ. ღ მელ. 23 1—2).

იზ. ქადაგა იგი (ქადაგანა იგინი).

- 3 3. ძედ ღმრთისად ქადაგა (ძვ. სას. პოეზ. სმდ 112—113); ვითარცა ქადაგა პირველ სჯულმან (იქვე სმდ 303); პირველვე ქადაგა ცხოველსმოთუელი ვნებაჲ შესწეღისაჲ დაეით მამათ მთავარმან (იქვე სოზ II 8—9); რომელი ქა-

- დაგა ესია (იქვე 33 ვი); ვითარცა იგი ჰირველადვე ქა-  
დაგა განცხადებულად წინადასწარმეტყუელმან (იქვე ტმ3  
IV 1—2); შობაჲ შენი კორციითა... ჰირველვე ქადაგა ამ-  
ბაკომ (იქვე რმზ 44—45); საიდუმლოჲ ღმრთიისა გამო-  
ჩინებისაჲ ჰირველვე ქადაგა ამბაკომ (იქვე სლ 71); კრავად  
მადლისა ქადაგა განცხადებულად (იქვე სიზ 134—135).
- 2 პ. რომელიცა ჰქადაგე შენ (ძვ. სას. პოეზ. სთ 142—143);  
რომელი ჰქადაგე, წინამორბედო (იქვე სი 173, სიძ 169);  
ჰქადაგე, მამო, სამებაჲ ერთარსებაჲ (იქვე რიზ 38);  
ჰქადაგე სამებაჲ ერთ ღმრთეებად (იქვე რლბ 133—134);  
ქე მკსნელი ჰქადაგე, მოწამეო (ანტ.-რაე. 100 15—16);  
ისწავენ გამოუგულებელნი საიდუმლონი სამებისანი, ბსი-  
ლი, ჲ ჰქადაგენ ერსა შორის (ძვ. სას. პოეზ. შმ 2—3);  
ჰქადაგეთ, ღირსნო (იქვე შმ 156); ჰქადაგეთ ყოველთა  
მკსნელი (იქვე რკლ 104); ჰქადაგეთ ერთი ღმრთეებაჲ  
(იქვე შა 15);
- ბრძანებითი კ.
- 2 „ მივედ ქადაქად ლუდიისა და ქადაგტ მას შინა სახარებაჲ!  
(იოს. არიშათ. 27 4—6); ქადაგეთ უფლისა მკუდრეთით  
ადღკომაჲ! (ძვ. სას. პოეზ. 185).
- ით. შვა იგი (შვნა იგინი).
- 3 „ აბრაჰამ შვა ისაკ, ისაკ შვა იაკობ, იაკობ შვა იუდა (მა-  
თე 1 2); შვა უხუცესმან მან ძს (შექმნათაჲ 19 37);  
ათორმეტნი ნათესავი შეეს (შექმნათაჲ 17 20); შეეს ძს  
(მათე 1 21, 23) შეიან ვე შესლგადმდე ერმის ამქუმელთა  
(გამოსლვათაჲ 1 19); ეი წული, რი შეენ ებრაელთა  
(გამოსლვათაჲ 1 22).
- 2 „ გიხრდენ, ბერწო, რწ არა ჰშეგ (სახისმეტყუელი იბ 19);  
ვითარ ჰშეგ კორციითა უკორცოთა შემოქმედი? (ძვ. სას.  
პოეზ. რმვ 26—27); ჰშეგ ორი ბუნებაჲ ერთ ხატად (იქვე  
ტბ 363).
- 1 „ რომელ იგი მე ვშეგ (სკევს. ელ. ჲ მელ. 88 ვ); შეშა  
რიტად ვშეგ მკა? (შექმნათაჲ 18 13); ვშეგით სლი მ-  
ცხოვარებისა შენისაჲ (სახისმეტყუელი კბ 55—56).



- ა 44); რწის ჰოვოს იგი (მათე 18 13); რწი ეძიებდეს, ჰოვოს (მათე 7 8): ჩემთანა არა რაჲ ჰოვოს მან თესი (სახისმეტყ. 33—34); რწა ჰოოს მონამან შენმან მადლი წე შენსა (შექმნათაჲ 32 5); ჰოვეს იგი (მარკოზ 1 37); ჰოვეს კაცი (მათე 27 32); ჰოვეს კიცი იგი (მარკოზ 11 4); გწრ ჰოვეს ხსწ ერთი (მოქცევაჲ 800 15); ჰოვენეს იგინი (გამოსლევათაჲ 14 9); ჰოვიან იგი (თუალთაჲ 30 32); ვერ ჰოვიან სიტყუაჲ (ანტ.-რაე. 93 24—25); რაჲთა ჰოონ ღმრთისა მიერ წყალობაჲ (გრიგ. ხანძთელი ოზ 41—42); ნუ უკუე იკულეგდენ მონადირენი ღ ჰოვონ იგი (სახისმეტყუელი ბ 16—18).
- 2 3. რაჲ ჰბოე (შექმნათაჲ 31 37); არა ჰბოეე იგი (იქვე 38 23); ჰბოეე კითილი იგი მუშაკი (ძვ. სას. პოეზ. შა 13); აღულე ჰირი და ჰბოეო მას შინა სსწოარი (მათე 17 27); ჰბოო ღიღსა შაბათსა (იერუს. განჩ. 44 2—3 ქვ.); წამებაჲ თკდონბერსა გწ-სა ჰბოეო (ანტ.-რაე. 64 2—3); მუნ ჰბოვენე კარნი (ანტ.-რაე. 87 31); სდაცა ჰბოვენე ქუნასა შინა შენსა გნებანი იგი ქართლისანი (მოქცევაჲ 805 3); არა ჰბოვენით (მოქცევაჲ 756 2).
- 1 „ უკუეთუ გბოეე მადლი (გამოსლევათაჲ 33 13); უკუეთუ გბოეე მადლი (შექმნათაჲ 18 3); გბოეე კაცი ღწთი ძეთა შწს იესუსთა (იპოლიტე 2 207—208); გბოეე, რწი იგი შეიუარა სულმან ჩემმან (იქვე 25 6—7, 47—48); გბოეო... ღხინებაჲ უძღურებათა ჩემთაჲ (გრიგ. ხანძთელი ა 23); გბოევენ მოგზაურნი (მოქცევაჲ 749 5); რწნი გბოენ ენითა ქართველთაჲთა (ძვ. სას. პოეზ. ტმთ 19—20); ესე გბოეეთ (შექმნათაჲ 37 32); მოკუდავთა გბოეეთ უკუდავაებაჲ (ძვ. სას. პოეზ. ტქა IV 12); გბოეეთ (მოქცევაჲ 805 17, წარტყ. იერუს. ჯბ 15, 21, 22, 23, ჯბ 1, 2, 3, თუალთაჲ 36 27); გბოეენით (ვარიანტი გბოენით) მენ მოსრულნი ჰეტრე და ჰაჲლე (იოს. არიშათ. 75 7—8); გინაჲ გბოოთ ჩუენ კაცი სხუაჲ ესე გითარი? (შექმნათაჲ 41 39); რაჲთა გბოოთ შენდობაჲ ბრადთაჲ (ძვ. სას. პოეზ. სმც 147—148).
- ა. შ ა ნ ი ძ ე , ა , ღ 0 , ქ ა რ თ . ზ მ ნ ე მ შ ი .

ზემოთხსენილი მაგალითების მსგავსად იუღლებმა მე-სამე ობიექტურ პირში ყოველი სახელობით დამატებიანი ზმნა, რომელსაც თემა შემდეგი ბეგრებით ეწყება: კ, ყ, ლ, ხ, კ, გ, ქ, შ, უ, ს, ზ, ნ, რ, ლ, ვ, მ, პ, ბ, ფ, სახელდობრ: გან-კურია ი გ ი.

და-ყარა, შთა-ყარა ი გ ი.  
-ყო: და-ყო (ეამი, ღღ, თთუღ, წელი), მო-ყო (ყური), გამო-ყო, გან-ყო, შთამო-ყო, მი-ყო, შე-ყო, აღ-ყო (კელი); წმიდა ყო ი გ ი, გულისგმა ყო (ანუ გულისსმა ყო), იყარ-ყო, ღხინება ყო, ზრახვა ყო, წყალობა ყო, ღთცვა ყო, სირცხვიღეუღ ყო, მშუღობა ყო, კმა ყო, ღაღაღ ყო,<sup>1</sup> უყარ ყო, ღირს ყო, შეურაცხ ყო, უგუღებულს ყო, უღებ ყო ღ მისთანანი.

გამო-ხატა ი გ ი (ძვ. სას. პოეზ. 80 53).

გან-ხეთქა ი გ ი, გარღამო-ხეთქა (მტყუარმან გარღამოხეთქა: მოქტევაჲ 777 3).

გან-ხერხა ი გ ი (განჰხერხენ რტონი ი გ ი: სახისმეტყუელი 3 31-32).

გან-ხია ი გ ი (განეხი ი გ ი: ანტ.-რაგ. 81 24-25).

გან-კიცხა ი გ ი.

გან-კურნა ი გ ი.  
გუემა ი გ ი (აჰა ეგეკა გგუმნე უნი სზღვარნი შენნი მუური-თა: გამოსლვათაჲ 8 2).  
გმო ი გ ი (ჰგმთთ უთაღი: წარტყ. იერუს. 30 2); გან-გმო ი გ ი (სიტყუანი ჩემნი არა განჰგმენ: გრიგ. ხანძთ. მბ 104).

და-შრიტა ი გ ი.  
მო-სრა ი გ ი (ბრძანებითი: მოსარი გ ი!).

გამო-სახა ი გ ი.

საჯა ი გ ი, გან-საჯა, და-საჯა ი გ ი.

შე-სყარა ი გ ი.

და-სუა<sup>2</sup> ი გ ი, აღ-სუა, შე სუა ი გ ი

ღა სხნა<sup>2</sup> ი გ ი ნ ი, შე-სხნა ი გ ი ნ ი.

მო სზო ი გ ი (მო-სზნა ი გ ი ნ ი).

აღ-ზარღა ი გ ი გამო-ზარღა ი გ ი.

გან-ზომა ი გ ი (იოს. არიმათ. 55 4).

ზღო ი გ ი.

შე-ზღუღა, შემო-ზღუღა ი გ ი.

მო-ნაღირა ი გ ი.

1) ეს რთული ზმნა ზოგჯერ პრეფიქსს გადაჰსვამს ხოლმე: ვღაღაღ-ყავ (მოქტევაჲ 747 10), ვღაღაღყავ (წარტყ. იერუს. § 29, ა, 12) და ვღაღაღეუავ-კი! (ძვ. სას. პოეზ 33 9).  
2) დასუა იმარება, როცა დამატება მხოლოდითშია, ხოლო დასხნა, როცა დამატება მრავლობითშია.

|  |                                 |
|--|---------------------------------|
| გამო-ნახა ი გ ი.                       | მო-მეა ი გ ი (მომენეს უანნი:    |
| შთა-ნთქა ი გ ი.                        | ჭაგ. მასალ. 73 6).              |
| წ(რ)-რღუნა ი გ ი (ორივე რაე            | შე-მურა ი გ ი.                  |
| მაშინ არის შენახული, რო-               | შე-მუსრა ი გ ი, და-მუსრა ი გ ი. |
| ცა მათ რაამე პრეფიქსი                  | და-მწესა ი გ ი.                 |
| ჰყოფს <sup>1</sup> , მაგალ., წარჭრღუენ | გან-შოხა ი გ ი.                 |
| გესელი მაკუდინებელი: ძვ.               | ბრძანა ი გ ი.                   |
| სას. პოეზ. სქმ 5—6, ტშუ                | შე-ბდალა ი გ ი, და-ბდალა ი გ ი. |
| XXXIV 6—7).                            | და-ფარა ი გ ი.                  |
| გან-რუნა ი გ ი.                        | მო-ფისა ი გ ი (გამოსლ. 2 ვ).    |
| გან-რცხა ი გ ი.                        | და-ფექენა ი გ ი ნ ი (მოქტევაჲ   |
| მო რწუო ი გ ი.                         | 755 1).                         |
| და-ღეწა ი გ ი.                         | ად-ფსურა ი გ ი, აღმო-ფსურა      |
| -ვლო: მო ვლო ი გ ი, გან-ვლო            | ი გ ი ლ მისთანანი.              |
| ი გ ი.                                 |                                 |

§ 21. ზმნა თუ კმოვნით იწყება. კმოვნით დაწყებულ სახელობით დამატებიან ზმნას მესამე ობიექტური პირი იმ გვარადვე ეუღვლება, როგორც მსგავს თავიკლურიანი სუბიექტური ზმნა იუღვლება ხოლმე (§ 8). აქაც იმავე ფონეტიკურ მოვლენას აქვს ადგილი: სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა ჰაე ქრება და ამიტომ მოთხრობითი კილოს ფორმები გარე-გნულად ბრძანებითისას ემსგავსება ხოლმე. მაგალითად ავილოთ:

კბ. იხილა ი გ ი (იხილნა ი გ ი ნ ი).

|           | პირი | ნამყო სრ.          | ბრძანებითი კ. | ნამყო მრავალგზ.     |
|-----------|------|--------------------|---------------|---------------------|
| მხოლ. რ.  | 3    | იხილა              | იხილენ        | იხილის              |
|           | 2    | იხილე (<*ჰიხილე)   | იხილე         | იხილი (<*ჰიხილი)    |
|           | 1    | ვიხილე             |               | ვიხილი              |
| მრავლ. რ. | 3    | იხილეს             | იხილედ        | იხილიან             |
|           | 2    | იხილეთ (<*ჰიხილეთ) | იხილეთ        | იხილით (<* ჰიხილით) |
|           | 1    | ვიხილეთ            |               | ვიხილით             |

<sup>1</sup>) შღრ გან-ნათღდა (გვ. 10).

## ძმ. აღ ავსო იგი (აღ-ავსნა იგინი).

|          | პირი | ნამყო სრ.              | ბრძანებითი კ. | მყობადი                |
|----------|------|------------------------|---------------|------------------------|
| მხოლ.რ.  | 3    | აღ-ავსო                | აღ-ავსენ      | აღ-ავსოს               |
|          | 2    | აღ-ავსე (<*აღ-ჰავსე)   | აღ-ავსე       | აღ-ავსო (<*აღ-ჰავსო)   |
|          | 1    | აღ-ვავსე               |               | აღ-ვავსო               |
| მრავლ.რ. | 3    | აღ-ავსეს               | აღ ავსედ      | აღ-ავსონ               |
|          | 2    | აღ-ავსეთ (<*აღ-ჰავსეთ) | აღ-ავსეთ      | აღ-ავსოთ (<*აღ-ჰავსოთ) |
|          | 1    | აღ-ვავსეთ              |               | აღ-ვავსოთ              |

იხილა და აღ-ავსო ზმნის მსგავსად იუღღლება ყოველ სახელობით დამატებიანი ზმნის შესამე ობიექტური პირი, თუ კი თემა კმოვნით ეწყება; მაგალითად, უწყის იგი<sup>1</sup>. კმოვნებში აქ ჩვეულებრივ ინი და ანი მოდიან ხოლმე: ინი, როგორც ზმნათა მეორე ქცევის მაწარმოებელი კმოვანი, ანი კი, როგორც მეოთხისა და მეხუთე ქცევის ფორმატივი.

## ა) მეორე ქცევის (ი) ზმნები:

|  |                        |
|--|------------------------|
| აღ-იარა იგი.                           | აღ-იშენა იგი           |
| იკსნა იგი.                             | ისწავა იგი.            |
| მთ-იკსენა იგი.                         | იზრახა იგი.            |
| მთ-იყვანა იგი.                         | და-იმკვდრა იგი.        |
| შე-იყუარა იგი.                         | და-იმაზრა იგი.         |
| მთ-იღო იგი <sup>2</sup> , აღ-იღო იგი,  | და-იმორჩილა იგი.       |
| წარ-იღო იგი, ში-იღო იგი,               | შე-იპურა იგი.          |
| შე-იღო იგი და სხვ.                     | მთ-იპოვა იგი.          |
| მთ-იხუნა იგინი <sup>2</sup> , აღ-იხუნა | აღ-იტატა იგი.          |
| იგინი, წარ-იხუნა იგინი,                | შე-იწყინარა იგი.       |
| მი-იხუნა იგინი, შე-იხუნა               | მთ-იძულა იგი.          |
| იგინი და სხვ.                          | კამო-იძია იგი          |
| მი-იქუა იგი.                           | და-იტვა იგი.           |
| ინება იგი.                             | შთა-იტუა იგი.          |
| შე-ინანა იგი,                          | იტნა იგი.              |
| კამო-იჩინა იგი.                        | იტის იგი ლე მისთანანი. |

1) 1ავ<sup>0</sup> პირში ამ ზმნას S<sub>2</sub> ვინი ეკარგება შემდეგი ფონეტიკური წესის გამო ვთ > უ: შე უწყი (< შე \*ვეწყი), ჩუენ უწყი (< ჩუენ \*ვეწყი).

2) მო-ილო იკმარება, როცა დამატება მხოლოდობითშია (იგი), მო-იხუნა კი, როცა დამატება მრავლობითშია (იგინი).



ბ) მეოთხე ქცევის (ა) ზმნები:

- |                             |                |                              |
|-----------------------------|----------------|------------------------------|
| აღ-აღო იგი,                 | გან-აღო იგი,   | გან-ასრულა იგი.              |
| შე-აღო იგი.                 |                | გან-ამხარულა იგი             |
| აღ-ახუნა იგინი,             | გან ახუნა იგი- | აღ-ამაღლა იგი.               |
| ნი, შე-ახუნა იგინი.         |                | და-ამცირა იგი.               |
| აღ-აგო იგი (აღ-აგნა იგინი). |                | შე-ამოკლა იგი.               |
| გან-აგო იგი.                |                | და-აბნელა იგი.               |
| გან-ანათლა იგი.             |                | გან-ადიდა იგი.               |
| აღ-აშენა იგი.               |                | გამო-აფხვდა იგი ლ მისთანანი. |
| გან-აშუენა იგი.             |                |                              |

ც) მეხუთე ქცევის (ა — ინ/უნ) ზმნები:

- |                                   |                         |
|-----------------------------------|-------------------------|
| აღ-ადგინა იგი (აღ-ადგინნა იგინი). | გან-არინა იგი.          |
|                                   | შთა-აწვინა იგი.         |
| მი-აგლინა იგი, წარ-აგლინა იგი.    | აფთუნა იგი ლ მისთანანი. |

§ 22. ზმნა თუ ენის წვერისმიერი ბგერისა ან სისინა აფრიკატით იწყება. როდესაც სახელობით დამატებიანი ზმნა ენის წვერისმიერი ბგერისა (ტ, ღ, თ) ან სისინა აფრიკატით (წ, ძ, ც) იწყება, მისი მესამე ობიექტური პირი იმნაირადვე იუღვლება, როგორც მსგავსი თანკმოვნით დაწყებული სუბიექტური ზმნა (§ 9); მაგალითად:

ძღ. თქუა იგი.

3 პ. ხ მან თქუა (გამოსლევათა 8 10); გ<sup>ა</sup> სახის-მეტყუელ-მან თქუა (სახისმეტყუელი 2—3); რ<sup>ა</sup>ნ ძ<sup>რ</sup>ი თქუას მამისათჳს (სახისმეტყუელი 12—3); თქუეს (სახის-მეტყუელი 1052); სსუათა თქუეს (თუალთა 26 13—14); თქ<sup>ა</sup>ნ და არა ევიან (მათე 23 3); თქ<sup>ა</sup>ნ, მამასა კეროზ შეთვისსა აქემენიოს ერქუა (თუალთა 44 27); რაჲ თქ<sup>ა</sup>ნ წემთჳს? (მათე 16 13).

2 „ გ<sup>ა</sup> სთქუ (გამოსლევათა 8 10); რაჲსათჳს სთქუ, გ<sup>ა</sup>დ დაჲ შენი არს? (შექმნათა 12 19, 26 9 დაჲ ჩემი არს); რ<sup>ა</sup>წლისათჳს სთქუ (შექმნათა 19 21); ვიდოდეთ, გ<sup>ა</sup> ება სთქეთ (გამოსლევათა 12 32); სთქუათ, ქალანდრი ბილ-

წი მფრინველი არს (სახისმეტყუელი 3 47—49); შე-რად-მწუსრდის სთქ[ო]ჯთ (მათე 16 2) და განთიად სთქ[ო]ჯთ (მათე 16 3).

- 1 3. ვთქუ (შექმნათაჲ 24 42 31 31); ვითარცა წინადასწარ ვთქუ (თუალთაჲ 18 23); ვთქუა მრავლისაგან მცირელი (გრიგ. ხანძთ. ძბ 8); ვთქუთ (შექმნათაჲ 26 28); ად-ვთქუთ აღთქუმაჲ შენ თანა (შექმნათაჲ 26 28).

ბრძანებითი კ.

- 2 \* მოვედ ისაია წამე და თქუ! (იპოლიტე 5 16); თქუ, გ'დ დაჲ მისი ვარ (შექმნათაჲ 12 13); სიტყუთ ხ' თქუ! (მათე 8 8); ესე იბ'კოჲ შ'დგომ'დ სახარების თქუ! (იერუს. განჩ. 72 3—5); ესრეთ თქუთ! (მათე 28 13, იერუს. განჩ. 314 22); რ'ი გრქუან თქუენ ბნელსა შინა, თქუენ თქუთ ნათელსა შინა! (მათე 10 27).

ამ. და-წუა იგი, შე-წუა იგი (და-წუნხ იგინი, შე-წუნა იგინი).

- 3 3. დაწუა იგი ცეცხლითა (გამოსლვათაჲ 32 20); ქალა-ქ[ებ]ი იგი მათი მოწუა (ვარიანტი დაწუა) ცეცხლითა (მათე 27 7); ტფილისი დაწუა ბუღა (ატენის სიონის წარწ. მესამე სტრიქ.); ეკალი ურჩებისაჲ შე-წუა ცეცხლითა ღმრთეებისაჲთა (ძვ. სას. პოეზ. სლდ 157-158); უკუეთუ... მოწუას კალოჲ (გამოსლვათაჲ 22 6); ბეს' დაწუას ცეცხლითა უშრეტითა (მათე 3 12); გუამი შენი... ცეცხლითა დაწუეს (ძვ. სას. პოეზ. მდ XXIV 4); და დაწუან იგი, გ'ა სახედ დაწუეს კოჲ იგი პირველი ცოდვისა მისთჳს (ლევიტელთაჲ 4 41); და დაწუან იგი (იქვე 4 12); გ'ა იგი... ცეცხლითა დაწუან (მათე 13 40); შეწუეს ჯოჯოხეთი (ძვ. სას. პოეზ. სმ 3 1-2, სმ 256-257); გამოკდა ცეცხლი ღ'თისა მიერ და შეწუნა იგინი (ლევიტელთაჲ 10 2); ცეცხლებრმან სუღმან შენ-მან მართალმან შეწუნა მტერნი და მავნებელნი, უხილავნი და ხილულნი (გრიგ. ხანძთ. 54 10—11).

- 2 3. ეკლავანება სოფლისა საცთურისაჲ შესწვ (ძვ. სას. პოეზ. რიზ 4); შესწვ ეკლავანება მწვალუბელთაჲ (იქვე რლზ 124—125); შესწვენ ენანი მათნი (იქვე რლზ 85); შენ შესწვენ წყუდიადისა ს' თუჲკელნი (იქვე რლზ 9—10); და სწვენ ურჩებისა ეკაღნი ადამისნი (იქვე სლზ 103); და სწვენ ცოდვანი ჩუენნი (იქვე სლზ 2—3).

ბრძანებითი კ.

- 2 „ უკეთუ არა ღარს რაჲმე თოს, წიგნი ესე დაწვ და სიუცბაჲ ჩემი დაფარა! (დაჩის წერილი სტეფანე მტბეუარ ეპისკოპოსისადმი<sup>1</sup>); რ'ი დაშთეს განთიადმდე, ცეცხლითა დაწვთ! (გამოსლვათაჲ 12 10); დაწვთ იგი ცეცხლითა! (შექმნათაჲ 38 24); ნუშტი იგი კორცისაჲ და ჰურისაჲ ცეცხლითა დაწვთ! (ლევიტელთაჲ 8 32); სადაცა ჭზოგნე... კერპნი, ცეცხლითა დაწვენ! (მოქცევაჲ 806 3—4).

კმ. ცნა იგი.

- 3 3. არაჲ ცნა (შექმნათაჲ 19 33); ცნა კორცთაგან (მარკოზ 5 29); ცნეს (მათე 21 45, მარკოზ 12 12); ცნან უღთა ეგვბტელთა (გამოსლვათაჲ 7 5); ცნიან (თულთაჲ 30 31, იპოლიტე XXVII 7).
- 2 „ რ'ა სცნა და გულის ხმა ჭეო (მოქცევაჲ 770 4); ამით სცნა (გამოსლვათაჲ 7 17); სცნათ (გამოსლვათაჲ 6 7); რ'ა სცნათ (გამოსლვათაჲ 31 13).
- 1 „ აწ ვცნ ძალი (გამოსლვათაჲ 18 11); ამით ვცნა (შექმნათაჲ 42 33); რ'ა ვცნა (შექმნათაჲ 18 22, გამოსლვათაჲ 33 13).

ბრძანებითი კ.

- 3 „ ცანნ! (იპოლიტე XLIV 5).
- 2 „ ცანთ წარმართთა! (ძვ. სას. პოეზ. რზ 122—123, რლზ 42, ტზ 391, ტჟმ XXIV 9); ცანთ და გულის კმა უაუთ! (ი'ე ბოლნელი 9 6—7); ცანთ ძალი მისი, ცანთ, რ' კაცთმოუარე არს ღ'თი (იქვე 45 19—20).

<sup>1</sup>, ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ხრონიკა (1890), XI14.

ზემოთ მოყვანილი მაგალითების მსგავსად იუღლებად შემდეგი ზმნები:

ტანჯა იგი (ტანჯნა იგინი).

გან-ტუნა იგი.

წარ-ტუუნა, წარმო-ტუუნა იგი.

მო-დრიკა იგი.

გან-დევხა იგი.

თარგუნა იგი.

და-თრგუნა იგი.

თხარა იგი, მო-ახარა იგი (შერ-  
მე მო-ვე-თხარა ისაკ ჯურღმე-  
ლები იგი წყლისად, რ'ღ თხა-  
რეს მოხათა მაშისა მისისათა:

შექინათაა 26 18).

შე-თხზა იგი (შეთხზეს გვრგვინი:  
მათე 27 9).

გან-წირა იგი, შე-წირა იგი  
მისა<sup>1</sup>, ეამი შე-წარა.

გამო-წურა იგი (გამოეწურე სა-

სუმელსა შინა ფარაოხსსა: შე-  
ქმნათაა 40 11).

აღ-წონა იგი.

წევა იგი (აჰა ღედუ იგი, რ'ი  
სწევე: მარკოზ 11 21).

გან-წმიდა იგი.

მო-წყელა იგი.

მო-წყვდა იგი.

წარ-წყმიდა იგი.

-ძრა: შე-ძრა იგი, ად-ძრა იგი.

გამო-ცადა, გან-ცადა იგი.

ცვალა იგი, შე-ცვალა, გარდა-  
ცვალა იგი.

და-ცვა იგი (რამეღმან... ბეჭე-  
დნი დაცნა: ძვ. სას. პოეზ.

ტით 35-36)

ღ მისთანანი.

§ 23. ზმნა თუ შიშინა აფრიკატით იწყება. როდესაც სახელობით დამატებიანი ზმნის თემა შიშინა აფრიკატით იწყება (ჭ, ჯ, ჩ), მისი უღვლილება შესამე ობიექტურ პირში ისეთივეა, როგორც მსგავსი თანემოვნით დაწყებული სუბიექტური ზმნისა (§ 10); მაგალითად:

ძხ. ჭამა იგი, შე-ჭამა იგი.

პ 3. შეეცმან ბოროტმან შეჭამა იგი (შექმნათაა 37 20, 33);  
ჭამა და სუა და ადღა და წარვიდა (შექმნათაა 25 34);  
რუ სჭამის საჭმელი, განძის (სახი. შეტუეული 10018-19);  
რ'ა ჭამოს ჰური (გამოსლვათაა 2 20); ჭამეს და სუეს ღ  
ადღკეს (შექმნათაა 26 30-31); არა რაჲ აქუს, რამცა<sup>2</sup>  
ჭამეს (ვარიანტი რაჲ ჭამონ: მარკოზ 8 2); შე-

<sup>1</sup> შე-წირა ზმნა ძველს ქართულში მოითხოვს ნათესაობითს ბრუნ-  
ვას: მსხუერპლი შეწირა უფლისა ღ მისთანანი.

<sup>2</sup> -მცა ნაწილაკის სინტაქსური ძალის შესახებ იხ. ა. შანიძე,  
-მცა ნაწილაკი ძველს ქართულში (პრომეთე 1918, № 1).

ჭამნეს შუღთა მათ ზროხათა (|| თავთა)... შუღნი იგი ზროხანი (|| თავნი: შექმნათა 41 4, 7, 20<sup>1</sup>).

2 3. არა თუ ხისა მის შუგა (იე ბოლნელი 61 21 = შექმნათა 3 11); შუგა (იქვე 61 23); რა შუგა ვნებაჲ ესე (მარკოზ 14 13); რაჲსათჲს არა შეშუგათ? (ლევიტელთა 10 17).

1 „ ვუგა (შექმნათა 27 4, 7, ლევიტელთა 10 19, მარკოზ 14 14); ჰური გულის სათქუმი არა ვუგა (გრიგ. ხანძთ. ბ 54).

ბრძანებითი კ.

2 „ მიიღეთ და ჭამეთ! (მათე 26 26, სამლუდელოძ. ეამ. წ. ლს 1); შიიღონ ჰური და ჭამეთ! (შექმნათა 18 5); ჭამეთ იგი სწრაფით! (გამოსლვათა 12 11).

ჭამა ზმნის მსგავსად იუღლება: განჭრა იგი (განჭრნეს იგინი: წარტყ. იერუს. მბ 2), აღჭურა ანუ შეჭურა იგი ღ მისთანანი.

§ 24. დასკვნა. სახელობით დამატებიან ზნათა მესამე ობიექტური პირის უღელილების განხილვის შემდეგ (§§ 16 — 23) ჩვენ შეგვიძლია, მაშასადამე, დავასკვნათ, რომ

1. ძველს სალიტერატურო ქართულში მესამე პირის დამატების აღსანიშნავად სახელობით დამატებიან ზმნას არავითარი პრეფიქსი არ მოეპოვება, ე. ი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა (O<sup>III</sup>, შინაგანი დამატება) აქ უღრის ნულს<sup>1</sup>. აპიტომ, მაგალითად, სახელობით დამატებიანი ობიექტური ზნები შე-კრება ღ წარ-წყმიდა იმგვარადვე იუღლება, როგორც დაუმატებელი სუბიექტური ზმნები შე-კრება ღ წარ-წყმიდა.

ამასთანავე ერთად გამოირკვა, სხვათა შორის, ისიც, რომ

2. მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსი სახელობით დამატებიან ზმნებშიაც ჰ(-)||ს(შ) არის. ამგვარად, დამოწმებულია ღ დადასტურებული ყველაფერი, რაც ნათქვამია ამ პრეფიქსის შესახებ ზემოთ, 3—12 პარაგრაფებში.

<sup>1</sup> მაშასადამე, არ არის მართებული ისეთი ფორმა, როგორცაა ვუსტე, ჰუსტო და მსთანანი (Н. Марр, Основные таблицы, ტაბულა XV).

### ბ. მიცემით დამატებიანი ზმნები.

**§ 25. მიცემით დამატებიან ზმნათა დრო-კილოები.** დამატება მიცემით ბრუნვაში ზმნას შეიძლება ნამყო სრულის ჯგუფის დრო-კილოებშიაც ჰქონდეს ზე აწმყოს ჯგუფისაშიაც.

აწმყოს ჯგუფის დრო-კილოებში დამატება მიცემით ბრუნვისა ორგვარია: ერთი აქაც მიცემით ბრუნვაშია დასმული ზე ნამყო სრულის დრო-კილოებშიაც. ხოლო მეორე, აწმყოში რომ მიცემით ბრუნვაში დგას, ნამყო სრულში დამატებად უკვე სახელობით ბრუნვაში გადადის. ძველი მწერლობის ენა სრული თანკობით არ აუღლებს ორ სხვა-ზე-სხვა გვარ მიცემით დამატებიან ზმნას. ამიტომ ჯერ-ჯერობით ჩვენ მხოლოდ ისეთ ზმნებს შევებებით, რომელთაც მიცემითი დამატება ნამყო სრულის ჯგუფის დრო-კილოებში აქვთ ზე რომელთაც გვევ დამატება აწმყოს ჯგუფისაშიაც ბრუნვა-უცვლელად გადმოჰყვებათ: ხოლმე.

**§ 26. მიცემით დამატებიან ზმნათა ობიექტური ნაწილაკები.** ჩვენ ვნახეთ (§§ 16-24) რომ, როცა შესამე პირის დამატება სახელობით ბრუნვაში დგას, ზმნას არავითარი ობიექტური პრეფიქსი არ გააჩნია. სულ სხვაა, როცა დამატება მიცემით ბრუნვაშია დაყენებული. ამ შემთხვევაში ზმნას განსაკუთრებული ობიექტური ნაწილაკი აქვს არა მარტო პირველისა ზე მეორე პირისათვის, არამედ შესამისთვისაც<sup>1</sup>. ეს ნაწილაკი, — რომელიც ერთია მხოლოდობით რაცხეშიაც ზე მრავლობითშიაც<sup>2</sup>, —

<sup>1</sup>) მიცემით ბრუნვაში დაყენებულ სახელი ზოგჯერ დამატება კი არ არის, არამედ ადგილის გარემოება. ამიტომ ასეთ შემთხვევაში ობიექტურ პრეფიქსს, რასაკვირველია, ზმნის ფორმაში ვერა ეპყვადეთ; მაგალითად: შოკადა წყალსა; ქვეყანაჲ, რომელსა გამოდის სძპ და შაფლი (გამოსლვათაჲ 18 ნ, 33 3) ზე მისთანანი.

<sup>2</sup>) საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ პრეფიქსები (როგორც სუბიექტურები, ისე ობიექტურები) საერთონი არიან ორთავე რიცხვში. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ობიექტური პრეფიქსი პირველი პირისა (O<sub>1</sub>), რომელიც რიცხვის მიხედვითაც განირჩევა (მ|ტჟ), განსაკუთრებით ახალ ქართულში.

ფონეტიკურად იგივეა, რაც სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა, ე. ი.  $\text{ჩ}(-)\|\text{ს}(\text{შ})$ , იმის მიხედვით, თუ რა  $\text{ღ}$ - $\text{რა}$  ბგერით იწყება ზმნის თემა პირველსა  $\text{ღ}$  მეორე პირს აქაც ისეთივე ობიექტური პრეფიქსები აქვთ, როგორ სახელობით დამატებიან ზმნაში. ამიტომ ორთავე გვარის ზმნათა ობიექტური ნაწილაკები შემდეგ შესაღარებელ ტაბულას გვაძლევენ:

**ტ ა ბ უ ლ ა VI.**

(ობიექტური ნაწილაკები:  $O_{II}$  = დამატება დგას სახელობით ბრუნვაში,  $O^d$  = დამატება დგას მიცემით ბრუნვაში

|       |                                   |   |   |
|-------|-----------------------------------|---|---|
| პირი  | 3                                 | 2 | 1 |
| $O^a$ | —                                 | ბ | შ |
| $O^d$ | $\text{ჩ}(-)\ \text{ს}(\text{შ})$ | ბ | შ |

§ 27. ფონეტიკური წესები მიცემით დამატებიან ზმნათა უღვლილებებაში. რადგანაც მიცემით დამატებიანი ზმნის ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ( $O^d_3$ ) ისეთივე ბგერაა, როგორიც მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსი ( $S_2$ ), ამიტომ იგი მსგავსსავე ფონეტიკურ კანონებს (§§ 4, 18) ემორჩილება:

ა) ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ჰე კმოვნების წინ იკარგება;

ბ) ენის წვერისმიერი ბგერებისა (ტ, დ, თ)  $\text{ღ}$  სისინა აფრიკატების წინ (წ, ძ, ც) მის ადგილს იკერს სანი;

გ) ხოლო შიშინა აფრიკატების წინ (ჭ, ჯ, ჩ) ასიმილაციის წყალობით სანის ნაცვლად ჩვეულებრივ შინი ჩნდება ხოლმე.

სუბიექტ-ობიექტური პრეფიქსების შეხვედრის დროს შემდეგ მოვლენასა აქვს ადგილი: როდესაც მიცემით დამატებიანი ზმნის ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა შეჰხვედება მსგავსსავე ბგერას მეორე სუბიექტურ პირში, ერთი მათგანი დაიკარგება, რადგანაც ქართულს არ უყვარს საზოგადოდ ორი ზედიზედ მოსული თანკმოვანი<sup>1</sup>. დანარჩენ შემთხვევაში კი  $O^d_3$  შენახულია ხოლმე.

1) მსგავსი ფონეტიკური მოვლენაა: მო-ვედ (<\* მო-ვეედ), მო-ველით (<\* მოვეელით) და სხვა (გვ. 18).

§ 28 ბრძანებითი კილო მიცემით დამატებიან ზმნათა უღვლილებაში. ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა მიცემით დამატებიან ზმნას, რასაკვირველია, ბრძანებითის ფორმებშიც აქვს. მაგრამ რაკი მოთხრობითი კილოს მეორე პირას ფორმებში მოსალოდნელ ორ ერთნაირ სუფიქსთაგან (ერთია  $N_2$ , ხოლო სხვა  $O^d$ ) ერთი იკარგება (§ 27) ღ ერთილა რჩება, ამიტომ ფორმალურ განსხვავებას მოთხრობითისა ღ ბრძანებითის ფორმებს შორის ადგილი აღარ აქვს, რადგანაც მოთხრობითის ფორმები, ფონეტიკური მოვლენის გამო, გარეგნულად ბრძანებითისას ემსგავსება ხოლმე.

მიცემით დამატებიან ზმნათა უღვლილება ამიტომ შემდეგნაირ საზოგადო ტაბულას გვაძლევს:

ტ ა ბ უ ლ ა VII.

(სქემა მიცემით დამატებიანი ზმნის უღვლილებისა<sup>1)</sup>)

| სუბიექტის პირი | ობიექტის პირი | მ                         |                          |                            |                            |
|----------------|---------------|---------------------------|--------------------------|----------------------------|----------------------------|
|                |               |                           | 2                        | 1                          |                            |
| მხოლ. რ.       | 3             | მ(-)    ს(შ)              | — ა, თ, ს, ნ             | გ — ა, თ, ს, ნ             | მ — ა, თ, ს, ნ             |
|                | 2             | მ(-)    ს(შ) <sup>2</sup> | — ე, ი, -                |                            | მ — ე, ი, -                |
|                | 1             | მ(მ-)  ს(შ)               | — ე, ი, -                | გ — ე, ი, -                |                            |
| მრავ. რ.       | 3             | მ(-)    ს(შ)              | — ე, ს, ე, ნ, ა, ნ, ე, დ | გ — ე, ს, ე, ნ, ა, ნ, ე, დ | მ — ე, ს, ე, ნ, ა, ნ, ე, დ |
|                | 2             | მ(-)    ს(შ) <sup>2</sup> | — ე, თ, ი, თ             |                            | მ — ე, თ, ი, თ             |
|                | 1             | მ(მ-)  ს(შ)               | — ე, თ, ი, თ             | გ — ე, თ, ი, თ.            |                            |

1) საქმე რომ არ გართულდეს, პირველ ობიექტურ პირში ორ პრეფიქსთაგან (მ|გჟ) აღებულია მხოლოდ ერთი, სახელდობრ მ, რომელიც ძველ სალიტერატურო ქართულში მხოლოდითშიც იკარგება და მრავლობითშიც; მაგალ., ჰური ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ დღეს და მომეცევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი (მათე 6 11).

აჲას გარდა, ტაბულაში არ არის შეტანილი ის ფონეტიკური მოვლენა, რომ 2<sup>ა</sup>მ<sup>3</sup> (მეორე სუბიექტურ-მესამე ობიექტურ) პირში ორ ერთნაირად მბგერ პრეფიქსთაგან ერთი იკარგება.

2) ნაცვლად ოროლისა: მ|ს(შ), რომელთაგანაც ერთი უნდა იყოს  $N_2$ , ხოლო მეორე  $O^d$  (ბრძანებითის ფორმებს გარდა, სადაც  $N_2$  სპირო არ არის)



როგორც ამ ტაბულის მეხუთე ტაბულასთან (გვ. 25) შედარებიდან ჩანს, სახელობით დაშატებიან ზმნასა და მიცემით დამატებიან ზმნას შორის განსხვავება პრეფიქსების ემარების მკრით მხოლოდ მესამე ობიექტური პირის უღვლილებაშია. ამიტომ პარადიგმებს ჩვენც ამ პირისას მოვიყვანთ.

§ 29. ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ჰაე. როდესაც მიცემით დამატებიანი ზმნა თანამოვნით იწყება<sup>1</sup>, მესამე პირის ობიექტურ ნაწილაკად (O<sub>დ3</sub>) მას აქვს ჰაე. მივჰმარ-თოთ მაგალითებს:

კმ. ჰკითხა მას იგი.

3 კ. ჰკითხა მას და ჰქა (შექმნათაა 24 23); ჰკითხა ღედასა თხსსა (მარკოზ 6 24); უამსა წარმოსულისა მათისსა გა-მოჰკითხა შეფემან (გრიგ. ხანძთ. კმ 1); ჰკითხა მას იჯ (მარკოზ 7 17); ჰკითხა მათ იჯ (მათე 22 41, მარკოზ 9 16); ჰკითხა მას მთავარმან მან და ჰრქა (მათე 27 11); ამისა შდ ჰკითხა ჰილატეს იოსებ (იერუს. განჩ. 86 20—21); ჰკითხა ერთმან მთგანმან (მათე 22 35); ჰკითხეს მას (მათე 22 23); ჰკითხეს მას მოწაფეთა თხსთა (მარკოზ 4 10); ჰკითხეს მას ფარისეველთა მათ (მარკოზ 7 5).

2 „ რაფცა ჰკითხო ღმერთს, არა დაფართოს შენგან (წარტყ. იერუს. იმ 17—18).

1 „ ვჰკითხე მას და ვარქე (შექმნათაა 24 47); ვჰკითხე მი-ზეზი (გრიგ. ხანძთ. კმ 11); ვჰკითხე ჰურისას ღედაკაცსა (მოქცევა 75 1 11); კლდ ვჰკითხე (იქვე 744 9); ვჰკითხოთ ჰირსს მისსა (შექმნათაა 24 57).

კთ. დამო-ჰკიდა მას იგი (ალ-ჰკიდა მას იგი).

3 კ. მეჰურეთ მოძღუარი იგი დამოჰკიდა ქელსა (შექმნათაა 40 22); აღჰკიდა ისაქს ქესა თხსსა (იქვე 42 26); აჰკიდეს კაცად-კაცადმან ტჯრთი თხსი კარაულსა (იქვე 44 13);

<sup>1</sup>) თუ ეს თანამოვნანი არ არის ამ სამ წყებათა ერთ-ერთ ბგერათა-განი: ტ, ღ, თ; წ, ძ, ც; ჰ, ჯ, ჩ (ამათზე ქვემოთ, § 31, 32).

ჯორსა აჭკიდეს (მოქცევაა 726 16); კანდელი იგი და-  
ჭკიდეს წინაშე ჩემსა (ანტ.-რაგ. 94 11); ცხოვრებაა  
თქსი ძელსა დამოჭკიდეს (ძვ. სას. პოეზ. სმზ 270—271);  
უჭყულთა მათ ნეტარნი იგი ურმანი ძელსა დამოჭკიდეს  
თავდამოჭკევით (სპევს. ელ ღ მელ. 78 1—2).

- 2 3. უაუეთუ შენ სასოვებაა შენი დამოჭკიდოდ გშმაკსა (სახის-  
მეტყუელი ძ 20—22).

### ლ. ჰრქუა<sup>1</sup> მას იგი.

- 3 3. ჰრქუა ისაკ აბრაჰამს მამისა თქსა: თქუ, მამო, ხ მან  
თქუა: რაა არს შეილო? და მან ჰრქუა: აჭა ცეცხლი და  
შეშაა (შექმნათაა 22 7); ჰრქუეს მოწაფეთა მისთა (მა-  
თე 9 11); ესრტო ჰრქვან<sup>1</sup> მათ (წამ. ძმათა ცხრათაა  
32—33); ჰრქვან მამა-დედათა თქსთა (სახისმეტყუელი  
იბ 17—18).
- 2 „ ჰრქუა მას (გამოსლევათაა 13 14); ჰრქუათ თუ მთასა  
ამას (მათე 21 21); ჰრქუათ მათ (გამოსლევათაა 12 27).
- 1 „ ვჭრქვ მას (მათე 8 9); რლსა ვჭრქუა შე (შექმნათაა  
24 14); მას ჟამსა ვჭრქუა მათ (მათე 7 23); მიუგეთ და  
ვჭრქვთ (იოს. არიმათ. 25 1).

### ლბ. შე-ჰვედრა, და-ჰვედრა მას იგი.

- 3 3. შეჰვედრა სული თქსი კელთა ღთისათა (მოქცევაა 718 7);  
შეჰვედრა სული უფალსა (ძვ. სას. პოეზ. რპმ 140); შე-  
ჰვედრნა იგი(ნი) შესაპერობილეთ მთავარმან იოსებს (შე-  
ქმნათაა 40 4); დაჰვედრა იაკობ მღვდელი (მოქცევაა  
717 12—13); მას დაჰვედრა საბა წმიდისა წესისა დაწერაა  
(გრიგ. ხანძთ. იბ 51).

1) მეორე სუბიექტური პირის ფორმებს (მოთხრობითსა და ზრძა-  
ნეზითში) და კშირად პირველისასაც (მოთხრობითში) ეს ხმნა ჩვეულებ-  
რივ მეოთხე (ა) ქცევით აწარმოებს ხოლმე: არქე (<\*ჰარქუ) ან არქჟ  
(<\*ჰარქჟ, ვარქუ (<\*გჰარქუ) ან ვარქჟ (<\*გჰარქჟ).

2) ეს ფორმა შემდეგში აწმყოს მნიშვნელობას იღებს: ჰრქვან მას  
სახელი (შლრ. გვ. 6, შნშ. 2).

- 2 3. სული შეჰვედრე მამას (ძვ. სას. პოეზ. ტიზ 269); შე-  
ჰვედრენ მამას (იქვე ტ 22); შენ შეჰვედრე, სახიერ, მო-  
წაფესა ღმრთის შეტუეულს (იქვე სპო 346).
- 1 „ მამო, გელთა შენთა შეჰვედრებ სულს ჩემს (იწე ბოლ-  
ნელი 29 9, = ლუკა 23 46); გელთა შენთა შეჰვედრებ  
სულს ჩემს (ძვ. სას. პოეზ. რმზ XV 16—17); გელთა  
ღმრთისათა შეჰვედრებ სულს ჩემს (გრიგ. ხანძთ.  
ც 11—12); გელთა შენთა შეგვედრებ თბოდს ამა (მო-  
ქცევაჲ 745 8—9); ვჰვედრებ მთავარ ებისკ<sup>ჲ</sup>შსს (იქვე  
804 15); თაჲნი ჩუენნი და უოველი ცხორებაჲ ჩუენი  
ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა შეჰვედროთ! (სამღუღელ-  
მოდლ. ეპ. წ. მზ 12—14)

ბრძანებითი კ.

- 2 „ თაჲი შენი შეჰვედრტ სუეტსა მას! (მოქცევაჲ 805 7).

ლზ. ჰმსახურა მას (ჰმსახურებს მას).

- 3 3. გ<sup>ჲ</sup>რმცა ჰმსახურა ვინმე (მათე 20 28); ჰმსახურება  
მას (მათე 8 15, მარკოზ 1 31); არა ჰმსახურეს დაბადე...  
(ძვ. სას. პოეზ. მზ 2 ქვ); შიშით ჰმსახურეს მუჟუე-  
ბასა შენსა (გრიგ. ხანძთ. ი 8); ანგელოზნი ჰმსახურებ-  
დეს მას (მათე 4 11, მარკოზ 1 11); რ<sup>ა</sup> ჰმსახურონ  
რ<sup>ა</sup> ღ<sup>ა</sup> მათსა (გამოსლვათაჲ 10 7)

- 2 „ არაჲ ჰმსახურე ხატსა გმობისას (ძვ. სას. პოეზ. რა 70);  
რ<sup>ა</sup>ღსა შენ ჰმსახურებ (მოქცევაჲ 781 17); ჰმსახურებდი  
ღმერთსა (იქვე ლ XXXVII 5).

- 1 „ თჳთ ვჰმსახურო თაჲსა ჩემსა (გრიგ. ხანძთ. ვ 86); შე  
ვჰმსახურებდი მიაფორსა, სომეხსა დეინელს (მოქცევაჲ  
741 8); ვჰმსახურებდი (გრიგ. ხანძთ. ლთ 29); ვჰმსახუ-  
როთ ღ<sup>ა</sup> ჩ<sup>ნ</sup>სს (გამოსლვათაჲ 5 17); რაჲთა ღმრსად  
ვჰმსახუროთ სიწმიდესა შენსა (გრიგ. ხანძთ. ვ 83); ვჰმსა-  
ხურებდიოთ სამ<sup>ღ</sup> დაბადებულთა (მოქცევაჲ 760 14).

ბრძანებითი კ.

- 3 „ განვიდელ მამანი და ჰმსახურედ ღ<sup>ა</sup>! (გამოსლვათაჲ 10 11).

- 2 „ განკელით და ჰმსახურეთ რ<sup>ა</sup> ღ<sup>ა</sup> თქ<sup>ნ</sup>სა! (გამოსლვა-

თაჲ 10 8, 24, 12 31); ჳმსახურეთ ღთთა! (ჰაგ. მასალ. 66 2 ქვ.); მას მხოლთსა ჳმსახურებდე! (მათე 4 10); ჳმსახურებდეთ ოა ღსა თქნსა! (გამოღლვათაჲ 23 25).

ლგ. ჳბაძავს მას.

3 პ. ჳბაძვიდა იგი პირუტყუთა უგუნურთა (იწე ბოლნელი 73 1).

2 „ მიჳბაძვედით ცხოვრებას მას ელიაჲსსა და შურსა იოჳანესსა (ძვ. სას. პოეზ. რლთ 81—82).

1 „ აწ მოვედით, საყუარუნო... და ვჳბაძვიდეთ მათ! (იწე ბოლნელი 17 10—11); მივეჳბაძვიდეთ ჩუენ შურსა ენუქისსა! (ძვ. სას. პოეზ. მთ 92).

ბრძანებითი კ.

2 „ სოლომონი იტყვს იგავსა: მიგუაღე ჳინჳკვლისა და ჳბაძვედ, ჳ შედგარო! (სახისმეტყუელი იმ 1—3); ჳბაძვედ ჳინჳკვალსა, შედგარო! (ჰაგ. მასალ. 55 10—11 ქვ.—გავანი სოლომ. 6 6).

ზემორე მოყვანილი მაგალითების მსგავსად იუღვლეება ყოველი მიცემით დამატებიანი ჳმნა, რომელსაც თემა შემდეგი ბგერებით ეწყება: კ, ყ, ლ, ხ, კ, გ, ქ, შ, ჟ, ს, ზ, ნ, რ, ლ, ვ, მ, პ, ბ, ფ, სახელდობრ:

და-ჳყუნა მას თავი (დაღილა შე-ჳრთო, და-ჳრთო მას იგი თავი დაჳყუნა მას: იწე ბოლნელი 85 13). (და-ჳრთა მას იგინი.)

ჳხადა მას.

ჳმატს მას.

შე-ჳმატა მას იგი.

-ჳხედა: და-ჳხედა მას, მო-ჳხედა, ში-ჳხედა მას.

ჳმონა მას (ჳმონებს მას).

ჳმძღაფრა მას (ჳმძღაფრობს მას).

მო-ჳტყუარა, მი-ჳტყუარა მას იგი.

ჳმადლობს მას.

ჳსხურა მას იგი.

ჳმტერავს მას (სახისმ. ლ 10).

ჳნატრის მას.

მი-ჳპარა მას იგი.

ჳნერწყუა მას.

მო-ჳბერა, და-ჳბერა მას.

შე-ჳრია მას იგი.

ჳბრძავს მას (ნამყო უსრული:

ჳრეკა მას.

ჳბრძოდა მას).

ჳრიდა, მო-ჳრიდა მას.

მი-ჳფინა, მო-ჳფინა მას იგი

ღ მისთანანი.

**§ 30. ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა კმოვნე ბის წინ.** მიცემით დამატებიან ზმნათა ობიექტური ნაწილაკი მესამე პირისა ჰაე კმოვნების წინ, ფონეტიკური წესების ძალით, ჩვეულებრივ იკარგება. ამ დაკარგვას შედეგად ის მოსდევს, რომ არავითარი ფორმალური განსხვავება აღარ არსებობს სახელობით დამატებიანისა (§ 21) ზ მიცემით დამატებიანი ზმნის უღვლილებას შორის. მაგალითად ავიღოთ:

**ლღ. უბრძანა მას იგი.**

|           | პირი | ნამყო სრული            | ბრძანებითი კ.          |
|-----------|------|------------------------|------------------------|
| მხოლ. რ.  | 3    | უბრძანა (<* უბრძანა)   | უბრძანე (<* უბრძანე)   |
|           | 2    | უბრძანე (<* უბრძანე)   |                        |
|           | 1    | უბრძანე (<* უბრძანე)   |                        |
| მრავლ. რ. | 3    | უბრძანეს (<* უბრძანეს) | უბრძანეთ (<* უბრძანეთ) |
|           | 2    | უბრძანეთ (<* უბრძანეთ) |                        |
|           | 1    | უბრძანეთ (<* უბრძანეთ) |                        |

**ლღ. ახარა მას იგი.**

|           | პირი | ნამყო სრული          | ბრძანებითი კ.      |
|-----------|------|----------------------|--------------------|
| მხოლ. რ.  | 3    | ახარა (<* ახარა)     | ახარე (<* ახარე)   |
|           | 2    | ახარე (<* ახარე)     |                    |
|           | 1    | ვახარე (<* ვახარე)   |                    |
| მრავლ. რ. | 3    | ახარეს (<* ახარეს)   | ახარეთ (<* ახარეთ) |
|           | 2    | ახარეთ (<* ახარეთ)   |                    |
|           | 1    | ვახარეთ (<* ვახარეთ) |                    |

**ლმ ეჩუენა მას.**

|           | პირი | ნამყო სრული                       | ბრძანებითი კ.        |
|-----------|------|-----------------------------------|----------------------|
| მხოლ. რ.  | 3    | ეჩუენა (<* ეჩუენა)                | ეჩუენე (<* ეჩუენე)   |
|           | 2    | ეჩუენე (<* ეჩუენე)                |                      |
|           | 1    | ვეჩუენე (<* ვეჩუენე)              |                      |
| მრავლ. რ. | 3    | ეჩუენეს <sup>1</sup> (<* ეჩუენეს) | ეჩუენეთ (<* ეჩუენეთ) |
|           | 2    | ეჩუენეთ (<* ეჩუენეთ)              |                      |
|           | 1    | ვეჩუენეთ (<* ვეჩუენეთ)            |                      |

1) მრავლობით რიცხვში ნარის გაჩენის შესახებ იხილე ზემოთ, შენიშვნა მე-12-ე გვერდზე.

ზემორე მოყვანილი მაგალითების მსგავსად იუღვლეზა ყო-  
ველი კმოვნით დაწყებული მიცემით დამატებისი ზმნა. კმოვ-  
ნებში აქ უმთავრესად მოდიან უნი, ანი ზ ენი: უნი, რო-  
გორც შესამე ქცევის მაწარმოებელი<sup>1</sup>, ანი როგორც მეოთხე  
ქცევისა<sup>2</sup> ზ ენი, როგორც მერვე ქცევის მაწარმოებელი კმოვანი<sup>3</sup>:

შესამე ქცევის (უ) ზმნები:

მო-უგდა მას.

და-უგო მას პირი.

წარ-უღო მას იგი.

წარ-უხუნა მას იგინი.

მო-უგლა მას იგი.

მი-უგო მას იგი.

აღ-უსრულა მას იგი

შე-უგრდა მას.

უხურა მას კელი.

მი-უტევა მას იგი.

შე-უდგა მას.

უთხრა მას იგი.

მო-უწოდა მას.

მი-უძღუნა მას იგი.

უგმს მას.

უუარს მას.

უკჯრს მას.

უნდა მას ზ მისთანანი<sup>4</sup>.

მეოთხე ქცევის (ა) ზმნები:

აუწვა მას იგი.

შე-ახო მას კელი.

და-აკლო მას იგი.

მი-აგო მას იგი.

ასწავა მას იგი.

მი-ანიჭა მას იგი.

მი-ართუა მას იგი.

\*არქუა მას იგი (პირველსა ზ

მეორე სუბიექტურ პირში

შესამე ობიექტური პირის

ფორმებს პირველი პარალე-

ლური ქცევით აწარმოებს:

ჭრქუა მას იგი).

ამცნო მას იგი.

ჯუარს აცუა იგი.

და-აკლდა მას.

აქუს მას.

ასხენ მას (ყურნი, თუალნი)

ღ მისთანანი<sup>5</sup>.

1) იშვიათად მეექვსისაყ.

2) და აგრეთვე მეხუთისაყ.

3) იშვიათად მეცხრისაყ.

4) მეექვსე ქცევის (უ — ინ) ფორმებიც ამგვარადვე იუღვლებს: აღ-  
უღგინა მას იგი ზ მისთანანი.

5) მეხუთე ქცევის (ა — ინ) ფორმებიც ამგვარადვე იუღვლებს:  
აუწუბინა მას იგი, ჯუარს აცუმევირა იგი ზ მისთანანი.

## მერვე ქცევის (ე) ზმნები:

|   |                                       |
|---|---------------------------------------|
| ეო მას.                                       | გან-ეშორა მას.                        |
| მი-ელა მას.                                   | ეშინის მას.                           |
| შე-ესო მას.                                   | ერჩის მას.                            |
| დამო-ეკიდა მას (მრავლ. დამო-<br>ეკიდნეს მას). | ეველრების მას.<br>შე ემთხუა მას.      |
| ეკუეთა მას.                                   | ემსგავსა მას.                         |
| ეკრძალა მას.                                  | ეტყუა მას.                            |
| შოა-ეგზნა ცეცხლსა.                            | მი-ეტევა მას.                         |
| მი-ეგო მას.                                   | ეწოდა მას სახელი.                     |
| ექმნა მას.                                    | ჯუარს ეცუა.                           |
| ესმა მას (მრავლ. ესმნეს მას).                 | და-ეცა მას ზ მისთანანი <sup>1</sup> . |

§ 31. ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ხანი. აუ რომ მიცემით დამატებიანი ზმნა ენის წვერისმიერი ბგერებისა (ტ, ღ, თ) ან ზ სისინა აფრიკატებით (წ, ძ, ც) იწყება, მაშინ მესამე პირის ობიექტურ ნაწილაკად ჰაეს ბგერინაცვალი ხანი არის ხოლმე; მაგალითად:

## ლზ. სთხოვა მას იგი.

- 3 პ. კეთილად სთხოვა ღა (იე ბოლნელი 34 4); მო-  
სთხოვნა მდღელნი ჰატრეაქსა (მოქცევაჲ 738 15); უკუე-  
თუ ვინმე მისთხოვოს მოყუასსა თუსსა საცხოვარი რადეე  
(გამოსლვათაჲ 22 14).  
2 „ რადცა სთხოვო მას (მოქცევაჲ 741 4).

## ლბ. შესძინა მას იგი.

- 3 პ. რა იგი ხუთი ქანქარი მიიღო... შესძინა სხუა-ღა ხუთი  
(მათე 25 16), ეგრევე რა იგი ორი მიიღო, შესძინა სხუა  
ორი (მათე 25 17); შესძინა ძრა ძრსა ზედა (გრიგ. ხანძთ.  
63 1—10); კუალად შესძინა ძრა ძრსა მისსა ზედა მრ-  
ვალი (იქვე 45 7); შესძინა სიბრძნე სიბრძნესა ზედა

1) მეცხრე ქცევის (ე — ინ) ფორმებიც ამგვარადვე იუღვლება:  
ეცემინა მას ზ მისთანანი.

(იქვე 23—24); შე-ღაფე-სძინა ცოდვად (გამოსლვათაჲ 9 34); შიშჳან უფლისმან შესძინის დღეთა (გრ. ხანძთ. 8 40—41); მდიდარმან არა შესძინოს და შეკლავმან არა დააკლოს (გამოსლვათაჲ 30 14); შესძინეს (იპოლიტიე 1 169—170); შესძინეს სიძუელილი მისა (შექმნათაჲ 37 8).

- 1 3. აჭა ესერა სხუაღჯა ხუთი ქანქარი შეესძინე (მათე 25 20); აჭა რიი სხუაჲ ქანქარი-ღა შეესძინე (მათე 25 22); რათა შე-ღაჟე-ვსძინო (ვარიანტი შე-ღა-ვსძინო) მეტრეჲ კუჲლად ხიღჯაჲ შენი (წარტყ. იერუს. ლვ 27).

### ლთ. სძლო მას.

- 3 3. რნ სძლო სოფელსა (სახისმეტყუელი 8 21—22); სძლო მტერსა ჯუარითა (ძვ. სას. პოეზ. სმპ 385—6); ვნებათა სძლეს (იქვე რლვ 55); სძლევენ მტერთა (მოქცევაჲ 710 20).
- 2 „ სძლე მძლავრსა ძლითა, ძლიერო (ძვ. სას. პოეზ. სპ 214—15); სძლო სიკუდილსა ადღგომითა (იქვე სმპ 109); სძლეთ სოფელსა (ძვ. სას. პოეზ. რლვ 41).
- 1 „ შე ვსძლე სიკუდილსა (ძვ. სას. პოეზ. ტნი 225).

### ბრძანებითი კ.

სძლე, სძლე! (წარტყ. იერუს. ჯ 19); შეიღნო, სუღისა სიბრძნითა გუღისა ტკივიღთა სძლეთ! (გრ. ხანძთ. მზ 25—26).

### მ. სცა<sup>1</sup> მას იგი.

- 3 3. იაკობ სცა ესავს ჰური (შექმნათაჲ 25 34); ნიჭი სცა ძმასა მისსა (იქვე 24 53); მისცა სეფორა ასუღი თჳსი

<sup>1</sup>) თუ სახელობითი დამატება მხოლოდით რიცხვშია დასმული, ეს ზმნა მოთხრობითი კილოს პირველსა და მეორე სუბიექტურ პირში ქცევას იცვლის: ვეც (<\*ვეც) იგი, ვეც (<\*ვეც) იგი. მაგრამ თუ დამატება მრავლობით რიცხვშია დაყენებული (იგინი), მაშინ ქცევა უცვლელი რჩება და შესამე პირის ობიექტური პრეფიქსიც (ს) შენახულია: ვსცენ იგინი, სცენ (<\*სსცენ) იგინი.



ცოლად მოსეს (გამოსლვათაჲ 2 21); მოსცა ო-ნ მაღლი  
კრსა თუსსა (იქვე 11 3, 12 36); მისცეს მის ძმარი (მა-  
თე 27 34).

2 3. სცე კლდესა მას (გამოსლვათაჲ 17 6); დასცენ ძაღნი  
წინააღმდგომნი (ძვ. სას. პოეზ. სმ 68-69, სპვ 32,  
ტინა 118-119).

1 " აჭა ესერა შე ვსცე კუერთხოთა ამით... წუელსა ამას (გა-  
მოსლვათაჲ 7 17); ნათესავსა შენსა მივსცე ქანაჲ ესე  
(შექმნათაჲ 15 18; შდ რ. იქვე 26 3); ჯერ არსა მიცე-  
მად სარკი კეისარსა, ანუ არა მივსცეთ? (მარკოზ 12 14).

ბრძანებითი კ.

2 " დასცენ ურწმუნონი! (ძვ. სას. პოეზ. სმ 28).

ზემორე მოყვანილი მაგალითების მსგავსად იუღლება:

მო-სტაცა, მი-სტაცა მას ი გ ი. კ ი; ნუგეშინის სტა მას, თაგ-

სტეორცა მას ისარი. ეუანის<sup>1</sup> სტა, ნათელ სტა, მ-

სდეეს მას (მი-სდეედა მას). ტიე სტა, ნება სტა, გზა სტა

-სტა: მი-სტა, მო-სტა მას ი გ ი, ლ სხვ.

და-სტა, გან-სტა, წარ-სტა მას სტხო მას ი გ ი.

ი გ ი, წარ-სტა ქვასა ფერ- წინა და-სტჯთა მას ლ მისთ.

§ 32. ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა შინი.  
უკეთუ მიცემით დამატებიანი ზმნა შიშინა აფრიკატებით (ჭ, ჯ, ჩ)  
იწყება, ობიექტურ პრეფიქსად სანის ნაცვლად, ასიმილაციის  
გზით, შინი უნდა ჰქონდეს; მაგალითად:

მა. მო-შჭამა<sup>2</sup> მას ყურ ი.

|           | პირი | ნამყო სრული                 | ბრძანებითი კ. |
|-----------|------|-----------------------------|---------------|
| მხოლ. რ.  | {    | 3 მო-შჭამა                  |               |
|           |      | 2 მო-შჭამე (<* მო-შშჭამე)   | მო-შჭამე      |
|           |      | 1 მო-ფშჭამე                 |               |
| მრავლ. რ. | {    | 3 მო-შჭამეს                 |               |
|           |      | 2 მო-შჭამეთ (<* მო-შშჭამეთ) | მო-შჭამეთ     |
|           |      | 1 მო-ფშჭამეთ                |               |

მსგავსადვე იუღლებო, ვთქვათ, მო-შჭრა ხესა რ ტ ო ა  
ლ მისთანანი.

1) ბოლოკიდური სანი განვითარებულია წინა სიტყვის (ნეგეშინის  
სტა) ანალოგიის წყალობით.

2) შდ რ. შე-ჭამა ი გ ი (გვ. 40).

<sup>1</sup>) რამეთუ ჰსუფივ (სამღუდელმოდლ. ეამ. წ. ლ 1) სრულიად სწორი ზე წესიერი ფორმაჲ ზე გამომცემელს ტყუილად შეუსწორებია ასე: სუფივ.

<sup>2</sup>) ამისი მასდარია ზმნა, რომელსაც გრამატიკული ტერმინის მნიშვნელობა მიღებული უნდა ჰქონდეს არაბული გრამატიკული სკოლის ზეგავლენით (შდრ. არაბ. عمل „ზმნა“).

**შეზავა<sup>3</sup> მას იგი.**

შეზავა დმრთეებაჲ კაცებასა (ძვ. სას. პოეზ. პლ 249);  
 ჩუენთანა არს კორციელი ღ თქუენთანა არს სუღაუნი კე-  
 თილი ღ ესტ შევზავნეთ ურთიერთას (გრ. ხანძთ. თ 61);  
 შეზავენ ზეცისასა მას ჩემნი ესე კორცნი! (იპოლიტე  
 ჳნ 52—53); მოვედით, შვილნო, ხანსთისა მკვდრთა თანა,  
 ძმათა თქუენთა, ღ ნებაჲ ურთიერთას შეზავეი (გრ.  
 ხანძთ. მზ 43—45).

§ 51. პრეფიქსი გადასმულია. სუბიექტ-ობიექტურა პრე-  
 ფიქსი ჰაე ჩვეულებრივ მიუძღვის ჳზნის თემას, მაგრამ არის  
 ხოლმე შემთხვევაჲ, როცა იგი გადასმულია ღ შიგნის არის  
 თემაში შესული.

გადასმას არაფერი ცვლილება არ მოსდევს, თუ რომ შემ-  
 დეგ მაინც ისეთი ბგერაა, რომ მას შეუძლია, ჰაე შეიგუოს:

**მი-რბიოდა.**

მირჭბიოდე, ვითარცა იგი ჰავე ქაღაქითი ქაღაქად (ძვ.  
 სას. პოეზ. რძლ 110—111; შღრ მიჭრბიოდე, იქვე  
 რძლ 23; ჳრბიოდე, იქვე რძლ 5).

**მო-ვლო იგი—მო-ჰვლის მას.**

უცონილად მოჰვლიდა უოველთავე მოოკრებად (თბრობაჲ  
 14 ვ1—32).

მაგრამ თუ რომ შემდეგი ბგერა კბილისმიერია, ანდა  
 აფრიკატი, მაშინ წესისაებრ ჰაეს მაგივრად მისი ბგერიანცვალი  
 ხანი გაჩნდება ხოლმე:

**და-მდაბლდა.**

არა ხჯდოდე მდიდართა თანა..., არამედ დამსდაბლდი ღ  
 ადგამადლა ქრისტემან (ძვ. სას. პოეზ. კმ ვ1 1—4);  
 დამსდაბლდი მამულისაგან სიმაღლისა (იქვე პლ 232—233);

<sup>3</sup> ამ ჳზნის ვნებითი ფორმა იქმნება შეეზავა: შეეზავა სისხლი სა-  
 უფლოსა მას სისხლსა (ძვ. სას. პოეზ. რძლ 184).

რამელი ნეფსით თუსით დამსდაბლდი კსნად ჩუენდა (ძვ. სას. პოეზ. 30 74 5); დაჟმსდაბლდა (ას!), ქრისტე, შა-დალასა შჯდომარეჲ ღმერთი (იქვე სიძ 164).

შთა-ნთქა იგი—შთა-ჰნთქამს მას.

ვითარცა ცხოველნი შურის ტებით შთანსთქმიდეს მათ (თხრობაჲ 30 27).

მო-რწყუო<sup>1</sup> იგი.

მორსწყე იგი ნკადუღითა ცრემლთა შესთაჟას (ძვ სას. პოეზ. სმშ 1—2); აღმოცენე წყაროჲ მადლთაჲ ჳ მო-რსწყენ მორწყუსეთა გუღნი (იქვე რლბ 5—6).

### § 52. ადგილის გარემოება ჳ მიცემითის დამატება.

მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი ზოგჯერ დამატება კი არ არის, არამედ ადგილის გარემოება<sup>2</sup> (გვ. 42, მწშ. 1). ასეთ შემთხვევაში *Q* არ არის საკირო ჳ ჩვეულებრივ არც იკმარება; მაგალითად:

შთა-ვდა.

შთაკლა წყაროსა (შექმნათაჲ 24 45); შთაკლა უნი ვრი მდინარესა მას (მოქცევაჲ 739 8—9); შთაკლა წმიდასა მდინარესა (ძვ. სას. პოეზ. ს3 56); შთაკლა იორდანეს (იქვე რბ 168—169), სბ 99—100); შთაკლა ჟოჯოხეთა (სახისმეტყუელი კც 21—22); შთაკდის წყაროსა (იქვე

<sup>1</sup>) შეიძლება ამ ხმნაში რაე ჩამომავლობით პრეფიქსი იყოს (რად-განაც მო-რწყუა-ს წყალთან უნდა ჰქონდეს ეტიმოლოგიური კავშირი), მაგრამ იგი უკვე ძველს ქართულში ძირის ბგერებთან არის შევორცებული ჳ გაგებულია, როგორც ძირეული: რაჟთა შორწყოს ქუეენაჲ წყუ-რეული (ძვ. სას. პოეზ. კ3 22 4—5); ირწყუოღე შენ (იქვე ლ3 8 6); ირ-წყუებოღი (იქვე რპ 10 3); რწყუთა (იქვე რიძ 2); ურწყული [A. X a x a - u o v u, Материалы по грузинской агиологии по рукописямъ X вѣ-ка (= *Труды по Востоковедению*, вып. XXXI, Москва 1910), გვ. 74 3].

<sup>2</sup>) „დამატება“ ვიწრო მნაშენლობით, თორემ ფართო მნიშვნე-ლობას თუ ავიღებთ, მაშინ ადგილის გარემოებაჲ „დამატება“ იქმნება.

თ 13-14); რეს აღკდის ვენაკსა (იქვე იწ 7); სიჩხოდთ  
 ღვნომ ღ კორცი არა შეკდა ჰირსა მისსა (გრ. ხანძთ.  
 ბ 33); განსაყდელსა შეკდეს (სახისმეტყუელი ღ 12-13);  
 შთაკდიან უფსკრულთა მათ (თუალთაჲ 42 5) ღ მ-  
 სთანანი

მაგრამ არის შეუთხვევებიც, სადაც მაკემით ბრუნვაში  
 დასმული სახელი გაგებულია დამატებად:

შთაჰკდეს ჟრმანი იგი მდინარესა მას (წამ. ძმათა ცხ რა-  
 თაჲ 83); შთაჰჰკედ წყალთა მათ შინა (ვარ. შთაჰჰკედ:  
 ანტ.-რაგ. 89 31-32); მრჰეეს მე: შთაჰჰკედ წყალსა ამას!  
 (იქვე 89 27).

ამგვარივე მოვლენაა სხვა ზმნებშიაც:

**შთა-კადა.**

მრუაჲ კელი შენი ღ შთაჰჰკადე იგი გუერდსა ჩემსა! (რე  
 ბოლნელი 81 31-32).

§ 53. ფონეტიკური შეუესაბამობა. სუბიექტ-ობ-ექტურ  
 პრეფიქსებს ჰაესა ღ სანს როლები განაწილებული აქვთ ღ  
 ერთიმეორის ფარგალში ჩვეულებრივ არ გადადიან ხოლმე.  
 მაგრამ ზოგჯერ თითო-ოროლა გამონაკლისსაც აქვს ადგილი:

**A (ჰაე სანის ადგილას).**

**და-სდვა მას იგი.**

მიაგორგა ღოდი იგი ღ დაჰდვა (ვარ. დაჰსდვა) იგი  
 კართა ზა მის საფლაფისათა (მარკოზ 15 46).

**აღ-წია იგი.**

უკუეთუ იხილო კარაული მტერისაჲ დაგრდომილი ტვრთსა  
 ქუეშა, არა თანა წარჰკდე, ად აღჰწიო მისთანა (გამო-  
 სლეთაჲ 23 5).

**შე-წუხნა.**

ესე ჟი გესმა, შეჰწუხდენ! ფდ (ვარ. სწორია: შე-  
 სწუხენ ფდ), ღ არა იხებე (რე ბოლნელი 69 12).

1) აქ სხვა შეტომაც არის: მოხალოდნელია ან შესწუხენ, როგორც  
 ვარიანტი გვიჩვენებს, ან კიდევ შესწუხდი [ა. შანიძე, ნასახელარი  
 ზმნები ქართულში: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე,  
 № 1, გვ. 87-96].

## სცა მას იგი.

თენის ჰტა მას (იე ბოლნელი 82 4); წარმოჰტა (ანტ.-რავ. 94 19; გამოცემაში შესწორებულია: შდრ. გვ. 78); თავუენის ჰტემედ (მარკოზ 15 19).

## ჰამა იგი.

რათა მოჰტამედენ კორტა მისთა (იე ბოლნელი 70 15-16)

B (სანი ჰაეს ადგილას).

## შე-ჰზავა მას იგი.

წმიდაჲ მამათმთავარი ეპიფანე შესზაკებს თეგზთა მათ (დაჩის წერილი<sup>1</sup>).

§ 54. თავისებური ზმნები. კერძო ხასიათის ანომალიებს შორს ვერ გამოვეცილებით, რადგანაც აქ ისეთი საკითხი შეიძლება წამოიკრეს, როგორც არის თვითეული ძეგლის თავისებურობა<sup>2</sup>, ავტორისა თუ გადამწერლის ვინაობა ღ სხვა. ამიტომ ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ თავისებურ ზმნაზე შევჩერდებით:

## მც. ჰფუცა მას იგი.

ეს ზმნა მიცემით დამატებიანია, მაგრამ უცნაურია, რომ არა თუ აწმყოში, არამედ ნამყო სრულშიაც ისე იუღვლება, თითქოს მიცემითის დამატება სრულებით არა ჰქონდეს:

მ ვ. ფუცა იაკობ შიშსა მამისა თჳსისა ისაკისსა (შექმნათაჲ 31 53); ფუცა ნანიდად (ლევიტელთაჲ 6 ვ, 4); რაგმს ფუცა ურწმუნომან კადნიურად საფლავსა ჴედა ეგთჳმისსა (ძვ. სას. ჰოეზ. რაგმ 92-93); რწ ფუცა საკურთხეველსა მას, ფუცავს მას ღ ელსა რწი არს მას ჴა; ღ რწ ფუცა ტაძარსა, ფუცავს მას ღ რწ დამკვდრებულ არს

<sup>1</sup>) ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ხრონიკა, გვ. XII 11.

<sup>2</sup>) მაგალითად, ათონისა ღ ტბეთის სახარებაში (მათესი ღ მარკოზის თეი) კშირია მრჩობლი სუფიქსის ეპოება (ჰს ერთად), მაშინ როდესაც ძველი აღქმის წიგნებში (შექმნათაჲ, გამოსლვათაჲ, ლევიტელთაჲ) ასეთი მოვლენა ძალიან იშვიათია. ამას გარდა ეულგარიზმებით სავსეა, მაგალითად, იერუსალიმის განჩინებაჲ.

პას შინა; ჰ რნ ფუცა ცასა, ფუცავს საუღარსა ღთისსა  
 ჰ რნ ზის მას ზნ (მათე 23 20-22); რნ ფუცოს ტა-  
 ძარსა ამას, არა რა არს, ხ რნ ფუცოს ოქროსა მას  
 ტაძრისსა, ჯერ არს (იქვე 23 16); რნ ფუცოს საკურ-  
 თხეველსა, არა რა არს, ხ რნ ფუცოს შესაწირავსა მას,  
 რდ არს საკურთხეველსა ზნ, ჯერ არს (იქვე 23 18).

2 პ. არა ცილი ჰფუცო (მათე 5 33); ნუ ჰფუცავ უღდ (მათე  
 5 34 ვარ.); ნუცა თავსა შენსა ჰფუცავ (მათე 5 36).

1 „ თავსა ჩემსა ვფუცავ“ თქა რნ (შექმნათაჲ 22 16).

ასე რომ ჰფუცა, — ეს თეორიულად აღდგენილი ფორმაჲ,  
 რომელსაც ამართლებს ვნებიითის წარმოება მერვე კცევით:  
 ეფუცა.

მ.თ. შეწირა მისა იგი / შესწირა მას იგი.

ნამყო სრულის ჯგუფის დრო-კილოებში შეწირა ხმნას  
 დამატება მიცემითში ჩვეულებრივ არა აქვს. აქვს მხოლოდ  
 სახელობითი ბრუნვის დამატება ჰ ამას გარდა მიმართულების  
 აღსანიშნავად ნათესაობით ბრუნვას მოითხოვს (გვ. 40, შნშ.  
 1); მაგალითად:

3 პ. შადლი შეწირა დმრთისა (გრ. ხანძთ. თ 27, მდ 29).

2 „ შესწირე თავი თვისი მსხეერაჲლად შამისა (ძვ. სას.  
 პოეზ. რ. 33 ვ).

1 „ რა მსხეერაჲლი შევწაროთ რისა ღთისა ჩნისა  
 (გამოსლვათაჲ 5 ვ) ჰ მისთანანი.

მაგრამ თანდათან კონსტრუქცია ეცვლება ჰ ნათესაობი-  
 თის ნაცვლად მიცემითის მოთხოვნას იწყებს:

დმრთეებასა სამებისა ერთობით ქერობინთა  
 თანა შიშით ქებასა შევსწირვიდეთ (ძვ. სას. პოეზ. მს  
 1-3).

ამიტომ ასეთ შემთხვევებში ობიექტური პრეფიქსი უჩნდება:

3 პ. რომელთა შესაწირავი ესე შემოსწირეს ამას დღესა წმი-  
 დასა საკურთხეველსა შენსა (სამღ. უდელმოძლ. ეამ. წ.  
 6 1-4).

1 „ შევსწირე უღ წა (პაგ. მას. 80 17).



მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ახალი სინტაქსური კონსტრუქცია უყურადღებოდ არის დატოვებული მორფოლოგიაში:

3 პ. უღლა ნამეტავისაგან შემოწირეს ფასის საცავსა ამას, ხ' ამან ნაკლულეფანებისაგან თვისსა უწივე რაჲცა აქუნდა შემოწირა საცხოვრებელად თვსა (მაკოზ 12 44).

1 „ აღვწირე წ'ჲ ესე ჳ ს'ლთა საცხოვრებელი წიგნი ჳ შევწირე მთაწმიდას მონასტერსა წ'ისა ჳთის მშობელისასა (პაგ. მასალ. 46 13—15); შევწირე წ'სა სიონსა ატენისსა (ატენის სიონის წარწ. 286 9—10 სტრიქონი წარწერისა); შატბურდს დავწირე ჳ პარხადს შევწირე (ე. თაყაიშვილი, სამი ისტორ. ხრონიკა, გვ. LVI, 2—1 ქვ.).

ორი ზმნა, რომელნიც ერთ ძირზეა ამოსული ჳ რომელთაგანაც ერთს გარდაუვალი მნიშვნელობა აქვს<sup>1</sup>, ხოლო მეორეს გარდამავალი, ხან ობიექტური პრეფიქსით იკმარება ჳ ხანაც უპრეფიქსოდ. ესენია: მო-წყდა ჳ მო-წყჯდა (.. მო-სწყდა ჳ მო-სწყჯდა):

### პ. მო-წყდა / მო-სწყდა

A (უპრეფიქსოდ).

3 პ. მოწყდა მეუარი იგი (გამოსლვათაჲ 8 13); მოწყდეს უწი ზირმშოჲ ქუნასა ეგვზტისასა (იქვე 11 5); მოწყდეს უწი საცხოვარი (შექმნათაჲ 33 12); მოწყდეს წ'ე ჳთისა (ლევიტელთაჲ 10 2); მოწყდეს იგიცა მათასას (მოქცვაჲ 762 16); უმრავდესი ერისა მის მოწყდებოდა (წარტყ. იერუს. მმ 23); მოწყდეს უწი, რწი ეძიებდეს ს'ლსა შენსა (გამოსლვათაჲ 4 19); იგინი მოწყდეს საუგუნოდ (სახისმეტყუელი იმ 33—34); მოწყდეს, რწი ეძიებდეს სუფსა მაგის ერმისასა (მათე 2 20); რწა არა მოწყდენ (გამოსლვათაჲ 30 20); ორნი ესე ძენი ჩემნი მოწყდენ (შექმნათაჲ 42 37).

<sup>1</sup>) გარდაუვალი ანუ საშუალი ზმნების სინტაქსური კონსტრუქციის შესახებ იხ. გვ. 78, შმშ. 2

1 3. რამდენი მოწვევებით წე შენსა? (შექმნათა 47 15); რა არა მოწვევით წე შენსა (იქვე 47 19); ვრცობდეთ და არა მოწვევით (იქვე 47 19); ნუ უარე მოწვევით (გამოსლვათა 20 19); ჩნ ენი მოწვევით (იქვე 12 34); მოწვევით (იწ ბოლნელი 88 6).

B (პრეფიქსით).

3 3. მოსწევს იგინი წელთა მათ შინა (მათე 8 32); მწარი-  
თა სიკუდილითა მოსწევს (წარტყ. იერუს. ძლ 18);  
მოსწევს (იქვე 4 9, 30, 32, 33 3, 6); მამანი და დე-  
დანი მოსწევდოდეს (იქვე 10 14); და რომელი იგი  
კელთა აქუნდა, მო-გე-სწევდოდეს შიმშილითა და წურ-  
ვილითა (იქვე 4 10-11).

1 „ რა ვრცობდეთ და არა მოსწევით ჩნცა და შნცა და  
განიცა ჩნი (შექმნათა 43 8); მოსწევით და მო-  
გკულებით (წამ. ძმათა ცხრათა 171); შენთს მოსწევდე-  
ბით ჩუენ მარადღ (გრ. ხანძთ. ზ 55-56).

### 33. მოწევდა / მოსწევდა

A (უპრეფიქსოდ).

3 3. და მოწევდა ენი სანთვარი ეგვტისა (გამოსლვათა 9 6);  
მოწევდა ენი ერემი ბეთლემისა (მათე 2 16); მოწევდა  
ენი ჰინომო (გამოსლვათა 12 29, 13 15); ძვრ-ძვრად  
მოწევდნის იგინი (სახისმეტყუელი 10 17); გულის წერო-  
მითა მათითა მოწევდნეს კაცი (შექმნათა 49 6; შდრ.  
რისხვთა თხითა მოწევდეს კაცი: იპოლიტე, გვ. XLVI,  
კირათათანა); რნიმე მოწევდნეს (მარკოზ 12 5 ვარ).  
ემორ და სჯემ მოწევდნეს ჰირითა მახლისათა (შექმნა-  
თა 34 26); მოწევდნეს გმირნი იგი (იქვე 14 5); მო-  
წევდნეს ენი მთავარნი ამაღკვისანი (იქვე 14 7); რა-  
ჟამს მოწევდნეს სულიერნი ძმანი შენნი (ძვ. სას. პოეზ.  
რკმ 1-2); რამთამცა ერმანი იგი მოწევდნეს (სპევს.,  
ელ. და მელ. 76 1-2); ნუ გეშინინ მათგან, რლთა  
მოწევდნენ გორცნი თქვენნი (მათე 10 28); მიიქენიან  
კრავნი და დწევდნიან (თუალთა 42 1).

1 პ. მოგწუდო ენი ჰირმშოა (გამოსლვათაჲ 12 12); რასათჳს მოგწუჯდენით მართუენი თჳსნი (სახისმეტყუელი ზ 14—15).

B (პრეფიქსით).

3 პ. რნი მოსწყენა სეროდე შეფემენ (იერუს. განჩ. 102 1); მოსწყენა (წარტყ. იერუს. იმ 18); რნიშე მოსწყენეს (მათე 21 35, მარკოზ 12 5); მოსწყენეს (მათე 22 6); ერთხამად ათორმეტი ათასი მოსწყუდა მახვლითა (თბრობაჲ 42 15—16).

§ 55. შეცთომები თუ ზოგიერთ ანომალიებს განსაზღვრული ხასიათი აქვთ ზე ერთგვარი გასამართლებელი საბუთაც მოეპოვებათ, სამაგიეროდ ზოგჯერ ისეთებს წააწყდება კაცი ძველი ძეგლების კითხვის დროს, რომ მათ ვერ უპოვით ვერაერთარ საფუძველს, გარდა უღვლილების ნორმების უვიცობისა ძეგლის დამწერისა თუ გადამწერლის მკრივ<sup>1</sup>. ასეთ ანომალიებს, თუ არ შეცთომებს, სხვა სახელს ვერ მოუძებნის კაცი. მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითი:

**შე-კრბა.**

შეჰკრბეს მდღელთმთავარნი იგი (იერუს. განჩ. 84 2—1 ქვე).

ყო იგი.

ანუ არა შეზუერეთატა იგივე ჰქვიან? (მათე 5 46 ვარ).

**და-ფარა იგი.**

ენა წყაღმან დაჰფარის ზღუაჲ (იერუს. განჩ. 46 18—20).

**აღ-ღვა.**

ქე აღსდგა (იერუს. განჩ. 92 2—3 ქვე, 93 12—13); აწ აღსდგე, იტუს რნი (იქვე 89 1—9).

1) ხანდახან შეცთომებს წარმოშობს, ქართული ენის უვიცობის გარდა, გადამწერლის დალილი გონება ზე დაქანტული კელი. მაგრამ თუ ძველი დაბეჭდილია, ზოგჯერ არ იცი, სად თავდება გადამწერლის lapsus calami ზე სად იწყება გამომცემლის შეცთობა ზე კორექტურული დაუღვერობა

## თქუა იგი.

ღმერთმან სთქუა (მათე 15 4, ვარ. სწორია: თქუა);  
რწ სთქუას ბოროტი (მათე 15 4; ვარიანტი სწო-  
რია: თქუას); შდ „მამო ჩნო“-სა დიაკონმან სთქს  
(იერუს. განჩ. 86 4-3 ქვ.); ებისკოპოსმან სთქს  
(იქვე 88 1 ქვ.).

## სუა იგი, ჭამა იგი.

რამ ჭამოთ ჭ რამ სუათ (მათე 6 25 ვარ.).

## წარმო-ტყუენა იგი.

ღმრთეებრ წარმოტყუენე ძალი ჯოჯოხეთისაჲ (ძვ. სას.  
პოეზ. ტნ 1-2; კონტრექსტიდან ჩანს, რომ აქ მო-  
თხრობითი კილოა ჭ არა ბრძანებითი, ამიტომ მო-  
სალოდნელი იყო წარმოსტყუენე, როგორც ვკითხუ-  
ლობთ სხვა ალაგას იმავე წიგნში: წარმოსტყუენე ქვე-  
სენელი: რძჳ 30-31).

## ჰმადლობს მას.

მადლობდა (მათე 26 26 ვარ.).

## შე-ჰმოსა მას იგი.

შემოსო აჭრონს სამოსელი იგი წა (გამოსლვათაჲ 40 12).

## შე-ჰვედრა მას იგი.

გელთა შენთა შევედრებ სლს ჩემსა (იერუს. განჩ.  
82 10-8 ქვ.).

## მო-ჰტუარა მას იგი.

მოგურიდეს მას ულთა ბოროტად სნეულთა (მათე 4 24).

## ჰრქუა მას იგი.

რქუა მას (მარკოზ 15 2; ვარ. სწორია: ჰრქუა მას);  
რათა კადნიერებით ვრქუათ მას (წარტყ. იერუს. ლგ  
12-13).

## სცა მას იგი.

მრავალფერი სანოვაგტ წარცა წმიდისა მისთვის (გრ. ხანძთ. § 29, გვ. XLIII); რა განჰყვილო მონაკები შენი ღ მიცე გლასაკთა (იე ბოლნელი 66 14—15; ვარ. სწორია: მის(ი) გლასაკთა); თავუჟანის ვცე მას (მათე 2 8); დავცე შწყეშისი ღ განიბნინენ ცსოვარნი (მათე 26 31 ვარ.); თავნის სცეს ღ გალობით იტყოდეს ესრეთ: ჳა შნსა თუნის ვცემთ რა (ჰაგ მასალ. 44<sup>a</sup> 18—19).

უბრალო ღ შემთხვევით შეტომად ვერ ჩავთვლით მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის დაკარგვას დაჰბადა ტიპის ზმნებში. ვერ ჩავთვლით იმიტომ, რომ ქველს ქართულში, იმ ქართულში, რომლის ისტორიაც ჩვენ ვიცით, აღარ უნდა ყოფილიყო უკვე ნათელი შეგნება იმისი, რომ ამ ჯგუფის ზმნები მხოლოდ გარეგნულად ჰგავს სახელობით დამატებიან ზმნებს, თორემ ნამდვილად მიცემით დამატებიანებია (§§ 35—36). ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ ობიექტური პრეფიქსის გამოტოვება შედარებით კშირია:

## აღ-ჰმართა [მას] იგი.

აღმართა კერპი (მოქცევაჲ 709 11—12, 14—15, 18); აღმართეს ტაბლაჲ (იოს. არიმათ. 78 1—5); აღილო ლოდი იგი მუნ, რა ედვა სსსთუნლად, ღ აღმართა ქეკლად (შექმნათაჲ 28 18); მარხვამან... აღმართნის დაცემულნი (იე ბოლნელი 5 18—19).

## მო-ჰმზადა [მას] იგი.

მომზადეს ვნებაჲ იგი (მარკოზ 14 16 ვარ.); განვმზადენით დღესასწაული სისარულისაჲ (ძვ. სას. პ. ეზ. 65 25 8—10); განვმზადენით გზანი უფლისანი! (მათე 3 3, მარკოზ 1 3, ძვ. სას. პ. ეზ. 66 66—67, რილ 345).

§ 56. დასკვნა. ძირითადი კილო ქველი სალიტერატურო ენისა. ქველი სალიტერატურო ენა, რომელიც შორიდან ღ ზერელე გადათვალიერებით ერთ წალიან მონოლითად ა. შანიძე, S, ღ O, ქართ. ზმნებში.

გვეჩვენება, ახლოს რომ დეაკვირდით ზე გულდასმით გადავსინჯეთ, ერთგვარი მასალისაგან ნაშენები არ აღმოჩნდა. მასში სხვათა შორის გვარიანი ადგილი სჭერია ანომალიებს, რომელთაგანაც ზოგი განვითარებულია თვით იმ კილოს ნიადაგზე, რომელიც საფუძვლად უდევს ძველს სამწერლო ენას, მაგრამ ზოგი სხვა კილოებისაგან შემოტანილი ჩანს. სხვებისაგან ნასესხები ფორმები ზოგჯერ სავსებით შეთვისებულია ძირითადი კილოს მიერ ზე გადაქმნილ-გადაკეთებულია მისი ნორმების თანაკმად, მაგრამ უცხო ჩამომავლობის კვალი მთლად წარკოცილი არ არის ზოგიერთ ფორმაში. ცხადია, მაგალითად, რომ ხანი, როგორც სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა (ხარ, ხუაღ: § 11) ძირითადი კილოს კუთვნილება არ არის; იგი ნასესხები უნდა იყოს რომელიღაც სხვა კილოსაგან, რომელსაც ხანის პრეფიქსად კმარება ახასიათებდა ალბათ არა მარტო ორ ზმნაში, არამედ სხვა ზმნების უღვლილებაშიაც, საზოგადოდ. ძირითადი კილოს კუთვნილებად არ შეგვიძლია ვიცნოთ აგრეთვე სახელობით დამატებიან ზმნათა აწმყოს წარმოების წესი უობიექტურ-პრეფიქსოდ (§ 43); ქდაგებს ტიპის უღვლილება აწმყოში, ეს რომელიღაც სხვა კილოს გავლენა უნდა იყოს.

ამრიგად, თუ ძველი სალიტერატურო ენიდან გამოვპოვოთ, რამდენადაც შესაძლებელია, მერპინდელ დანაღვესა ზე სხვა კილოებისაგან შემოტანილ ფორმებს, დავგვრჩება კილო, რომელიც საფუძვლად დასდებია ქართული მწერლობის ენას. ეს კილო კი, როგორც ჩვენაზღი მოღწეული საისტორიო ზე სალიტერატურო ძეგლებიდან ჩანს, მეორე პირის სუბიექტურისა ზე მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის კმარების მკრივ საკმაოდ გარკვეული ზე ერთ მთლიან სისტემად ჩამოსხმული ენა ყოფილა.



## V. სუბიექტ-ობიექტური კრეფიქსი ჰქს საშუალო ქართულში.

§ 57. უღვლილების ნორმების შერყევისა ლ და-  
რღვევის მიზეზები. ძველი ქართულის მიერ (IX-XI სს )  
საშუალოსადმი (XII-XVIII ს.ს.) გაღმოცემულ ქონებაში ბევ-  
რი რამ იყო ისეთი, რომელსაც შეეძლო გაუგებრობა გამოე-  
წვია; სახელდობრ:

### S<sub>2</sub>-ის საკითხში

1. ზმნები ორ მთავარ ჯგუფად იყო გაყოფილი, იმის  
მიხედვით, კმონით ეწყებოდათ მათ თემა, თუ თან-  
კმონით. პრეფიქსი მხოლოდ თანკმონიანებს მოე-  
პოვებოდათ, კმონიანებს კი არა; ლ ამგვარად და-  
პირისპირებული იყო:

|              |          |          |           |
|--------------|----------|----------|-----------|
| ერთის მკრით  | ყო       | ჰყავ     | ვყავ      |
|              | და-წკრა  | და-სწკრე | და-ვწკრე  |
| მეორეს მკრით | იყო      | იყავ     | ვიყავ     |
|              | და-იწკრა | და-იწკრე | და-ვიწკრე |

2. მოთხრობით კილოსა ლ ბრძანებითს შორის გან-  
სხვაება მხოლოდ თანკმონიან თემებში შეიძლებო-  
და, კმონიანებში კი არა. ამიტომ იყო:

|              |                                  |
|--------------|----------------------------------|
| ერთის მკრით  | ჰყავ — ვყავ, და-სწკრე — და- წკრე |
| მეორეს მკრით | იყავ — იყავ, და-იწკრე — და-იწკრე |

შეუძლებელია, რომ ამ ორ გარემოებას პირდაპირი გა-  
ვლენა არ ჰქონებოდა S<sub>2</sub>-ის მერმინდელ ბედზე საშუალო ქარ-  
თულში. უღვლილებაში რად უნდა იყოს განსხვაება კმონიან-  
თანკმონის მიხედვით, ე. ი. ფონეტიკურ დასაბამს რად უნდა  
ჰქონდეს ასეთი ძალა მორფოლოგიაზე? თუ მოთხრობითში

შეიძლება ვიკმაროთ უპრეფიქსო ფორმები იყავ ლ და-იწერე, რატომ არ შეიძლება იმავე კილოში უპრეფიქსოდვე ვთქვათ უავ ლ და-წერე? ანდა თუ ერთ შემთხვევაში არ არის გარჩეული ბრძანებითის ფორმა მოთხრობითისაგან (იყავ—იყავ, და-იწერე—და-იწერე), მეორე შემთხვევაში რადლა უნდა იყოს გარჩეული (ჰქავ—უავ, და-სწერე—და-წერე)? არ შეიძლება განა, კმოვნიან თემებისაგებ ბრძანებითი ლ მოთხრობითი აქაც ემსგავსებოდეს ერთიმეორეს? ლ თუ შეიძლება, რა დაშავდება ვითომ, რომ მოთხრობითში უავ ლ და-წერე ვთქვათ ბრძანებითისებურად ან, თუ არა ლ, ბრძანებითში ჰქავ ლ და-სწერე მოთხრობითისებურად?

ასეთი საკითხები ძალაუნებურად უნდა დაჰბადებოდა კაცს შეუუცნობელი გრამატიკული აზროვნების სფეროში ლ მათ გადასაწყვეტად ლ ყოველდღიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ანალოგია უნდა წამოჰშველებოდა.

### 0<sub>3</sub>-ის საკითხში

დაპირისპირებული იყო:

1. კმოვნიანი ლ თანკმოვნიანი თემები:

|              |        |       |
|--------------|--------|-------|
| ერთის მკრით  | ჰქითხა | სთხვა |
| მეორეს მკრით | ამცნო  | უთხრა |

2. სახელობით დამატებიანი ლ მიცემით დამატებიანი ზნნები:

|              |          |          |
|--------------|----------|----------|
| ერთის მკრით  | შე-მოსა  | გან-უიდა |
|              | და-დვა   | და-წერა  |
| მეორეს მკრით | შე-ჰმოსა | მი-ჰუიდა |
|              | და-სდვა  | და-სწერა |

3. უო ტიპის ზნნები ლ და-ჰბადა ტიპისანი:

|              |           |          |
|--------------|-----------|----------|
| ერთის მკრით  | შო-კლა    | თქუა     |
| მეორეს მკრით | ად-ჰმართა | და-სთესა |

4. ადგილის ვარემოება მიცემითში ლ დამატება მიცემითში:

|              |                           |
|--------------|---------------------------|
| ერთის მკრით  | შე-კადა მას (ადგ. ვარემ.) |
| მეორეს მკრით | გან-ჰკადა მას (დამატ.)    |



5. წარმოება ნამყო სრულისა ღ აწმყოსი სახელობით დამატებიანი ზმნებისთვის:

|              |       |          |
|--------------|-------|----------|
| ერთის მკრით  | ყო    | და-წუა   |
| მეორეს მკრით | ჭყოფს | და-სწუფს |

ყველა ამაებს, რასაკვირველია, თავისი უნდა ექმნათ მე-სამე პირის ობიექტური პრეფიქსისათვის შემდეგში. მართლაც ღ: თუ ამცნო ღ უთხრა სწორია, კითხვა ღ თხოვა რად უნდა იყოს ვითომ მრული ქართული? თუ კი ითქმის შე-მოსა (იგი სამოსლითა), ვითომ რა უნდა დაშავდეს, რომ ვთქვათ შე-მოსა (მას სამოსელი)? ანდა, პირიქით, თუ შე-ჭმოსა (მას სამოსელი) უნდა, რა იქნება, რომ შე-ჭმოსა (იგი სამოსლითა) ვთქვათ ღ ვწეროთ? რა ბედენაა ვითომ? თუ გან-უი-და შეიძლება, რატომ არ შეიძლება მი-უიდა ანდა, პირიქით, თუ მი-ჭვიდა კარგია, გან-ჭვიდა რად უნდა იქმნეს ცული? რად უნდა იყოს გარჩევა: გან-ჭკადა (მას ტყავი) ღ შე-კადა (იგი სამოსთხესა) ფორმებს შორის? იქ დამატებაა ღ აქ კი აღგილის გარემოება? მერნე რა უყოთ?! ორთავ შემთხვევაში ხომ მიცემითის ბრუნვაა? კარგი ღ: ყო ტიპის ზმნებსა ღ და-ჭბადა ტიპისებს შორის რადლა არის განსხვავება? თანაბრად რად იკმარება ობიექტური პრეფიქსი, მიუხედავად იმისა, დამატება არის მიცემითში [განჭკსნა ერთმან ტჯრთსა (შექმნათაჲ 42 27)], თუ არა [განჭკსნა თითოეულმან ძაძაჲ თჯსი (შექმნათაჲ 44 11)]? ამას გარდა, სახელობით დამატებიან ზმნათა ნამყოსა ღ აწმყოს სხვა-ღ-სხვანაირ წარმოების წესში კიდევ გაერკვეოდა კაცი, მაგრამ აწმყოს წარმოებაში რომ სრული თანკობა არ ჰქონდათ ყველა ზმნებს ღ ზოგი (უდიდესი წილი) ჭყოფს ტიპის უღვლილებას მისდევდა ღ ზოგი (უმცირესი ნაწილი) ჭადაგებს ტიპისას, ამას ძალიან უნდა აერია საქმე, ეგების უფრო მეტად, ვიდრე დანარჩენ მიზნებს ყველას ერთად.

ს<sub>2</sub>-ისა ღ ო<sub>3</sub>-ის საკითხში საერთოდ

ერთ გარემოებას კელი უნდა შეეწყოს საქმის გართულებისათვის, სახელდობრ იმას, რომ

1.  $N_2$  ზე  $O_3$  ერთი ზე იგივე ბგერა იყო, რომელიც ერთნაირ პირობებში ერთსა ზე იმავე ფონეტიკურ კანონს ემორჩილებოდა.

ამასთანავე

2. ეს ორი ერთნაირად მბგერი სუფიქსი ისე სუსტი იყო თავის ბუნებით, რომ ქარძული მეტყველების ფიზიოლოგია ადვილად ურიგდებოდა მათ დაკარგვას.

ზე მერმე კიდევ

3. საშუალო ქართულში თანდათან ძლიერდებოდა ცუცხალი კილოების გავლენა სამწერლო ენაზე. სალიტერატურო ძეგლში ხან ერთი დიალექტური ფორმა იჩინდა თავს ზე ხანაც მეორე.

ჩამოთვლილი მიზეზები, ფიციტული ცალკ-ცალკე ზე ყველა ერთად, ძალუმად მოქმედებდა უღვლილების ნორმების შესარყივად ზე დასარღვევად. ზე ამ ნიადაგზე ჩვენი პრეფიქსების კმარების საკითხი (საკითხი, კაცმა რომ თქვას, ცხადი ზე ნათელი) თანდათან ბურუსით უნდა მოცულიყო ზე დაბნელებულიყო.

ასეც მოკდა. როგორც ვნახეთ (§§ 38—46), ჯერ კიდევ ძველს ქართულში დაიწყო გაუგებრობა ზე ფორმების არევა. ეს გაუგებრობა თანდათან იზრდებოდა ზე მატულობდა საშუალო ქართულში: აირია კმოენიანი ზე თანკმოენიანი თემები, წაიშალა ფორმალური განსხვავება ბრძანებითსა ზე მოთხრობითს შორის, ობიექტური პრეფიქსი გაჩნდა სახელობით დამატებიან ზმნებში ზე სხვანი ზე სხვანი. ერთი სიტყვით, როცა ძველის მიერ ნაანდერძვე ქონებას საშუალო ქართულის მიერ ხანგრძლივი დროს განმავლობაში კეთილ შენაძენი მიემატა, ისეთი არეულარევა შეიქმნა ფორმებისა, რომ ძნელი საქმე იყო მათი გამორკვევა ზე რაიმე სისტემით დალაგება.

**§ 58. ანტონ კათალიკოზის გრამატიკული სკოლა.** ანტონ პირველს მეთვრამეტე საუკუნეში მაინც უცდია, რომ გაერკვია პრეფიქსების კმარების საკითხი, მაგრამ უნაყოფოდ.

ისტორიულად საკითხის შესწავლა, როგორც ჩანს, მას გათვალისწინებული არა ჰქონებია ღ თანაბარი ნდობით მოჰყრობია მეათე საუკუნის კელნაწერებსაც ღ მეჩვიდმეტისასაც. ღ რადგანაც ვერ უპოვია (ან კი როგორ უნდა ეპოვია?) ერთგვარი წესი უღვლილებისა სხვა-ღ-სხვა ეპოქის ძეგლებში, გრამატიკული სისტემის შესაქმნელად მას თავისი სქოლასტიკური მსოფლმხედველობა წამოუშველებია. აი, მაგალითად, როგორ აუღვლებს კათალიკოზი უო ღ შე-კრა ზმნას<sup>1</sup>:

პბ. ყო ი გ ი—ჰყოფს მას.

(§ 67, გვ. 69)

სახლტრებიითისა სქესისა აწმყოა.

მაგალითი:

|              |         |        |         |
|--------------|---------|--------|---------|
| მხოლობითად.  | ვჰყოფ.  | ჰყოფ.  | ჰყოფს.  |
| მრავლობითად. | ვჰყოფთ. | ჰყოფთ. | ჰყოფენ. |

ნამყოა უსრული.

მაგალითი:

|              |           |          |          |
|--------------|-----------|----------|----------|
| მხოლობითად.  | ვჰყოფდი.  | ჰყოფდი.  | ჰყოფდის. |
| მრავლობითად. | ვჰყოფდით. | ჰყოფდით. | ჰყოფდიან |

ნამყოა სრული.

მაგალითი:

|              |        |       |        |
|--------------|--------|-------|--------|
| მხოლობითად.  | ვჰეჟ.  | ჰეჟ.  | ჰეჟ    |
| მრავლობითად. | ვჰეჟთ. | ჰეჟთ. | ჰეჟეს. |

მყობადი.

მაგალითი:

|              |        |       |       |
|--------------|--------|-------|-------|
| მხოლობითად.  | ვჰყო.  | ჰყო.  | ჰყოს. |
| მრავლობითად. | ვჰყოთ. | ჰყოთ. | ჰყონ. |

ბრძანებითისა სქესისა აწმყოა.

მაგალითი:

|              |                 |                  |
|--------------|-----------------|------------------|
| მხოლობითად.  | ჰეჟ, ნუ ჰყოფ.   | ჰყოს, ნუ ჰყოფს.  |
| მრავლობითად. | ჰეჟთ, ნუ ჰყოფთ. | ჰყონ, ნუ ჰყოფენ. |

<sup>1</sup>) ქართული ღრამმატიკა, შედგენილი ანტონ I-ის მიერ. თბილისი 1885 [გვერდები ნაჩვენებია ამ გამოცემისა].

## 38. შე-კრა იგი—შე-ჰკრავს მას.

(§ 26, გვ. 24—25).

|              |                               |                         |
|--------------|-------------------------------|-------------------------|
|              | საზღვრებითისა სქესისა აწმყოა. | მაგალითი:               |
| მხოლოდითად.  | შეჰკრაგ.                      | შეჰკრაგ.                |
| მრავლობითად. | შეჰკრაგეთ.                    | შეჰკრაგეთ.              |
|              | ნამყოა უსრული.                | მაგალითი:               |
| მხოლოდითად.  | შეჰკრადი <sup>1</sup> .       | შეჰკრადი.               |
| მრავლობითად. | შეჰკრადით <sup>2</sup> .      | შეჰკრადით.              |
|              | ნამყოა სრული.                 | მაგალითი:               |
| მხოლოდითად.  | შეჰკარ.                       | შეჰკარ.                 |
| მრავლობითად. | შეჰკართ.                      | შეჰკართ.                |
|              | მყოობადი.                     | მაგალითი:               |
| მხოლოდითად.  | შეჰკარა.                      | შეჰკარა.                |
| მრავლობითად. | შეჰკართა.                     | შეჰკართა.               |
|              | ბრძანებითისა სქესისა აწმყოა.  | მაგალითი:               |
| მხოლოდითად:  | შეჰკარ, ნუ შეჰკრაგ            | შეჰკარას, ნუ შეჰკრაგს.  |
| მრავლობითად. | შეჰკართ, ნუ შეჰკრაგეთ.        | შეჰკარან, ნუ შეჰკრაგეთ. |

ამგვარადვე აუღვლებს კათალიკოზი გან-ბანა ზმნასაც (§ 28, გვ. 27—28). მაშასადამე, ანტონ ჰირველი აწმყოსა ლ ნამყო სრულის წარმოებას ვერ არჩევს ერთურობისაგან. ის არა-ვითარ ყურადღებას არ აქცევს იმ გარემოებას, რომ მის მიერ სანიმუშოდ მოყვანილ ზმნებს (ეო, შე-კრა, გან-ბანა) აწმყოში ერთი სინტაქსური კონსტრუქცია აქვს ლ ნამყო სრულში კი სხვა კათალიკოზისთვის სულ ერთია, რა დამატება აქვს ზმნას: სახელობითისა თუ მიცემითისა. თანემოწიან თემებში ის ჰაეს ყოველთვის ჰემარობს ლ თუ თემის თავიკიდური ენის წვერის-მიერი ბგერაა (ტ, დ, თ) ან ლ აფრიკატი (წ, ძ, ც, ჭ, ჯ, ჩ), მაშინ ჰაე სანთან აქვს შეერთებული (ქს).

<sup>1</sup> შეტომით დაბეჭდილია: შეჰკრადი.

<sup>2</sup> შეჰკრადით კარბექტურული შეტომა უნდა იყოს.

რა მნიშვნელობა აქვს ამ ჰაეს (ღ ენის წვერისმიჯრი ბგერით დაწყებულ თემებში ჰაესა ღ ხანს ერთად) კათალიკოზისთვის? ეგების იგი მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსია მისთვის? მაგრამ ასე რომ იყოს, მაშინ ხომ სუბიექტურ ზმნებში, მაგალითად, მხოლოდ მეორე პირის ფორმებში ექმნებოდა ნაკმარი. კათალიკოზი კი ყველა პირში ჰკმარობს:

ვჭხი (66), ვჭბრწეინავ (46), ვჭსუფეგ (53), ჰსუფეგს (101, 157), განჭბრწეინდა (100), განსჭმართაღლით (39), ჰემოჭკრბეს (102), ჰრბიოდეს (102), ჰსხდეს (102); ვჭსტირ (67), ჰსტირნ (106), ვჭსტრეჭლოჲ (67), ვჭსწუხ, ვჭსწუხდე (76), ჰსცხოვრებდა (107), ვჭსჯეგ (46), ვჭსდგე (196), აღ-ჭსდგა (100, 105, 107); ვჭსჯედ, ვჭსჯდე (66); ჰსჭდა (102) ღ სხვა მისთანანი.

ამ მაგალითებიდან ცხადია, რომ პრეფიქსი ჰაე (ანუ მრჩობლი სახით ჰს) კათალიკოზისთვის მეორე პირის სუბიექტის გამომხატველი ნაწილაკი არ არის.

მაგრამ არც იმის ნიშანი ჩანს, რომ კათალიკოზს იგი მესამე პირის ობიექტურ პრეფიქსად ესმოდეს. მართალია, მაგალითებზე მოყვანილი ზმნების (ეო, შე-კრა, გან-ბანა) უღვლილება ღ აგრეთვე:

ვჭდექე, ვჭდექო (48), ვჭხლინე, ვჭხლიხო (48), ვჭგლიჯე, ვჭგლიჯო (48), ვჭსაჯე, ვჭსაჯო (61), დაჭსაჯა (102), გან-ჭსაჯოს (101), ვჭმწესე, ვჭმწესო (60), ვჭღერდე, ვჭღერდო (88), ვჭზომე, ვჭზომო (68) ვჭსთქე (46, 87), ჰსთქუა (100), ვჭსთქუა (87), ვჭსთქუათ (117), ვჭსწერე ვჭსწერო (48), აღჭსწერა (105), ვჭსწუხდე, ვჭსწუხდო (55), გან-ვჭსწმიდე (47), ვჭსტერ, ვჭსტრა (60), ვჭსწონე, ვჭსწონო (68), ჰსწადს (89, 171), ჰსწადოდა (103), ვჭსძარცუხ, ჰსძარცუხ, ჰსძარცუა, ვჭსძარცუათ, ჰსძარცუათ, ჰსძარცუხს, ვჭსძარცვო, ჰსძარცვო, ჰსძარცვოს, ვჭსძარცვოთ, ჰსძარცვოთ, ჰსძარცვონ (81 — 82)

ღ სხვა ამგვარი ფორმები გვაფიქრებინებს, რომ კათალიკოზი ჰაეს (ან კიდევ ჰაესა ღ ხანს ორთავე ერთად) ობიექტურ-

რი პრეფიქსის მნიშვნელობით ჰეპარობს, სულ ერთია რა ბრუნვაშია ეს ობიექტები: სახელობითსა, თუ მიცემითში. მაგრამ ამ შემთხვევაში  $O_3$ -ს რალა ესაქმება სუბიექტურ ზმნებში?

არა, კათალიკოზისთვის ამ პრეფიქსს (ცალად ჰ, ტყუბად ჰს) წმინდა მორფოლოგიური მნიშვნელობა არა აქვს: მისთვის იგი არც  $S_2$ -ია ლ არც  $O_3$ , არამედ რალაც სამკაული, რომელიც საჭიროა ზმნის ფორმაში აკუსტიკური შთაბეჭდილების გასაძლიერებლად. თუ არ ასე, სხვაფრივ ვერ ავსენით მას კათალიკოზის მიერ ნაემარ ზმნის ფორმებსა ლ სახელებში:

მჭრწაჲს, მჭრწუნეს (88), მჭრცხუჭნის, გჭრცხუჭნის (66), ჰსშირად (100, 105), ჰსზობა (24), ჰრთუელი (6, 127, 268), ჰრთუთ (24), ჰსჲად (ვესაჲ, 23), ჰსწორი (98), ჰსწრაჲად (104), მჰსწრაჲელ (99), ჰსჯა (98, 292), განჰსჯა (6), ჰსჯუელიერი (215), განჰსჯილი (23), მჰსჯაჲრი (250), მჰსთჲად (100, 105, 107), განჰსჯაჲლული (104), მჰსმეელი (247), მჰსმეეელი (40), მჰსგაჲსი (7, 23, 38, 55, 167), უჰფრო (98), უჰჲმიდესი (98), უჰჲჲად (100) ლ სხვა მისთანანი.

თუ ანტონ პირველის გრამატიკაზე ცოტა ვრცლად შეეჩერდით, ეს იმიტომ, რომ კათალიკოზმა თავისი სისტემა თეორიული კვლევა-ძიების ფარგლიდან პრაქტიკულ ნიადაგზე გადაიტანა ლ მრავალ საფილოსოფიო ლ საღეთისმეტყველო ნაწერების (ორგინალურისა თუ ნათარგმნის) საშუალებით ლ აგრეთვე თავისი სკოლის მოწაფეთა დაკმარებით დიდი ლ ვრცელი ასპარეზი მოუპოვა მას ლ ამით ერთგვარა დიდი დაასვა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიულ განვითარებას.



## VI. სუბიექტ-ობიექტური პრეფიქსი $\frac{3}{2}|1$ ახალს ქართულში.

§ 59.  $N_2$  &  $O_3$  მკვდარია უკვე. საშუალო ქართულში შეყვანილი იყო მხოლოდ, თორემ მთლად დარღვეული არ ყოფილა უღვლილების ნორმები: XII—XVII საუკუნეების ძეგლებში ჩვენი პრეფიქსების ბუნებისა & თვისების შეგნება საერთოდ გვარიანად მალა იდგა & მხოლოდ ანტონ კათალიკოზმა დაუკარგა მათ ყოველგვარი სასიცოცხლო ძალა & უბრალო სამკაულად აქცია მეთვრამეტე საუკუნეში. მათი გამოცოცხლება & საქიროების მიხედვით შეგნებულად კმარება აქამომდე ვერ შეძლო ახალმა ქართულმა.

დღევანდელი სალიტერატურო ენა, რომელსაც ფესვები მეცხრამეტე საუკუნეზე უფრო შორსაც აქვს გადგმული, გაიზარდა & განმტკიცდა წარსული საუკუნის მეორე ნახევარში, თუმცა იგი, სხვა-ღ-სხვა მიხეზის გამო, დამთავრებულ ფორმებად ჯერაც არ არის ჩამოსხმული<sup>1</sup>. ამ ენაში ბევრი ფორმა ისეთი, რომელიც დავასა & ცილობას იწვევს, საყოველთაოდ მიღებული არ არის & იკმარება ამა თუ იმ ავტორის პირადი შეხედულებისა & გემოვნების მიხედვით.

ასეთ მდგომარეობაში, რასაკვირველია, სხვა-ღ-სხვა კილოების გავლენას ფართო სარბიელი უნდა ჰქონდეს (& აქვს კიდევაც) სალიტერატურო ენაზე გავლენის მოსაპოვებლად. თანამედროვე ცოცხალი კილოები კი ძალიან განსხვავდება ერთ-ერთისაგან სწორედ ჩვენი პრეფიქსების კმარების საკითხში & რა თქმა უნდა, ეს განსხვავება სალიტერატურო ენაშიაც ჰპოვებს თავის გამოხატულებას. ამიტომ ჭაეისა & სანს ისეთ უადგილო ფორმებში შეჰხედებით, სადაც მოსალოდნელი არ არის, ანდა პირიქით, ხანდახან იქ ვერ იპოვით, სადაც მართლა საქიროა & აუცილებელი. რის სუბიექტური პრეფიქსი, რა ობიექ-

<sup>1</sup>) „დამთავრებული ფორმებია“ რომ ვამბობთ, ეს შედარებით, თორემ არც ერთი სალიტერატურო ენა, რომელიც კი ცოცხალია, საბოლოოდ დამთავრებულ ფორმებში ჩამოყალიბებული არ არის.

ტური ნაწილაკი, რის ბრძანებითის გარჩევა მოთხრობითი-საგან, რა მიცემითის დამატების განსხვავება სახელობითი-საგან, რის აწმყო, რა ნაწყო? საქმე იქამდის არის მისული, რომ კაცს აკვირვებს არა უთავბოლოდ ღ არეულად ნაკვარი ფორმები ღ საშინელი სხვადასხვაობა, არამედ ის გარემოება, რომ თუ ვინიკობაა სადმე შემთხვევით ჰაე ღ სანი თავის ალაგას არის როგორმე ნაკვარი ღ ფორმა სწორია. ერთი სიტყვით, ახალ სალიტერატურო ქართულში ეს პრეფიქსები მკვლ-რაა ღ მათი გაგებისათვის გრამატიკული აღლო ღ გრძნობა სრულიად დაწლოუნებულია.

§ 60. საორთოგრაფიო რეფორმების წადილი. საქმის ასეთმა მდგომარეობამ აიძულა ზოგიერთი პირი, რომ ეცადათ სალიტერატურო ენაში საორთოგრაფიო რეფორმები გაეტარებინათ, რათა ამის საშუალებით სხვადასხვაობა მოსპობილიყო ღ ერთგვარობა დამყარებულიყო.

ს. ხუნდაძე: „არის... ერთი ხმა, რომელიც მე... მეტ ბარგათ მიმაჩნია ქართული ენისათვის (სახელდობ ზმნებში) ღ რომელსაც თითქმის ყველა ჩვენი სწერალი ებლაუქება. ეს არის ჰ... ჰ-ს არსებობა, განსაკუთრებით ზმნებში, ჩემი აზრით სრულიად უსაფუძვლოა: არც აზრისთვის არის საჭირო ღ არც კეთილზმონებისათვ. ს“<sup>1</sup>. ღ ამიტომ „ზმნებში ჰ-ს ნუ ხმარობთ, — მაგალ მას ქვია, ქონდა, გონია ღ სხვ. (ღ არა ჰქვია, ჰქონდა ღ სხვ.)“<sup>2</sup>.

„თუ ჰ-ს უარყყოფ ზმნებში, სამაგიეროთ ხმა ს აუცილებელ საჭიროთ მიმაჩნია ხმნების სხვა-ღ-სხვა ფორმებში კეთილ-ხმოვანებისათვის. ჩემი აზრით, ს ზმნებში გამოთქმას აძლეეს სინაზეს, სინატიფეს, თანაც სიღარბაისლეს... თქმა არ უნდა,

<sup>1</sup>) სალიტერატურო ქართული (ქუთაისი 1901), გვ. 49—50.

<sup>2</sup>) ქართული მართლწერა. გაზ. „კოლხიდის“ თანამშრომელთა საყურადღებოთ, გვ. 6 [ეს წიგნაკი ანონიმურად არის გამოცემული ქუთაისში 1911 წელს, მაგრამ მეორედ გამოვიდა 1913 წელს ღ უკვე აწერია, რომ იგი ს. ხუნდაძისა არის].



ს უნდა დარჩეს მიმოხრაში კეთილბოვანებისათვის... მაგალ....  
 სდგამს, სთიბავს, სტირის, სცარტყავს, სძრავს, სწერს, სჭამს,  
 სჯობნის... მე ვსჭამ, შენ სჭამ, ისა სჭამს, ვსჭამდი, სჭამდი, სჭამდა,  
 ვსჭამე, სჭამე, სჭამა, ვსჭამეთ, სჭამეს ღ სხ.“<sup>1</sup>. ...„დასწერა,  
 მისცა, გასცა ღ სხვ

აქიდან რამდენიმე ზმნა გაზორიცხას შე.დგენს, ე. ი.  
 უსანოთ იხარება: ვთრთი, ვთხნი, ვთხზავ, ვცხოვრობ, ვცხოვრებ,  
 ვცთიფობ, ვწვადობ, ვწვებ ღ სხვ.“<sup>2</sup>.

3. მ ი რ ი ა ნ ა შ ე ი ლ ი: „სახელზმნათა უღვლილების დროს  
 წერაშიაც, ლაპარაკშიაც დაიცევიტ სახელნაცვალი ძირები ვჰ  
 პირველის, ჰ მეორის ღ ჰ მესამე პირის მაჩვენებელი, მაგ.:

ვჰ-უოფ, ჰ-უოფ, ჰ-უოფს.  
 ვჰ-კრავ, ჰ-კრავ, ჰ-კრავს.

ხოლო როცა სახელზმნა იწყებოდეს დ, თ, ტ, ჩ, ც, ძ,  
 წ, ჭ ხმებითა, მაშინ ჰ შესცვალეთ ს-ანად, მაგ.:

ვს-დებ, ვს-თხოვ, ვს-ტაცებ, ვს-ჩანვარ, ვს-ცემ, ვს-ძებ-  
 ნი, ვს-წევ, ვს-ჭრი.

გახსოვდეთ, თუ სახელნაცვალი ძირები ვჰ, ჰ ღ ჰ არ იხმა-  
 რეთ, სადაც საჭიროა ზმნათა უღვლილების დროს, მაშინ  
 ფორმის გაუკუღმართებას მოჰყვება აზრის გაუკუღმართებაც,  
 მაგ.:

ჰევაგის ბადი, ვევაგის ბუდე; მიეო სიკეთე, მიჰეო სელი  
 საქმესა; ჰქმნა სიკეთე, კმნა სიკეთისა; ბატის ქონია, ბატის

<sup>1</sup> სალიტერატურო ქართული, გვ. 51—55.

<sup>2</sup> ქართული გრამატიკა (ქუთაისი 1904), გვ 170 [ეს გრამატიკა  
 რამოდენიმეჯერ გამოიცა (ძგალითად, მეორე გამოცემა ქუთ. 1907);  
 მეექვსე გამოცემაში (ქუთ. 1919, გვ. 156) ასეთ შენიშვნას ვკითხულობთ:  
 „ზმა ს ამ შემთხვევაში (ე. ი. როცა თემა კბილისმიერი ბგერით  
 იწყება) მოქმედებითი გვარის ზმნებს თითქმის ყველას დაერთვის, საშუა-  
 ლო გვარისას კი — მხოლოდ რამდენსამე, მაგალ : სტარის, სტყუის, სწუხს,  
 სტებება, სტყნება, სფობია (სფობს), სჭირია (სჭირდება), სფერა, სტევა,  
 სწუურია, სდუმს ღ სხვ.“].

ტინი ჭქონია; ჭკრაფს ხელსა, კრავს აძოვებს; მიწერს წერილსა, მისწერს წერილსა; წერა წიგნისა, სწერა წიგნი; წევს აჯად-მუოფა, სწევს თამბაქოსა; დეგნა მტრისა, სდეგნა მტერი; ცემა ემაწილისა, სცემა ემაწილსა“<sup>1</sup>.

მ. ყიფიანი ცდილობს თეორიულად დაასაბუთოს ანტონ კათალიკოზის მიერ უკიდურესობამდე მიყვანილი ჭაეს კმარება, რომელიც ინერციულად დღესაც განაგრძობს არსებობას ზოგიერთი ავტორის ნაწერებში: „ვიდრე ჭ-ს უღელს უღვლილებაში უფრო ვრცლად გამოვაჭკვეყნებდე, აქ მოკლედ ვიტყვი შემდეგს:

1) ჭ-აე ზოგიერთ თანხმოვანების ზედწინ გამოითქმის ს-ნად ღ დღეს სწორედ ს-ანის სახიერებითვე იწერება: ს-წერს, ს-ცემს, ს-ჭამს ღ სხვა;

2) სხვა თანხმოვანების ზედწინ ჭ-აე ისევ თვინიერად სცხადდება ღ გამოიჰთქმის, როგორც მაგალითად ევროპიული *h aspiré* (ამოსულთქმით): ჭ-ფენს, ჭ-ეფს, ა-ჭეფს, ჩაჭეფნს, ჩა-მოჭეფს, ჭკმობს ღ სხვა;

3) ზოგჯერ მიმკრთალებით, მუნჯად გამოითქმის, როგორც ევროპიული *h muet*: გუღი მი-ჭ-ცემს, საქმეს მი-ჭ-ჩენს, შინ მი-ჭ-ხმობს, ასე მი-ჭ-რჩევს ღ სხვა.

4) ჭ-აე ა, ე, ი, ო ღ უ-ნის გამოთქმას განაგრძობს უღვლილებრივს ფორმებში, როგორც *h muet* ინდოევროპიულს ენაში, მაგალითად, გერმანულში: Hahn („მამალი“), ihr, ihm („იმას“), steht („სდგას“), Ohr („ყური“), Uhr („საათი“); ქართულში: დამა-ჭ-ხიოს, დამა-ჭ-ფინოს, დამი-ჭ-წეროს, მი-ჭ-ცემს, მია-ჭ-ფინოს, აუ-ჭ-წეროს, შეგე-ჭ-წიოს ღ სხვა“<sup>2</sup>.

<sup>1</sup>) გახსოვდე წერა ლაპარაკის დროს ქართული გრამატიკის წესები (თბილისი 1914), გვ. 10—11.

<sup>2</sup>) ბუნება ქართულ ენის ეტიმოლოგიურ შენობისა. ქართული ზმნის ძირითადები ღ იმათი კანკელდობრივი ჩამომავლობა (ტფილისი 1911), გვ. 9—10 [იხ. აგრეთვე იმავე ავტორის მიერ ს. ხუნდაძის „სალიტერატურო ქართულის“ გამო 1910 წელს დაბეჭდილი: ბუნება ქართულ ენის ეტიმოლოგიურ შენობისა. მოკლე საგრამატიკო წერილები სამასალოდ]

საბოლოოდ ვერც ერთმა მიმართულებამ ვერ მოიკიდა ფეკი სალიტერატურო ენაში ზღვრისა და ერთად-ერთი საზომი ჰქონდა ზღვრის კმარების საკითხის გადასაჭრელად არის თვითეული მწერლის სურვილი ზღვრისა. ვისაც როგორ მოსწონს, იმგვარად ჰქმარობს საუბარშია და ზღვრისა. მაგალითებს აუარებელს იპოვის კაცი თვითეული მწერლის რომელიც გნებავთ იმ ნაწარმოებში. აქ კი საკმარისია გავიხსენოთ სათაური ი. გოგებაშვილის ცნობილი საყმაწვილო მოთხრობისა იანვანამ რა ჰქმნა ზღვრითვე ის გარემოება, რომ გზებითის სააღდგომო ნომერში ყოველ წლივ ერთი ზღვრით განძეორებული: ქრისტე აღსდგა<sup>1</sup>. საღმრთო წერილიდან მოყვანილ ციტატებს ნულა იკითხავთ! ასე გასინჯეთ, თვით ძველი ტექსტები (სახარება, დავითნი ზღვრ.) იმ გვარად არის ზოგჯერ გაღმობეჭდილი, რომ კაცო ვერ იცნობს. ასე რომ ახლანდელი სალიტერატურო ძეგლების მიხედვით ჩვენი პრეფიქსების ბუნების გამოცნობა, ეს შეუძლებელი საქმე იქმნებოდა ზღვრით გაწეული შრომა უნაყოფოდ ჩაივლიდა. მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, ქართული ზმნების აგებულების შესასწავლად ზღვრით ჩვენი პრეფიქსების გამოსაკვლევად ძვირფას მასალებს გვაძლევს, ძველი ძეგლების გარდა, დღევანდელი კოცხალი კილოები.



<sup>1</sup>) ერთმა კაცმა მიამბო: ერთხელ დიდი კამათი იყო, არა აღსდგა უნდა ზღვრით არა აღზღვრა-ო.

## VII. სუბიექტური პრეზიფიცი მემორა პირისა

ღ

### ობიექტური პრეზიფიცი მესამე პირისა

#### კილომეზი.

§ 61. თვითეული კილო შედარებით მარტივია ღ მთლიანი. ცოცხალი კილო, ცალკე აღებული, რომელიც უნდა იყოს, უფრო მარტივია ღ ერთფეროვანი, ვიდრე მწიგნობრული ენა, ენა, კელოვნურად შექმნილი მრავალ კილოთა თანამშრომლობით. რა თქმა უნდა, ყოველი დიალექტური კუთხე მოსამზღვრე კილოების გავლენას განიცდის, მაგრამ ძირითადიდან დანალექის გამოყოფა უფრო ადვილია კილოში, ვიდრე სამწერლო ენაში. კილოს თავისი ცხოვრება ღ საკუთარი გზა აქვს განვითარებისათვის. მემკვიდრეობით მიღებულ საენო მასალებსა და ღ თავის წილში აღმოცენებულ—განვითარებულსა თუ აგრეთვე სხვებისაგან ნასესხებ ფორმებს იგი თავის ნორმების მიხედვით აყალიბებს ღ ამიტომ მას შედარებით მეტი სიმარტივე ღ მთლიანობა ატყვია, ვიდრე მრავალფეროვან სალიტერატურო ენას.

ამ საზოგადო წესის გამონაკლისს არ შეადგენს ჩვენი პრეფიქსებიც, რომელთა კმარების წესიც ცოცხალ კილოებში გაცილებით უფრო მარტივია ღ უბრალო, ვიდრე სამწერლო ენაში: ძველსა, საშუალოსა თუ ახალში.

§ 62. კილოების დაყოფა. მეორე პირის სუბიექტურისა ღ მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის კმარების წესის მიხედვით დღეს-დღეობით ცოცხალი კილოები ორ მთავარ ჯგუფად იყოფა: აღმოსავლურად ღ დასავლურად. აღმოსავლურ ჯგუფს ეკუთვნიან: ქართლური, კახური, ქიზიყური, ფშუარი, მთიულ-გუდამარყული, კევსურული, მოკეური ღ თუშური. დასავლურ ჯგუფს შეადგენენ: იმერული (ზემო ღ ქვემო), გურული ღ რაჭული<sup>1</sup>.

<sup>1</sup>) ამ ჩამოთვლილია ის კილოები, რომელთა შესახებაც სანდო მასალები მაქვს.

### A. აღმოსავლური კილოები.

§ 63. საზოგადო დახასიათება. აღმოსავლურ კილოებს საერთოდ რიგიანად აქვთ დაკული ღ შენახული უღვლილე-ბის სახე, მაგრამ ყველას ერთნაირად როდი ესმის S<sub>2</sub>-ისა ღ O<sub>3</sub>-ის კმარების წესი. ერთისა ღ იმავე მორფოლოგიური ელემენტისთვის ყველა კილოს ერთი ღ იგივე ბგერა არა აქვს: ღ ფონეტიკური სხვადასხვაობის გამო მათ შორის თვალსაჩინო უთანკმოება არის. არც თუ მორფოლოგიურ საკითხებში აქვს სრული თანკმობა ყველა აღმოსავლურ კილოს. ამიტომ ჩვენი პრეფიქსების განხილვის დროს ყურადღებას თუ არ მივაქცევთ ფონეტიკურ ცვლილებასა ღ სხვადასხვაობას, არამედ მხოლოდ მორფოლოგიურ აგებულებას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ აღმოსავლური კილოები თავის მკრით კიდეც ორ ჯგუფად გაიყოფა. თუ ამ გაყოფას საფუძვლად S<sub>2</sub>-ის კმარების წესი დაედო, მაშინ ქართლის კილო ცალკე გამოიყოფა, ერთ მკარეს, ღ დანარჩენი კილოები (კახური, ქიზიყური, ფშაური, მთიულ-გუდამაყრული, კევსურული, მოკეური, თუშური) მეორე მკარეს იქმნება, ხოლო უკეთუ გადაჯგუფ-გადმოჯგუფების საზომად O<sub>3</sub>-ის კმარების წესს მივიღებთ, მაშინ ცალკე გამოიყოფა კევსურული ღ სხვები კი (ქართლური, კახური, ქიზიყური, ფშაური ღ თუშური) მეორე მკარეს მოექცევა<sup>1</sup>. მაგრამ შეიძლება დაყოფის დროს უპირატესობა მიენიჭოს არა უღვლილების მორფოლოგიურ მკარეს, არამედ S<sub>2</sub>-ისა ღ O<sub>3</sub>-ის ფონეტიკური ღირებულების სხვადასხვაობას, მაშინ კი კევსურული, მოკეური ღ თუშური სხვა აღმოსავლურ კილოებს გამოეყოფა ცალკე ჯგუფად, რომელსაც შეგვიძლია ფხორი უწოდოთ<sup>2</sup>.

<sup>1</sup>) დამატებით ცნობათა უქონლობის გამო, არ შემიძლიან გადა-ქრით ვთქვა, თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ამ შემთხვევაში მთიულ-გუდამაყრული ღ მოკეური.

<sup>2</sup>) А. Шанидзе, Отчет о лѣтней командировкѣ 1913 г въ Душетскій и Тонетскій уѣзды Тифлисской губерніи для изученія грузинскихъ говоровъ: Извѣстія Им. Академіи Наукъ, 1913 г. №. 1069 --1074.

§ 64. ფონეტიკური სახე  $S_2$ -ისა ღ  $O_3$ -ისა. მეორე პირის სუბიექტურისა ღ მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის როლს აღმოსავლურ კილოებში მარტო ჰაე ღ სანი როდი ასრულებს. პირველი მათგანი (ჰაე) გადავარდნის გზაზეა დამდგარი, თითქმის გამოდევნილია ყველგან ღ მისი ალაგი დაქერილი აქვს ზოგან აეს (ქართლში, კახეთში, ქიზიყში, ფშავეში), ღ ზოგან ხანს, რომელიც მელერი ბგერების წინ (გ, ბ, ვ, მ, ნ, რ, ლ) ასიმილაციის ძალით ღანად იქცევა ხოლმე (ევესურეთში, კევში, თუშეთში). რაც შეეხება სანს, მისი მდგომარეობა უფრო მკვიდრია, მაგრამ კშირად მას მეტოქეობას უწყევს აე, გარკვევით გამოთქმული, ან არა და რალაც გაურკვეველი ბგერა, რომელიც არ იცი კაცმა რა ნიშნით გამოჰხატო ქალაღღზე, რადგანაც ზოგჯერ თითქოს ჰაეს უახლოვდება უფრო, ზოგჯერ სანსა ღ ზოგჯერ აეს<sup>1</sup> (ქართლურსა, კახურსა, ქიზიყურსა ღ ფშაურში). სანი მკვიდრია ძალიან ევესურულსა ღ თუშურში, მაგრამ ამ უკანასკნელ კილოებში უარესობამდღა განვითარებული ასიმილაცია ღ ამის წყალობით იგი ფონეტიკური პირობის მიხედვით ხან ზენად შეიცვლება ხოლმე (ღონისა ღ ძილის წინ), ხან ჟანად (ჯანის წინ) ღ ხანაც შინად (ჭარისა ღ ჩინის წინ). სხვა-ღ-სხვა ფონეტიკურ სახეებში, რომლებიც  $S_2$ -სა ღ  $O_3$ -ს მიუღია კილოებში, ყველაზე უფრო სუსტია აე, რომლის გამოთქმა მხოლოდ მაშინ ეერკდება, თუ იგი რომელსამე კმოვანს მოსდევს ღ მასთან ერთად დიფთონგს შეადგენს, თორემ თუ კმოვანი არ მიუძღვის, მაშინ ყოველთვის იკარგება ხოლმე (როგორც, მაგალითად, 1<sup>53</sup> პირის ფორმებში).

1) საზოგადოდ აღმოსავლურ კილოებში (ფხოური ჯგუფის გარდა) სუბიექტ-ობიექტური ნაწილაკი აე განსაკუთრებით წმინდად ღ მკაფიოდ გაიშის პირველი რიგის თანკმოვნებიდან ნარნარა ღ ბაგის მიერი ბგერების წინ (ნ, რ, ლ, ვ, მ, ბ), ჰაეს უახლოვდება უკანა ენის მიერი ბგერების წინ (კ, ყ, ლ, ხ, კ, გ, ქ), ხოლო სანის გამოთქმას ემსგავსება ღ ზოგჯერ პირდაპირ სანია (თუმცა იშვიათად კი) მეორე რიგის თანკმოვნებთან (ტ, ღ, თ, წ, ძ, ც, ჰ, ჯ, ჩ).

§ 65. ქართლური კილო. ქართლის კილოს ერთი რამ თვისება ახასიათებს, რომელიც მას სხვა აღმოსავლურ კლოებიდან განმასხვავებელ ბეჭედს ასვამს. ეს გახლავს მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსის დაკარგვა ო ამიტომ მოთხრობითისა ო ბრძანებითს ერთმანეთში არევა ო ფორმალური განურჩევლობა<sup>1</sup>; მაგალითად:

|                    |            |           |          |             |            |           |
|--------------------|------------|-----------|----------|-------------|------------|-----------|
|                    | კდ. ა-ღვა. |           |          | კმ. და-ჯდა. |            |           |
|                    | პირი       | ნამყო სრ  | ბრძან.   | პირი        | ნამყო სრ.  | ბრძან.    |
| მრავლ. რ. მხოლ. რ. | 3          | ა-ღვა     |          | 3           | და-ჯდა     |           |
|                    | 2          | ა-ღექ(ი)  | ა-ღექ(ი) | 2           | და-ჯექ(ი)  | და-ჯექ(ი) |
|                    | 1          | ა-ვღექ(ი) |          | 1           | და-ვჯექ(ი) |           |
|                    | 3          | ა-ღგნენ   |          |             |            |           |
|                    | 2          | ა-ღექით   | ა-ღექით  |             |            |           |
|                    | 1          | ა-ვღექით  |          |             |            |           |

|                    |                |          |         |                  |           |          |
|--------------------|----------------|----------|---------|------------------|-----------|----------|
|                    | კვ შა-კრა იგი. |          |         | კზ. და-წერა იგი. |           |          |
|                    | პირი           | ნამყო სრ | ბრძან.  | პირი             | ნამყო სრ  | ბრძან.   |
| მრავლ. რ. მხოლ. რ. | 3              | შა-კრა   |         | 3                | და-წერა   |          |
|                    | 2              | შა-კარ   | შა-კარ  | 2                | და-წერე   | და-წერე  |
|                    | 1              | შა-ვკარ  |         | 1                | და-ვწერე  |          |
|                    | 3              | შა-კრეს  |         | 3                | და-წერეს  |          |
|                    | 2              | შა-კართ  | შა-კართ | 2                | და-წერეთ  | და-წერეთ |
|                    | 1              | შა-ვკართ |         | 1                | და-ვწერეთ |          |

<sup>1</sup>) ქართლი დიდი ო შეუძლებელია, ყველგან ერთგვარობა იყოს. ჩემი შენიშვნები შეეხება მხოლოდ ზოგიერთ რაიონს, რადგანაც საკითხის გამორკვევის დროს ჩემ დაკვირვებათა ობიექტები იყო: ნიკა გნოლიძე უსწავლელი, სოფ. კარბიდან (პატარა ლიახვის კეობაში) ო ანდრია, მამუჩაშვილი იგი უსწავლელი, 23 წლისა, სოფ. დიღმიდან (ტფილისის ახლოს), რომლებიც მსოფლიო ომის დროს პეტერბურგის ლაზარეთში იწვნენ.

როგორც შემთხვევით შეკრებილ ცნობათაგან ჩანს, ქართლის ზოგიერთ კუთხეში (განსაკუთრებით არაგვისა ო ქსნის კეობაში) 52 გაქრალი არ უნდა იყოს.

არის (resp. არი) ღ -ვიდა ზმნა, რასაკერეელია, გამონაკლისის შეადგენს. უკანასკნელი მათგანი (-ვიდა) ერთად-ერთი მაგალითია, სადაც ფორმალური განსხვავება მოთხრობით-ბრძანებითს შორის შერჩენილია დღევანდლამდე:

**36. მო-ვიდა.**

|          | ჰირი | ნამყო სრ. | ბრძან.   | ჰირი | ნამყო სრ. | ბრძან. |           |        |
|----------|------|-----------|----------|------|-----------|--------|-----------|--------|
| მხოლ. რ. | {    | 3         | მო-ვიდა  | წ.   | {         | 3      | მო-ვიდნენ |        |
|          |      | 2         | მო-ხველი |      |           | 2      | მო-ხველით | მო-ლით |
|          |      | 1         | მო-ველი  |      |           | 1      | მო-ველით  |        |

ქართლის კილო იზიარებს ძველი სალიტერატურო ენის წესს, რომლის მიხედვითაც ობიექტური პრეფიქსი მესამე ჰირისა ზმნას მხოლოდ მაშინ უნდა ჰქონდეს, თუ რომ დამატებას მიცემითში მოითხოვს. განსხვავება მხოლოდ ის გახლავს, რომ, ჯერ ერთი, დღევანდელი ქართლის კილო ბოლომდი მოჰყვება ამ წესს ღ სახელობით დამატებიან ზმნათა აწმყოს წარმოების დროს ისეთი მერყეობა არ ემჩნევა, როგორც ძველს ქართულს; ღ მეორეც ისა, რომ აქ O-ად გამოდის უმთავრესად აფე, რომელიც მეტად სუსტი ბგერაა ღ ადვილად იცის დაკარგვა გამოთქმაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წინ თანკომფანი მიუძღვის ხოლმე; მაგალითად:

**37. გა-რეკა ი გ ი — გა-არეკამს<sup>1</sup> მას.**

|           | ჰირი | ნამყო სრ. | ბრძან.    | მყობადი     |
|-----------|------|-----------|-----------|-------------|
| მხოლ. რ.  | {    | 3         | გა-რეკა   | გა-არეკამს  |
|           |      | 2         | გა-რეკე   | გა-არეკამ   |
|           |      | 1         | გა-ურეკე  | გა-ურეკამ   |
| მრავლ. რ. | {    | 3         | გა-რეკეს  | გა-არეკამენ |
|           |      | 2         | გა-რეკეთ  | გა-არეკამთ  |
|           |      | 1         | გა-ურეკეთ | გა-ურეკამთ  |

1) გამოთქმაში, რასაკვირველია, აფე წინა კომფანს უერთდება გა-არე-კამს, და-ა-ლევს ღ მისთანანი.



შ. და-ლია ი გ ი — და-ღლევეს მას.

| პირი      | ნამყო სრ. | ბრძან.    | მყობადი     |
|-----------|-----------|-----------|-------------|
| შროლ. რ.  | 3         | და-ლია    | და-ღლევეს   |
|           | 2         | და-ღლე    | და-ღლევე    |
|           | 1         | და-ღლევე  | და-ღლევე    |
| შრავლ. რ. | 3         | და-ღლევეს | და-ღლევევენ |
|           | 2         | და-ღლეეთ  | და-ღლევეთ   |
|           | 1         | და-ღლეეთ  | და-ღლევეთ   |

შა. . . . . სომს მას.

| პირი      | აწმყო | ნამყო უსრ.                      |                                      |
|-----------|-------|---------------------------------|--------------------------------------|
| შროლ. რ.  | 3     | ...ე სომს (მაგ., ღვინოსაჲ სომს) | ...ე სომდა                           |
|           | 2     | ...ე სომ (მაგ., რად არაჲ სომ)   | ...ე სომდი                           |
|           | 1     | ესომ                            | ესომდი                               |
| შრავლ. რ. | 3     | ...ე სომენ                      | ...ე სომდენ (მაგ., ღვინოსაჲ სომდენს) |
|           | 2     | ...ე სომთ                       | ...ე სომდით                          |
|           | 1     | ესომთ                           | ესომდით                              |

შბ. გა-თალა ი გ ი — გა-ათლის მას.

| პირი      | ნამყო სრ. | ბრძან.    | მყობადი   |
|-----------|-----------|-----------|-----------|
| შროლ. რ.  | 3         | გა-თალა   | გა-ათლის  |
|           | 2         | გა-თალე   | გა-ათლი   |
|           | 1         | გა-უთალე  | გა-უთლი   |
| შრავლ. რ. | 3         | გა-თალეს  | გა-ათლიან |
|           | 2         | გა-თალეთ  | გა-ათლით  |
|           | 1         | გა-უთალეთ | გა-უთლით  |

| პირი      | აწმყო | ნამყო უსრ.                      |             |
